



წიგნი  
ბაბრსვიდისა

ქველი ალთჟბა

საქართველოს საპატრიარქო  
2009

დაიბეჭდა  
უწმინდესისა და უნეტარესის  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II  
ლოცვა-კურთხევით

წინასიტყვაობა

საპატრიარქოსთან არსებულმა წმიდა წერილის თარგმნის ჯგუფმა დაასრულა მოსე წინასწარმეტყველის მეორე წიგნის თარგმნა. თარგმნის პროცესში სექსუაგინგას ტექსტი, საიდანაც ითარგმნა წინამდებარე წიგნი, შეჯერდა მასორეტულ ტექსტთან. გვინდა გაგიზიაროთ რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ამ შეჯერების შედეგად გაგვიჩნდა.

პირველი წიგნის, „შექმნის“, წინასიტყვაობაში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სექსუაგინგასა და მასორეტულ ტექსტებში მოგიერთი მუხლი ამრობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს განსხვავებები შეიძლება აიხსნას მთარგმნელის (სექსუაგინგას შემთხვევაში) ან რედაქტორის (მასორეტული ტექსტის შემთხვევაში) ინტერპრეტაციით. „გამოსვლაში“ მოგიერთ მუხლში გვხვდება განსხვავება ლეგალიზაციასა ან მუხლთა თანმიმდევრობაში. მაგალითად:

31,8-9: „და სამსხვერპლოებს და გაბლას და მის ყველა ჭურჭელს და სუფთა სასანთლეს და მის ყველა ჭურჭელს და საბანელს და მის ყველა საყრდენს“ (სექსუაგინგა).

31,8-9: „და გაბლა, და მისი ჭურჭელნი და წმიდა სასანთლე მთელი მისი ხელსაწყოებით, და სამსხვერპლო საკმეველისა. და სამსხვერპლო ყვლადასაწველისა მთელი მისი ხელსაწყოებით, და საბანელი და მისი კვარცხლბეკი“ (მასორეტული ტექსტი).

გაცილებით უფრო ძნელად ასახსნელია ის სხვაობა, რომელიც შეიმჩნევა ამ ორი ტექსტის 36-39-ე თავებს შორის.

მოვიყვანო შედარებითს გაბულას, რომელშიც სექსუაგინგას ტექსტის თავებისა და მუხლების თანმიმდევრობას შინაარსის მიხედვით უსადაგებო მასორეტული ტექსტის თავებსა და მუხლებს:

სექსუაგინგა	მასორეტული ტექსტი
36,8-38: და გააკეთა... წმიდა შესამოსლები, რომლებიც არის აარონ მღვდლისა...	39,1-31: ...დაამზადეს... შესამოსელი წმიდა სამსახურისთვის, და დაამზადეს წმიდა შესამოსელი აარონისთვის...
37,1-2: და გაუკეთეს კარავს ათი ჩამოსაფარებელი... 37,3-6: და გააკეთეს კრეცსაბმელი...	36,8-9: და გააკეთა ყოველმა გულბრძენმა... ათი გადასაფარებელი 36,35-38: და გააკეთა ფარდა...
37,7-21: და გააკეთეს ეზო...	38,9-23: და გააკეთა ეზო...
38,1-17: და გააკეთა ბესელიელმა კილობანი... გაბლა... სასანთლე...	37,1-24: და გააკეთა ბეცალელმა კილობანი... გაბლა... სასანთლე...
38,18-21: ამან მოვერცხლა სვეტები...	
38,22-24: ამან გააკეთა სპილენძის	38,1-5: და გააკეთა სამსხვერპლო

სამსხვერპლო...	სრულადდასაწველისა...
38,25: ამან გააკეთა წმიდა საცხები ზეთი...	37,29: და გაამზადა ზეთი წმიდა ცხებისთვის...
38,26-27: ამან გააკეთა სპილენძის საბანელი...	38,8: და გააკეთა საბანელი სპილენძისა...
39,1-9: მთელი ოქრო...	38,24-31 მთელი ოქრო...
39,10-12 და გააკეთეს ისრაელის ძეგბმა...	39,32 ... და გააკეთეს ისრაელის ძეთ...
39,13-23 და მიიგანეს შესამოსლები მოსესთან...	39,33-43 და მიიგანეს სავანე მოსესთან...

მოწმობის კარვის, აღთქმის კილობნის, მათი აღჭურვილობის და სამღვდლო შესამოსლების შესახებ წიგნი ოთხჯერ გვაუწყებს: პირველად, როდესაც უფალი მოსე წინასწარმეცხველს უცხადებს ქორების მთაზე სჯულს (თავი 25-30-ე); მეორედ, როდესაც უფალი აუწყებს მას, რომ ყველა სამუშაოს შესარულებს ბესელიელი ელიაბთან ერთად (თავი 31-ე); მესამედ, როდესაც მოსე წინასწარმეცხველი ერს გადასცემს უფლის ბრძანებას (თავი 35-ე) და მეოთხედ, როდესაც ბესელიელი დაასრულებს ყველა სამუშაოს (თავი 36-39-ე).

განსხვავება ორ გექსტს შორის, რომელიც ასახულია ზემოთ მოყვანილ გაბულაში, ეხება მეოთხე აღწერას. მასორეგულ გექსტში ბესელიელის მიერ შესრულებული სამუშაო გადმოცემულია თითქმის სიგყვასიგყვით, პირველი აღწერის მიხედვით, ანუ როგორც უფალი ელაპარაკა მოსეს, მაგრამ არ არის დაცული ამ აღწერის თანმიმდევრობა.

სეპტუაგინტა ბესელიელის მიერ შესრულებულ სამუშაოს გაცილებით მოკლედ აღწერს და განსხვავებული თანმიმდევრობით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბერძნული თარგმანის ებრაული დედანი, რომელიც აღებული იყო გაძრიდან, და მასორეგების მიერ რედაქტირებისას გამოყენებული გექსტები, რომლებიც გაძრის დანგრევის შემდეგ აღებული იყო სხვადასხვა სინაგოგიდან, განსხვავებულად ერთმანეთისგან.

I საუკუნეში ებრაული გექსტის განსხვავებული რედაქციების არსებობა დამტკიცდა ყუმრანის აღმოჩენებით. ამ აღმოჩენამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე გექსტის ანალიზის საფუძველზე იმავეს ამტკიცებდნენ წმ. თეოფანე დაყუდებული, პროფ. ნ. გლუბოკოვსკი. ჩვენ მიგვანჩნია, რომ ეკლესიის ავტორიგეგით დამოწმებული სეპტუაგინტა ეკლესიის წიაღშივე უნდა იყოს დაცული. ამ მისიას ემსახურება ჩვენი მთარგმნელობითი საქმიანობა და ამისთვის ვითხოვთ მკითხველისგან ლოცვით თანადგომას.

ბიბლიის თარგმნის ჯგუფი



თავი 1

შს არის სახელები ისრაელის ძეთა, რომლებიც შევიდნენ ეგვიპტეში იაკობთან, თავის ძამასთან, ერთად; თითოეული მთელი თავისი სახელებით შევიდა:

- 2 რუბენი, სიმეონი, ლევი, იუდა,
- 3 ისაქარი, ზაბულონი და ბენიამინი,
- 4 დანი და ნეფთალი, გადი და ასერი.
- 5 ხოლო იოსები იყო ეგვიპტეში. და იყო ყველა სული იაკობისგან სამოცდათხუთმეტი.
- 6 და აღესრულა იოსები და ყველა მისი ძმა და მთელი ის თაობა.
- 7 ხოლო ისრაელის ძენი აღორძინდნენ და გამრავლდნენ და განივრცნენ და გაძლიერდნენ უფრო და უფრო; და ამრავლებდა ქვეყანა მათ.
- 8 და დადგა სხვა მეფე ეგვიპტეში, რომელიც არ იცნობდა იოსებს.
- 9 და უთხრა თავის ნაღსს: აჰა, ისრაელის ძეთა მოდგმა დიდია სიმრავლით და ძლიერია ჩვენსე;
- 10 ამიტომ მოდით, სიბრძნით ვავლობოთ მათ, რომ არ გამრავლდნენ; და როცა მოგვიწდება ჩვენ ბრძოლა, შე-

ემატებიან ესენიც მოწინააღმდეგეებს და შეგვებრძოლებიან ჩვენ და გავლენ ქვეყნიდან.

11 და დაუდგინა მათ საქმეთა ზედამდგომლები, რათა დაეჩაგრათ ისინი საქმეებით; და აუშენეს ძლიერი ქალაქები ფარაონს: ჰითომი და რამესე და ონი, რომელიც არის მზის ქალაქი.

12 და რამდენადაც ამდაბლებდნენ მათ, იმდენად მრავალრიცხოვნნი ხდებოდნენ და ძლიერდებოდნენ უფრო და უფრო; და სძულდათ ეგვიპტელებს ისრაელის ძეები.

13 და მძლავრობდნენ ეგვიპტელები ისრაელის ძეებსე ძალადობით.

14 და მტკივნეულს ხდიდნენ მათ ცხოვრებას თიხისა და ალისის\* მძიმე საქმეებით და ყველა საველე სამუშაოთი, ყოველგვარი საქმით, რომლითაც იმონებდნენ მათ ძალადობით.

15 და უთხრა ეგვიპტელთა მეფემებრავლთა ურმისამქმელებს, მათგან ერთის სახელი – სეფორა და მეორის სახელი – ფუა,

\* ალიმი - გამოუწვავი აგური.

ბამოსპლა 1, 2

16 და უთხრა: როცა ამშობიარებთ  
ებრაელებს, შობისას, თუ ვაჟი იქნება,  
მოკალით იგი, ხოლო თუ ქალი –  
დატოვეთ იგი.

17 და შეემინდათ ყრმისამქმელებს  
ღვთისა და არ გააკეთეს, როგორც  
უბრძანა მათ ეგვიპტის მეფემ, და  
ცოცხალს ტოვებდნენ ვაჟებს.

18 და მოუხმო ეგვიპტის მეფემ  
ყრმისამქმელებს და უთხრა მათ: რატომ  
ნაიდინეთ ეს საქმე და ცოცხალს  
ტოვებდით ვაჟებს?

19 და უთხრეს ყრმისამქმელებმა ფა-  
რაონს: არ არიან ეგვიპტელი დე-  
დაკაცები ებრაელები, რადგან შობენ,  
ვიდრე შევლენ მათთან ყრმისამქმე-  
ლები; და შობდნენ.

20 და სიკეთეს მიაგებდა ღმერთი  
ყრმისამქმელებს და მრავლდებოდა ერი  
და ძლიერდებოდა უფრო.

21 რადგან უმინოდან ყრმისამქმე-  
ლებს ღვთისა, აიძენეს თავისთვის  
სასკლები.

22 და უბრძანა ფარაონმა მთელ თავის  
ერს და უთხრა: ყოველი ვაჟი, რო-  
მელიც იშვება ებრაელთაგან, მდი-  
ნარეში ჩააგდეთ და ყოველი ქალი  
ცოცხალი დატოვეთ.

**თავი 2**

**ღ** ა იყო ვინმე ლევის ტომიდან,  
რომელმაც მოიყვანა ცოლი ლე-  
ვის ასულთაგან და ჰყავდა იგი.

2 და მუცლადილო და შვა ვაჟი; და  
ნასეს, რომ მშენიერი იყო იგი, და  
მალავდნენ მას საძი თვე.

3 ხოლო რადგან აღარ შეეძლოთ  
მისი დამალვა, აიღო მისმა დედამ  
კიდობნაკი და მოგონა იგი ფისით და

ჩააწვინა ყრმა მასში და დედო იგი  
შამხნარში, მდინარის პირას.

4 და უთვალთვალებდა თავისი და  
შორიდან, რათა გაეგო, რა შეემთხვე-  
ოდა მას.

5 და ჩავიდა ფარაონის ასული საბა-  
ნოდ მდინარეზე და მისი მიმუნვარე-  
ბი მიმოდიოდნენ მდინარის პირას; და  
დაინახა კიდობნაკი შამხნარში, გაგზა-  
ვნა მიმუნვარი და ამოიღო იგი.

6 და გახსნა და ხედავს მტირალე  
ყრმას კიდობნაკში და შეებრაღა იგი  
ფარაონის ასულს და თქვა: ებრაელ-  
თა ყრმათაგანია ეს.

7 და უთხრა მისმა დამ ფარაონის  
ასულს: გინდა, მოუხმო შენთვის  
გამხრდელ დედაკაცს ებრაელთაგან  
და გიწოვოს შენ ყრმა?

8 და უთხრა მას ფარაონის ასულმა:  
წადი. და წავიდა ეძიწვილი ქალი და  
მოუხმო ყრმის დედას.

9 და უთხრა მას ფარაონის ასულმა:  
მოუარე ჩემთვის ამ ყრმას და მიწოვე  
მე იგი, ხოლო მე მოგცემ შენ საზღა-  
ურს. და აიყვანა დედაკაცმა ყრმა და  
აწოვებდა მას.

10 და გაიხარდა ყრმა და მოუყვანა  
იგი ფარაონის ასულს, და ჰყავდა მას  
ძედ; და დაარქვა მისი სახელი მოსე  
და თქვა: წყლიდან გამოვიყვანე იგი.

11 და იყო მრავალი დღის შემდეგ,  
დიდი განდა მოსე და გავიდა თავის  
ძმებთან, ისრაელის ძეებთან. და გაიგო  
მათი განაწირი და ხედავს: კაცი ეგ-  
ვიპტელი სცემს ვიდაც ებრაელს, მის  
ძმათაგანს ისრაელის ძეებიდან;

12 და მიმოხედა აქეთ-იქით და ვე-  
რავინ დაინახა და მოკლა ეგვიპტელი  
და დამალა იგი ქვიშიში.

13 და გავიდა მეორე დღეს და ხე-



დაეს: ორი ებრაელი კაცი ჩსუბობს, და ეუბნება დამხავგრელს: რატომ სცემ მოეესს?

14 სოლო მან უთხრა: ვინ დავად-გინა შენ მთავრად და მსაჯულად ჩვენზე? თუ ჩემი მოკვლა გინდა შენ, როგორც მოკალი გუშინ ეგვიანტელი? და შეემინდა მოსეს და თქვა: ნუთუ ასე ცხადი გახდა ეს ამბავი?

15 და გავიო ფარაონმა ეს ამბავი და ეძებდა მოსაკლავად მოსეს; და გაფრიდა მოსე ფარაონის პირს და დამკვიდრდა მადიამის ქვეყანაში; და მივიდა მადიამის ქვეყანაში და დაჯ-

და ჭასთან.

16 სოლო მადიამის მღვდელს ჰუადა შვიდი ასული, რომლებიც მწეესავდნენ თავისი მამის, იოთორის, ცხვარს; და მივიდნენ და იღებდნენ წუალს, ვიდრე არ აავსეს გვეები თავისი მამის, იოთორის, ცხვრის დასარწულებლად.

17 და მივიდნენ მწეესები და გაუარეს ისინი; და ადგა მოსე და დაიცვა ისინი და ამოუღო წუალი მათ და დაალეგინა მათ ცხვარს.

18 და მივიდნენ რაგუელთან,\* თავის მამასთან; და მან უთხრა მათ: რატომ იჩქარეთ მოსვლა დღეს?

19 სოლო მათ უთხრეს: ეგვიანტელმა

\* რაგუელი - მადიამელ მღვდელს ორი სახელი ერქვა.

კაცმა დაგვიცვა ჩვენ მწყემსებისგან და ამოგვიღო ჩვენ წყალი და დააღვინა ჩვენს ცხვარს.

20 და მან უთხრა თავის ასულებს: და სად არის? და ასე რატომ დატოვეთ ის კაცი? მოუხმეთ მას, რომ ჭამოს ზური.

21 და დამკვიდრდა მოსე იმ კაცთან, და მისცა სფოთრა, თავისი ასული, მოსეს ცოლად.

22 და მუცლადილო დედაკაცმა და შვა ძე, და დაარქვა მოსემ მისი სახელი, გერსამი, და თქვა: რადგან მწირი ვარ მე უცხო ქვეყანაში. და კვლავ მუცლადილო და შვა მეორე ძე, და უწოდა მისი სახელი, ელიეზერი, და თქვა: ღმერთი ჩემი მამისა ჩემი ძემწე და მისხნა მე ფარაონის ხელიდან.

23 და მრავალი დღის შემდეგ აღესრულა ეგვიპტის მეფე. და გმინავდნენ ისრაელის ძეები საქმეთა გამო და ღალადებდნენ; და ავიდა მათი ღალადება ღმერთთან საქმეთა გამო.

24 და შეისმინა ღმერთმა მათი ოხვრა და გაისხენა ღმერთმა თავისი აღთქმა აბრაამის და ისაკის და იაკობის მიმართ.

25 და მოხედა ღმერთმა ისრაელის ძეებს და გამოეცნადა მათ.

**თავი 3**

**ღ**ა მოსე იყო მწყემსი იოთორის, თავისი სიძემის, მადიამის ძვადლის, ცხვრისა; და წაიყვანა ცხვარი

უდანობში და მივიდა ღვთის მოსთან, ქორებთან.

2 და ეჩვენა მას უფლის ანგელოზი ცეცხლის ალით მაყვლოვნიდან\* და სედავს, რომ მაყვლოვანი იწვის ცეცხლით და მაყვლოვანი არ იწვება.

3 და თქვა მოსემ: წავალ და ვნახავ ამ დიდ სანახავს, რატომ არ იწვება მაყვლოვანი.

4 სოლო როცა იხილა უფალმა, რომ მიდის სანახავად, მოუხმო მას უფალმა მაყვლოვნიდან და უთხრა: მოსე, მოსე! სოლო მან თქვა: რა არის?

5 და თქვა: ნუ მოახლოვდები აქ; გაინადე სამლი\*\* შენი ფეხებიდან, რადგან ადგილი, რომელზეც შენ დგანარ, წმიდა მიწაა.

6 და უთხრა მას: მე ვარ ღმერთი შენი მამისა, ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა. და იბრუნა მოსემ თავისი პირი, რადგან ეძინოდა ღვთისთვის პირდაპირ შეხედვისა.

7 და უთხრა უფალმა მოსეს: სიღვით ვინილე გაჭირვება ჩემი ერისა, რომელიც არის ეგვიპტეში, და მათი ღალადება ვისმინე საქმის მეთვალყურეთა გამო, რადგან ვიცი მათი სატკივარი;

8 და გარდამოვედი, რათა ვიხსნა ისინი ეგვიპტელთა ხელიდან და გამოვიყვანო ისინი იმ ქვეყნიდან, და შევიყვანო ისინი კეთილსა და დიდ ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი, ქანაანელთა და ქეტელთა და ამორელთა და ფერ-

\* მაყვლოვანი - იგულისხმება ეკლოვანი ბუჩქი.

\*\* სამლი - ფეხსაცმელი, განსხვავებული თანამედროვე ფეხსაცმლისაგან თავისი ფორმით. ყველაზე მეტად სანდალს მოგვაგონებს, რომელსაც გრძელი თასმები ჰქონდა.





ესეულთა და გერგესელთა და ეველთა და იებუსელთა აღგილას.

9 და ახლა, აჰა, ისრაელის ძეთა ღაღადებამ მოაღწია ჩემადღე და მე ვინილე გასაჭირი, რომლითაც ეგვიპტელები აჭირვებენ მათ.

10 და ახლა მოდი, გაგზავნი შენ ფარაონთან, ეგვიპტის მეფესთან, და გამოიყვან ჩემს ერს, ისრაელის ძეებს, ეგვიპტის ქვეყნიდან.

11 და უთხრა მოსემ ღმერთს: ვინ ვარ მე, რომ მივიდე ფარაონთან, ეგვიპტის მეფესთან, და რომ გამოვიყვანო ისრაელის ძეები ეგვიპტის ქვეყნიდან?

12 და უთხრა ღმერთმა მოსეს და თქვა: ვიქნები შენთან, და ეს იყოს შენთვის ნიშანი, რომ მე შენ გგზავნი,

რათა გამოიყვანო შენ ჩემი ერი ეგვიპტიდან; და ემსახურეთ ღმერთის ამ მთასე.

13 და უთხრა მოსემ ღმერთს: აჰა, მე მივალ ისრაელის ძეებთან და ვეტყვი მათ: თქვენი მამების ღმერთმა გამოგზავნა მე თქვენთან. მკითხავენ მე: რა არის მისი სახელი? რა ვუთხრა მათ?

14 და უთხრა ღმერთმა მოსეს: მე ვარ, რომელიც ვარ. და თქვა: ასე უთხარი ისრაელის ძეებს: რომელიც არის, მან გამოგზავნა მე თქვენთან.

15 და უთხრა კვლავ ღმერთმა მოსეს: ასე უთხარი ისრაელის ძეებს: უფალმა ღმერთმა თქვენი მამებისამ და ღმერთმა აბრაამისამ, ღმერთმა ისააკისამ და ღმერთმა იაკობისამ გამოგზავნა მე თქვენთან; ეს არის სახელი საუკურო და სახსენებელი თაობიდან თაობამდე.

ჩემი სახელი საუკურო და სახსენებელი თაობიდან თაობამდე.

16 როცა მიხვალ, შეკრიბე ისრაელის ძეთა უსუცესები და უთხარი მათ: უფალი ღმერთი თქვენი მამებისა მენიჭა მე, ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა, და თქვა: მოხედვით მოგხედეთ თქვენ და იმას, რაც შეგემთხვათ თქვენ ეგვიპტეში,

17 და ვთქვი: ამოვიყვანთ თქვენ ეგვიპტელთა ჩაგვრიდან ქანახელთა და ქეტელთა და ამორელთა და ფერეზელთა და გერგესელთა და ეველთა და იებუსელთა ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი.

18 და შეისმენენ შენი ხმისას; და

შესვალ შენ და ისრაელის ძეთა უხუცესობა ფარაონთან, ეგვიპტის მეფესთან, და ეტყვი მას: ებრაელთა ღმერთი გვიხმობს ჩვენ; ამიტომ გავალთ სამი დღის გზაზე უდაბნოში, რათა მსხვერპლი შევწიროთ ჩვენს ღმერთს.

19 ხოლო მე ვიცი, რომ არ დავანებებთ თქვენ ფარაონი, ეგვიპტის მეფე, წასვლას, თუ არა მტკიცე ხელით.

20 და გავიწვდი ხელს და დავცემ ეგვიპტელებს ეველა ჩემი საკვირველებით, რასაც აღვასრულებ მათ შორის; და ამის შემდეგ გავიშვებთ თქვენ.

21 და მივცემ მადლს ამ ერს ეგვიპტელთა წინაშე; ხოლო როცა გამოიქცევი, ნუ გამოხვალთ ცარიელნი,

22 არამედ ითხოვოს დედაკაცმა თავისი მეზობლისგან და თანამოსახლისგან ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი და სამოსი და შემოსეთ ამით თქვენი ძეგბი და თქვენი ასულები და გავარცხვეთ ეგვიპტელები.

**თავი 4**

და მიუვო მოსემ და უთხრა: თუ არ ირწმუნეს ჩემი, არც შეისმინეს ჩემი ხმისა, არამედ თქვას: არ გეჩვენა შენ ღმერთი, – რა ვუთხრა მათ?

2 და უთხრა მას უფალმა: რა არის ეგ შენს ხელში? ხოლო მან თქვა: კვერთხი.

3 და უთხრა: დაავდე ეგ მიწაზე. და დაავდი იგი მიწაზე, და იქცა გველად. და გაიქცა მოსე მისგან.

4 და უთხრა უფალმა მოსეს: გაი-

წოდე ხელი და სწვდი კუდს. გაიწოდა ხელი და სწვდა კუდს, და იქცა კვერთხად მის ხელში.

5 და უთხრა უფალმა: რათა ირწმუნონ შენი, რომ გეჩვენა შენ უფალი ღმერთი მათი ძამებისა, ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა.

6 და უთხრა მას უფალმა კვლავ: შეეხვი შენი ხელი შენს უბეში. და შეეო თავისი ხელი თავის უბეში; და უთხრა: გამოეხვი შენი ხელი შენი უბიდან. და გამოეო თავისი ხელი თავისი უბიდან და განდა მისი ხელი, როგორც თოვლი.

7 და უთხრა: კვლავ შეეხვი შენი ხელი შენს უბეში. და შეეო ხელი თავის უბეში; და გამოეო იგი თავისი უბიდან და კვლავ დაუბრუნდა თავისი ხორცის ფერი.

8 ხოლო თუ არ ირწმუნეს შენი, არც შეისმინეს პირველი ნიშნის ხმისა, ირწმუნებენ შენგან მეორე ნიშნის ხმისას.

9 და იქნება: თუ არ ირწმუნეს შენი ამ ორი ნიშნით, არც შეისმინეს შენი ხმისა, ამოიღე მდინარიდან წყალი და დაასხი ხმელეთზე, და იქნება წყალი, რომელიც ამოიღე მდინარიდან, სისხლი ხმელეთზე.

10 და უთხრა მოსემ უფალს: გვევდრები, უფალო, არ მქონია უნარი არც გუშინდელ და არც გუშინდელ დღემდე, არც მაშინ, როცა დაიწყე ლაპარაკი შენს მსახურთან; ხმასუსტი და ენაბრკვილი ვარ მე.

11 და უთხრა უფალმა მოსეს: ვინ მისცა პირი კაცს და ვინ შექმნა მტყუველი და მუნჯი, მხედველი და ბრმა, არა მე, უფალმა ღმერთმა?

12 და ახლა წადი, და მე გავხსნი შენს ზირს და გასწავლი შენ, რა უნდა ილაპარაკო.

13 და უთხრა მოსემ: გვედრები, უფალო, აირჩიე სხვა, შემძლე, ვისაც გავზავნი.

14 და განრისხდა გულისწილობით უფალი მოსეზე და თქვა: აჰა, არ არის აარონი, შენი ძმა, ლევიანი? ვიცი, რომ ღაპარაკით ილაპარაკებს იგი შენ ნაცვლად; და აჰა, იგი გამოვა შენ შესაგებებლად და, როცა დაგინახავს შენ, გაინარებს თავის გულში.

15 და ეტყვი მას და გადასცემ ჩემს სიტყვებს მის ზირს; და მე გავხსნი შენს ზირს და მის ზირს და გასწავლით თქვენ, რა გადაკეთოთ.

16 და იგი შენ ნაცვლად დაელაპარაკება ერს და იგი იქნება შენი ზირი, ხოლო შენ მისთვის იქნები იმათგანი, ვინც ღმერთთან არის.

17 და ეგ კვერთხი, გადაქცეული ვეღლად, აილე შენს ხელში, რომლითაც აღასრულებ ნიშნებს.

18 და წავიდა მოსე და დაბრუნდა ითორთან, თავის სიმამრთან, და უთხრა: წავად და დაბრუნდები ჩემს ძმებთან ეგვიპტეში და ვნახავ, თუ არიან კიდევ ცოცხლები. და უთხრა ითორმა მოსეს: იარე უვნებლად. და მრავალი დღის შემდეგ აღესრულა ეგვიპტის მეფე.

19 და უთხრა უფალმა მოსეს მადიამში: იარე, წადი ეგვიპტეში, რადგან დაიხრცა ეველა, ვინც ეძებდა შენს სულს.

20 და წაიყვანა მოსემ ცოლი და შვილები და დასხა ისინი სახედრებზე და დაბრუნდა ეგვიპტეში. და აილო

მოსემ კვერთხი, რომელიც ჰქონდა ღვთისგან, თავის ხელში.

21 და უთხრა უფალმა მოსეს: როცა წახვალ შენ და დაბრუნდები ეგვიპტეში, იხილა ეველა სასწაულს, რომელიც მოგეცი შენ ხელთ; აღასრულე ისინი ფარაონის წინაშე; ხოლო მე გავასახტოებ მის გულს და არ გამოუშვებს ერს.

22 ხოლო შენ უთხარი ფარაონს: ამას ამბობს უფალი: მე, ზირმყოფი, არის ისრაელი;

23 და გითხარი შენ: გამოუშვი ჩემი ერი, რათა მე შემსახუროს; თუ არ გინდა მათი გამოშვება, იხილე, მე მოვკლავ შენს ძეს, ზირმყოფს.

24 და იყო, გზაზე, როცა ისვენებდნენ, მხვდა მას უფლის ანგელოზი და ეძებდა მას მოსაკლავად.

25 და აილო სეფორამ ქვა, დაცვითა თავისი მის წინადაუცვეთელობა და ჩაუვარდა ფეხებში და თქვა: დადგა სისხლი ჩემი ერმის დაცვეთისა.

26 და წავიდა მისგან, რადგან თქვა: დადგა სისხლი ჩემი ერმის დაცვეთისა.

27 და უთხრა უფალმა აარონს: წადი მოსეს შესაგებებლად უდაბნოში; და წავიდა და შეეგება მას ღვთის მთაზე და ეამბორონენ ერთმანეთს.

28 და აუწყა მოსემ აარონს უფლის ეველა სიტყვა, რომელიც მოუვლინა, და ეველა ნიშანი, რაც ამცნო მას.

29 და მივიდა მოსე, და აარონი და შეკრიბეს ისრაელის ძეთა უხუცესობა.

30 და ეუბნებოდა აარონი ეველა იმ სიტყვას, რომელსაც ეუბნებოდა ღმერთი მოსეს, და აღასრულა ნიშნები ერის წინაშე.

31 და ირწმუნა ერმა და გაინარა,

რადგან მოხედა ღმერთმა ისრაელის ძეგს და რადგან იხილა მათი გასაჭირი; და მოიდრიკა ერი და თაყვანი სცა.

**თავი 5**

ღ ა ამის შემდეგ შევიდა მოსე, და აარონი ფარაონთან და უთხრეს მას: ამას ამბობს უფალი ღმერთი ისრაელისა: გამოუშვი ჩემი ერი, რათა იდღესასწაულოს ჩემთვის უდაბნოში.

2 და თქვა ფარაონმა: ვინ არის, ვის ხმასაც შევისმენ, რომ გავუშვა ისრაელის ძენი? არ ვიცი უფალი და ისრაელს არ გავუშვებ.

3 და უთხრეს მას: ებრაელთა ღმერთი გვინძობს ჩვენ; ამიტომ გავაღთ სამი დღის ვახსე უდაბნოში, რათა მსხვერპლი შევწიროთ ჩვენს უფალ ღმერთს, რომ არ შეგვეძინავს ჩვენ სიკვდილი ან მკვლელობა.

4 და უთხრა მათ ეგვიპტის მეფემ: მოსე და აარონ, რატომ აცდენთ ჩემს ერს საქმეებისგან? წადით თითოეული თქვენგანი თქვენს საქმეს.

5 და თქვა ფარაონმა: აჰა, ასლა გამრავლებულია ეს ერი ქვეყანაზე, ამიტომ ხუ დავასვენებთ მათ საქმეებისგან.

6 და უბრძანა ფარაონმა ერის საქმის მეთვალყურეებს და მწიგნობრებს და უთხრა:

7 მეტად ნულარ მისცემთ ბზეს ერს ალიზის საკეთებლად, როგორც გუძინ და გუძინწინ; თვითონ წავიდნენ და შეავროვონ თავისთვის ბზე.

8 და დაწესებული ალიზი, რასაც ისინი აკეთებენ უოველდღე, დააკისრეთ მათ; არ დააკლოთ არაფერი,

12

რადგან მოცლილები არიან; ამიტომ ყვირიან და ამბობენ: წავიდეთ და მსხვერპლი შევწიროთ ჩვენს ღმერთს. 9 დამიძღეს ამ კაცთა საქმეები და შეწუნდნენ მათ გამო და ხუ შეწუნდებიან ფუჭი სიტყვებით.

10 და აჩქარებდნენ მათ საქმის მეთვალყურეები და მწიგნობრები და ეუბნებოდნენ ერს და ამბობდნენ: ამას ამბობს ფარაონი: აღარ გაძლევთ თქვენ ბზეს;

11 თქვენ თვითონ წადით და შეავროვეთ თქვენთვის ბზე, სადაც იპოვით, რადგან არ დააკლდება თქვენთვის დაწესებულს არაფერი.

12 და გაიბნა ერი მთელ ეგვიპტეში, რათა შეეგროვებინათ ნამჯა საბზევედ.


13 ხოლო საქმის მეთვალყურეები აჩქარებდნენ მათ და ეუბნებოდნენ: შეასრულეთ თქვენთვის სავალდებულო დღიური საქმე, როგორც მაძინ, როცა ბზე გეძლეოდით თქვენ.

14 და სცემდნენ ისრაელის ძეთა მოღვმის მწიგნობრები, რომლებიც დადგენილნი იყვნენ მათზე ფარაონის წყაღვლომელთა მიერ, და ეუბნებოდნენ: რატომ არ შეასრულეთ თქვენთვის დაწესებული ალიზის საქმე, როგორც გუძინ და გუძინწინ, დღესაც?

15 და შევიდნენ ისრაელის ძეთა მწიგნობრები და შეჰლადღეს ფარაონს და უთხრეს: რატომ ექცევი ასე შენს მონებს?

16 ბზე არ ეძლევათ შენს მონებს, და ჩვენ ვეუბნებიან, რომ ვაკეთოთ ალიზი, და აჰა, შენს მსახურებს სცემენ; უსამართლოდ ექცევი შენს ერს.

17 და უთხრა მათ: გცაღლიათ, მოცლილები ხართ; ამიტომ ამბობთ: წავიდეთ, მსხვერპლი შევწიროთ ჩვენს



ღმერთს.

18 ახლა წადით და იძრომეთ, რადგან ბზე არ მოგეცემათ თქვენ, და დაწესებულ ალიხს მისცემთ.

19 და ხედავდნენ ისრაელის ძეთა მწიგნობრები თავის თავს განაჭირში, რადგან ეუბნებოდნენ: არ დააკლოთ დღიურად სავალდებულო ალიხს.

20 და შეხვდნენ მოსეს და აარონს, რომლებიც მიდიოდნენ მათთან, ფარაონისგან გამოსულთა, შესახვედრად, 21 და უთხრეს მათ: ვიხილოთ ღმერთმა თქვენ და განსავოს, რადგან შეაძულეთ ჩვენი სუნი ფარაონსა და მის მსახურებს და მიეცით მსხვილი მას ხელში ჩვენს დანახოცად.

22 და მიბრუნდა მოსე უფლისკენ და უთხრა: უფალო, რატომ დანაგრე ეს ერი და რისთვის გამოგზავნე მე?

23 და მას შეძვევ, რაც შევედი ფარაონთან, რომ ელაპარაკა შენი სახელით, დანაგრა ეს ერი, და არ იხსენი შენი ერი.

### თავი 6

**ღ** ა უთხრა უფალმა მოსეს: აჰა, ნანავ, რას გავუკეთებ ფარაონს, რადგან მტკიცე ხელით გაუშვებს მათ და ძალადი მკლავით განდევნის მათ თავისი ქვეყნიდან.

2 და ელაპარაკა ღმერთი მოსეს და

უთხრა მას: მე ვარ უფალი;  
3 და ვეჩვენე აბრაამს და ისააკს და  
იაკობს, რომელთა ღმერთიც ვარ, და  
ჩემი სახელი, უფალი, არ გაუცნადე  
მათ;

4 და დავდე ჩემი ალთქმა მათთან,  
რომ მიეცემ მათ ქანახელთა ქვეყ-  
ანას, ქვეყანას, სადაც მწირნი იყვნენ  
და რომელშიც მწირობდნენ.

5 და მე შევისმინე ოხვრა ისრაელის  
ძეებისა, რომელთაც ეგვიპტელები იძო-  
ნებენ, და გავისხენე თქვენი ალთქმა.

6 წადი, უთხარი ისრაელის ძეებს და  
თქვი: მე ვარ უფალი და გამოვიყ-  
ვანთ თქვენ ეგვიპტელთა მძლავრო-  
ბისგან და ვისხნით თქვენ მონობისგან  
და გავათავისუფლებთ თქვენ მაღალი  
მკლავით და დიდი მსჯავრით,

7 და მივიღებთ თქვენ ჩემს ერად და  
ვიქნები თქვენი ღმერთი და გაიგებთ,  
რომ მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი,  
რომელიც გამოვიყვანთ თქვენ ეგ-  
ვიპტელთა მძლავრობისგან,

8 და შევიყვანთ თქვენ ქვეყანაში,  
რომლისკენაც გავიწოდე ჩემი ხელი,  
რათა მიმეცა იგი აბრაამისთვის და  
ისააკისთვის და იაკობისთვის, და მოგ-  
ცემთ თქვენ მას სამკვიდრებლად, მე,  
უფალი.

9 და ასე ელაპარაკა მოსე ისრაელის  
ძეებს, და არ შეისმინეს მოსესი სულმო-  
კლეობისა და მძიმე საქმეების გამო.

10 და უთხრა უფალმა მოსეს და  
თქვა:

11 შედი და ელაპარაკე ფარაონს,  
ეგვიპტის მეფეს, რათა გამოუშვას  
ისრაელის ძეები თავისი ქვეყნიდან.

12 და ელაპარაკა მოსემ უფლის წინაშე  
და თქვა: აჰა, ისრაელის ძეებმა არ  
შეისმინეს ჩემი და როგორ შეისმენს

ჩემსას ფარაონი? რადგან მე უტყვი  
ვარ.

13 და უთხრა უფალმა მოსეს და  
აარონს და უბრძანა მათ მესვლა  
ფარაონთან, ეგვიპტის მეფესთან, რათა  
გაეშვა ისრაელის ძეები ეგვიპტის ქვეყ-  
ნიდან.

14 და ესენი არიან წინამძღვრები  
თავისი მამისეული სახლებისა: ძენი  
რუენისა, ისრაელის ჰირმოსი: ენუ-  
ქი და ფალუსი, ასრომი და ქარმი;  
ეს არის რუენის ნათესაობა.

15 და სიმეონის ძენი: ემუელი და  
იამინი და ოადი და იაქინი და საარი  
და საული, რომელიც ჰყავდა ფინიკ-  
იელისგან; ეს არის სიმეონის ძეთა  
საკვარეულო.

16 და ეს არის ლევის ძეთა სახელები  
მათი ნათესაობის მიხედვით: გეთსო-  
ნი, კათი და მერარი; და ლევის  
სიცოცხლის წლები – ასოცდაჩვიდ-  
მეტი.

17 და ესენი არიან გეთსონის ძენი:  
ლობენი და სემეი – მათი მამისეული  
სახელები.

18 და კათის ძენი: ამრამი და  
ისაარი, ქებრონი და ოზიელი; და  
კათის სიცოცხლის წლები – ასოც-  
დაცამეტი წელი.

19 და მერარის ძენი: მოოლი და  
ომუსი. ეს არის ლევის მამისეული  
სახელები მათი ნათესაობის მიხედვით.

20 და მოიყვანა ამრამმა იოქაბელი,  
თავისი მამის ძმის ასული, თავისთვის  
ცოლად, და უშვა მას აარონი და  
მოსე და მარამი, მათი და; ხოლო  
ამრამის სიცოცხლის წლები – ასოც-  
დაჩვიდმეტი წელი.

21 და ისაარის ძენი: კორე და ნაფე-  
გი და ზეჟრი.

22 და ოსიელის ძენი: მისაელი და ელისაფანი და სეტრი.

23 და მოიყვანა აარონმა ელისაბედი, ამინადაბის ასული, ნაასონის და, თავისთვის ცოლად, და უძვა მას ნადაბი და აბიუდი და ელეაზარი და ითამარი.

24 და კორეს ძენი: ასირი და ელეკანა და აბიასაფი; ეს არის კორეს შთამომავლობა.

25 და ელეაზარმა, აარონის ძემ, მოიყვანა ფუტეელის ასულთაგან თავისთვის ცოლი, და უძვა მას ფინეხი. ესენი არიან ლევიანთა მამობის დასაბამნი მათი შთამომავლობის მიხედვით.

26 ეს აარონი და მოსე არიან, რომელთაც უთხრა ღმერთმა, რომ გამოეყვანათ ისრაელის ძეები ეგვიპტის ქვეყნიდან მათი ძალითურთ;

27 ესენი არიან, რომლებიც ეუბნებოდნენ ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, და გამოიყვანეს ისრაელის ძეები ეგვიპტიდან – ეს აარონი და მოსე.

28 იმ დღეს ელაპარაკა უფალი მოსეს ეგვიპტის ქვეყანაში,

29 და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: მე ვარ უფალი; უთხარი ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, რასაც მე გუებნები შენ.

30 და თქვა მოსემ უფლის წინაშე: აჰა, მე სმასუსტი ვარ და როგორ შეისმენს ჩემსას ფარაონი?

**თავი 7**

**ღ**ა უთხრა უფალმა მოსეს და თქვა: აჰა, მივეცი შენი თავი ღმერთად ფარაონს და აარონი, შენი ძმა, იქნება შენი წინასწარმეტყველი; 2 და შენ ეტყვი მას ეველაფერს,

რასაც შენ გიბრძანებ, ხოლო აარონი, შენი ძმა, ეტყვის ფარაონს, რომ გამოუძვას ისრაელის ძენი თავისი ქვეყნიდან.

3 ხოლო მე გაუუსასტიკებ ფარაონს გუელს და გაუძრავლებ ჩემს ნიშნებს და სასწაულებს ეგვიპტის ქვეყანაში.

4 და არ შეისმენს თქვენსას ფარაონი; და აღუძრათაუ ჩემს ხელს ეგვიპტეზე და გამოვიყვან ჩემი ძალით ჩემს ერს, ისრაელის ძეებს, ეგვიპტის ქვეყნიდან დიდი შურისგებით;

5 და გაიგებს ყველა ეგვიპტელი, რომ მე ვარ უფალი, რომელმაც გავიწოდე ხელი ეგვიპტეზე, და გამოვიყვან ისრაელის ძეებს მათგან.

6 და გააკეთეს მოსემ და აარონმა, როგორც უბრძანა მათ უფალმა, ისე გააკეთეს.

7 და მოსე იყო ოთხმოცი წლისა, ხოლო აარონი, მისი ძმა – ოთხმოცდასამი წლისა, როცა ელაპარაკნენ ფარაონს.

8 და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს და თქვა:

9 და თუ დაველაპარაკებთ თქვენ ფარაონი და გეტყვით: მოგვეცი ჩვენ ნიშანი ან სასწაული, – უთხარი აარონს, შენს ძმას: აილე კვერთხი და დაგდე იგი მიწაზე ფარაონის წინაშე და მის მსახურთა წინაშე, – და იქცევა გველეშაპად.

10 და შევიდნენ მოსე და აარონი ფარაონისა და მის მსახურთა წინაშე და გააკეთეს ისე, როგორც უბრძანა მათ უფალმა; და დაგდო აარონმა კვერთხი ფარაონის წინაშე და მის მსახურთა წინაშე და იქცა გველეშაპად.

11 და მოიხმო ფარაონმა ეგვიპტის

ბრძენნი და გრძნეულნი და გააკეთეს ეგვიპტელთა მისხებმაც თავისი გრძნეულებით ასევე.

12 და დააგდო თითოეულმა თავისი კვერთხი, და იქცნენ გველეშაბად; და შთანთქა აარონის კვერთხმა მათი კვერთხები.

13 და გაუმაგრდა გული ფარაონს და არ შეისმინა მათი, როგორც ელანარაკა მათ უფალი.

14 და უთხრა უფალმა მოსეს: დამდიმბებულია ფარაონის გული, რომ არ გაუშვას ერი.

15 მიდი ფარაონთან განთიადისას; აჰა, იგი გამოდის წყალზე, და დადექი და შეხვდი მას ნაწიროზე და კვერთხი, გადაქცეული გველად, აიღე მენს ხელში

16 და უთხარი მას: ებრაელთა უფალმა ღმერთმა გამოგზავნა მე შენთან და თქვა: გამოუშვი ჩემი ერი, რათა მე შემსახუროს უდაბნოში; და აჰა, არ შეისმინე აქამდე.

17 ამას ამბობს უფალი: ამით გაიგებთ, რომ მე ვარ უფალი; აჰა, მე დაუკრავ კვერთხს, რომელიც ჩემს ხელშია, მდინარის წყალზე და გადაიქცევა სისხლად;

18 და თევზები, რომლებიც მდინარეში არიან, გაწუდებიან და აუროლდება მდინარე, და ვერ შეძლებენ ეგვიპტელები წყლის დაღვევას მდინარიდან.

19 და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს, შენს ძმას: აიღე შენი კვერთხი და გაიწოდე შენი ხელი ეგვიპტის წყლებზე და მათ მდინარეებზე და მათ არხებზე და მათ ტბებზე და მათ ყოველ წყალსატევზე, და იქნება სისხლი. და იყო სისხლი ეგ-

ვიპტის მთელ ქვეყანაში, ხეებსა და ქვებში.

20 და გააკეთეს მოსემ და აარონმა ისე, როგორც უბრძანა მათ უფალმა; და აღმართა აარონმა თავისი კვერთხი და დაჰკრა მდინარის წყალს ფარაონის წინაშე და მის მსახურთა წინაშე და გადაიქცა მთელი წყალი მდინარეში სისხლად.

21 და თევზები, რომლებიც მდინარეში იყვნენ, გაწუდნენ და აუროლდა მდინარე და არ შეეძლოთ ეგვიპტელებს წყლის დაღვევა მდინარიდან, და იყო სისხლი ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

22 და გააკეთეს ასევე ეგვიპტელთა მისხებმაც თავისი გრძნეულებით; და გასასტიკდა ფარაონის გული და არ შეისმინა მათი, როგორც თქვა უფალმა.

23 და დაბრუნდა ფარაონი და შევიდა თავის სახლში და არ შეაჩერა თავისი გონება არც ამაზე.

24 და გათხარა ყველა ეგვიპტელმა მდინარის გარშემო, რომ დაეღლით წყალი, და არ შეეძლოთ წყლის დაღვევა მდინარიდან.

25 და შესრულდა შვიდი დღე მას შემდეგ, რაც დაჰკრა უფალმა მდინარეს.

**თავი 8**

**ღ**ა უთხრა უფალმა მოსეს: შედი ფარაონთან და უთხარი მას: ამას ამბობს უფალი: გამოუშვი ჩემი ერი, რათა მე შემსახუროს;

2 ხოლო თუ არ გინდა შენ გამოუგება, აჰა, მე შევმუსრავ შენს ყველა სახლვარს ბაყაყებით.

3 და ამოანთხევს მდინარე ბაყაყებს, და ამოვლენ და შევლენ შენს სახ-



ლებში და შენს საძინებელ ოთახებში და შენს საწოლებზე და შენს მსახურთა და შენი ერის სახლებში და შენს ცომეულსა და შენს საცხობებში; 4 და შენზე და შენს მსახურებზე და შენს ერზე ავლენ ბაყაყები.

5 და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს, შენს ძმას: გაიწოდე ხელით შენი კვერთხი მდინარეებზე და არხებზე და ტბებზე და ამოიყვანე ბაყაყები.

6 და გაიწოდა აარონმა ხელი ეგვიპტის წყლებზე და ამოიყვანა ბაყაყები; და ამოვიდნენ ბაყაყები და დაფარეს ეგვიპტის ქვეყანა.

7 და გააკეთეს ასევე ეგვიპტის მისხნებამაც თავისი გრძნეულებით და ამოიყვანეს ბაყაყები ეგვიპტის მიწაზე.

8 და მოუხმო ფარაონმა მოსეს და აარონს და უთხრა: იღოცეთ ჩემთვის უფლის მიძართ და მომძორდნენ ბაყაყები მე და ჩემს ერს, და გავუძვებ ერს, და მსხვერპლი შესწირონ უფალს.

9 და უთხრა მოსემ ფარაონს: დამიწესე მე, როდის ვილოცო შენთვის და შენი მსახურებისთვის და შენი ერისთვის, რომ გაქრნენ ბაყაყები შეგან და შენი ერისგან და თქვენი სახლებიდან, მხოლოდ მდინარეში დარჩებიან.

10 ხოლო მან თქვა: სვალ. ამიტომ უთხრა: როგორც თქვი, რათა იცოდე, რომ არ არის სხვა, გარდა უფლისა;

11 და მოეშორდებიან ბაყაყები შენ და თქვენს სახლებს და ეხოებს და შენს მსახურებს და შენს ერს, მხოლოდ მდინარეში დარჩებიან.

12 და გამოვიდა მოსე, და აარონი ფარაონისგან; და შეჰლაღადა მოსემ უფალს, რათა ზღვარი დაედო ბაყაყე-

ბისთვის, როგორც შეჰპირდა ფარაონს.

13 და გააკეთა უფალმა, როგორც თქვა მოსემ, და გაწუდნენ ბაყაყები სახლებიდან და ეხოებიდან და მინდვრებიდან;

14 და შეაგროვეს ისინი ზვინ-ზვინად და აწოლდა ქვეყანა.

15 და ნახა ფარაონმა, რომ მიეცა შვეება, და დამძიდა მისი გული, და არ შეისმინა მათი, როგორც ელაზარაკა უფალი.

16 და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს: გაიწოდე ხელით შენი კვერთხი და დაჰკარი მიწის მტკვერს და იქნება მუძლი ადამიანთა შორის და ოთხფეხთა შორის და ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

17 გაიწოდა აარონმა ხელით კვერთხი და დაჰკრა მიწის მტკვერს და გაჩნდა მუძლი ადამიანთა შორის და ოთხფეხთა შორის, და მიწის მთელ მტკვერში გაჩნდა მუძლი, ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

18 და გააკეთეს ასევე მისხნებამაც თავისი გრძნეულებით მუძლის გამოსაყვანად და ვერ შეძლეს. და იყო მუძლი ადამიანთა შორის და ოთხფეხთა შორის.

19 უთხრეს მისხნებმა ფარაონს: ღვთის თითია ეს. და გასასტიკდა ფარაონის გული, და არ შეისმინა მათი, როგორც ელაზარაკა უფალი.

20 და უთხრა უფალმა მოსეს: ადექი განთიადისას და დადექი ფარაონის წინაშე; და აჰა, იგი გამოვა წყალზე, და უთხარი მას: ამას ამბობს უფალი: გამოუშვი ჩემი ერი, რათა მე შემსახუროს უდაბნოში;

21 ხოლო თუ არ მოინდომებ ჩემი ერის გაშვებას, აჰა, მე მოვაავლენ

შენზე და შენს მსახურებზე და შენს ერზე და თქვენს სახლებზე ძაღლის მწერს\*, და აივსება ეგვიპტელთა სახლები და მიწა, რომელზეც არიან, ძაღლის მწერით.

22 და საკვირველს გაუხდი იმ დღეს ვესემის მიწას, სადაც ჩემი ერი, იქ, სადაც არ იქნება ძაღლის მწერი, რათა იხილო, რომ მე ვარ უფალი, უფალი მთელი ქვეყნისა.

23 და დავდებ განყოფს ჩემს ერსა და შენს ერს შორის; და ხვალ იქნება ეს ნიშანი მიწაზე.

24 და გააკეთა უფალმა ასე და განიდა ძაღლის მწერის სიმრავლე ფარაონის სახლებში და მის მსახურთა სახლებში და ეგვიპტის მთელ ქვეყანაში და მოისრა ქვეყანა ძაღლის მწერისგან.

25 და მოუხმო ფარაონმა მოსეს და აარონს და უთხრა: მოდი და მსხვერპლი შესწირეთ თქვენს ღმერთს ამ ქვეყანაში.

26 და თქვა მოსემ: არ შეიძლება მოხდეს ასე, რადგან სისაძაგლეა ეგვიპტელთათვის, რასაც შევწირავთ ჩვენს უფალ ღმერთს; რადგან, თუ შევწირავთ ეგვიპტელთათვის სისაძაგლეს მათ თვალწინ, ჩავკოლავენ.

27 სამი დღის გზაზე გავალთ უდაბნოში და მსხვერპლს შევწირავთ ჩვენს უფალ ღმერთს, როგორც კვითხრა ჩვენ.

28 და თქვა ფარაონმა: მე გაგიშვებთ თქვენ და მსხვერპლი შესწირეთ თქვენს უფალ ღმერთს უდაბნოში, მაგრამ შორს ნუ წახვალთ; ილოცეთ ჩემთვის უფლის მიმართ.

29 და უთხრა მოსემ: აჰა, მე გავალ შენგან და ვილოცებ ღვთის მიმართ, და გავა ძაღლის მწერი შენგან და შენი მსახურებისგან და შენი ერისგან ხვალ. მეტად ნულარ მეცდები, ფარაონო, იმით, რომ არ გაუშვებ ერს, რათა მსხვერპლი შესწიროს უფალს.

30 და გამოვიდა მოსე ფარაონისგან და ილოცა ღვთის მიმართ;

31 და გააკეთა უფალმა, როგორც თქვა მოსემ, და მოშორდა ძაღლის მწერი ფარაონს და მის მსახურებს და მის ერს, და არ დარჩა არცერთი.

32 და დაიმძიმა ფარაონმა თავისი გული ამქადადაც და არ ისურვა ერის გამგება.

**თავი 9**

**ღ**ა უთხრა უფალმა მოსეს: შედი ფარაონთან და უთხარი მას: ამას ამბობს უფალი ღმერთი ებრაელები-სა: გამოუვი ჩემი ერი, რათა მე შემსახუროს.

2 თუ არ გინდა ჩემი ერის გამოშვება, არამედ კვლავ დააკავებ მას,

3 აჰა, უფლის ხელი იქნება შენს ჰირუტყვზე, რომელიც არის ველად, ცხენებზე და სახედრებზე და აქლემებზე და ძროხებზე და ცხვრებზე – სიკვდილი ძლიერ დიდი.

4 და საკვირველებას მოვანდენ მე იმ დროს ეგვიპტელთა ჰირუტყვს შორის და ისრაელის ძეთა ჰირუტყვს შორის; არ მოკვდება ისრაელის ძეთა ჰირუტყვთაგან არცერთი.

5 და დაუდო ღმერთმა ზღვარი და თქვა: ხვალ აღასრულებს უფალი ამ

\* ძაღლის მწერი - მკებნარი, გარკვეული სახეობის ბუზი.

სიტყვას ქვეყანაზე.

6 და აღასრულა უფალმა ეს სიტყვა მეორე დღეს და დაისოცა ეგვიპტელთა მთელი ზირუტყვი, სოლო ისრაელის ძეთა ზირუტყვთაგან არ მოკვდა არცერთი.

7 და ნახა ფარაონმა, რომ არ მოკვდა ისრაელის ძეთა ზირუტყვთაგან არცერთი, დამძიდა ფარაონის გული, და არ გაუშვა ერი.

8 და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს და თქვა: აიღეთ თქვენ და აივსეთ ხელები ღუძლის ნაცრით და ააფრქვიოს მოსემ ცისკენ ფარაონის წინაშე და მის მსახურთა წინაშე.

9 და იუოს მტვერი ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე, და იქნება ადამიანებზე და ოთხფეხზე წყლულები, ხირქოვანი გამონაყარი, ადამიანებში და ოთხფეხში და ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

10 და აიღო ღუძლის ნაცარი ფარაონის წინაშე და ააფრქვია იგი მოსემ ცისკენ და იყო წყლულები, ხირქოვანი გამონაყარი, ადამიანებში და ოთხფეხში.

11 და არ შეეძლოთ გრძნეულებს დგომა მოსეს წინაშე წყლულების გამო, რადგან იყო წყლულები გრძნეულებში და ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

12 და გაასასტიკა უფალმა ფარაონის გული და არ შეისმინა მათი, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

13 და უთხრა უფალმა მოსეს: ადექი განთიადისას და დადექი ფარაონის წინაშე და უთხარი მას: ამას ამბობს უფალი ღმერთი ებრაელებისა: გამოუძვი ჩემი ერი, რათა შემსახუროს მე.

14 რადგან ამჟამად მე მოვუვლენ ვეველა ჩემს შესამთხვეველს შეს და შენი მსახურების და შენი ერის გულის, რათა იხილო, რომ არ არის სხვა,

როგორც მე, მთელ ქვეყანაზე.

15 რადგან ახლა მოვავლენ ხელს და დავცემ შენ და შეს ერს სიკვდილით და აღვსოცავ მიწისაგან;

16 და იმის გამო იყავი დაცული, რათა გამოვანიხო შენით ჩემი ძალა, რომ განითქვას ჩემი სახელი მთელ ქვეყანაზე.

17 შენ კვლავ აუოენებ ჩემს ერს, რომ არ გაუშვა იგი.

18 აჰა, მე ვაწვიმებ ხვალ ამ დროს ძლიერ დიდ სეტყვას, რომლისმავარიც არ ყოფილა ეგვიპტეში იმ დღიდან, რაც შეიქმნა, ამ დღემდე.

19 ამიტომ ახლა იჩქარე შეკრება შენი ზირუტყვისა და რაც შენია ვეულად, რადგან ვეველა კაცსა და ზირუტყვს, რომლებიც აღმოჩნდებიან ვეულად და არ ძველენ სახლში, დაეცემა მათ სეტყვა და დახოცაუს.

20 ვინც უფლის სიტყვის მოძიმი იყო ფარაონის მსახურთაგან, შეკრიბა თავისი ზირუტყვი სახლებში.

21 სოლო ვინც არ მიაპყრო ვონება უფლის სიტყვას, დატოვა ზირუტყვი ვეულად.

22 და უთხრა უფალმა მოსეს: გაიწოდე შენი ხელი ცისკენ და იქნება სეტყვა ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე, ადამიანებზე და ზირუტყვზე და ყოველ მცენარეზე, რაც მიწაზეა.

23 და გაიწოდა მოსემ ხელი ცისკენ და უფალმა გამოსცა ქუხილი და სეტყვა და ედებოდა ცეცხლი მიწას, და ასვიდა უფალმა სეტყვა ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე.

24 და იყო სეტყვა და მოვიზვიე ცეცხლი სეტყვაში; სოლო სეტყვა – ძლიერ, ძლიერ დიდი, რომლისმავარიც არ ყოფილა ეგვიპტეში მას

შემდეგ, რაც გაჩნდა იქ ხალხი.

25 და დასცა სეტყვამ ეგვიპტის მთელ ქვეყანაში კაციდან ზირუტყვამდე, და უველა მცენარე ველად დასცა სეტყვამ, და უველა ხე ველად განადგურა;

26 მხოლოდ გესემის მიწაზე, სადაც იუენენ ისრაელის ძენი, არ იყო სეტყვა.

27 და გაგზავნა ფარაონმა და მოუხმო მოსეს და აარონს და უთხრა მათ: შევცოდეთ ახლავ; უფალი მართალია, ხოლო მე და ჩემი ერი – უღვთო.

28 ამიტომ ილოცეთ ჩემთვის უფლის მიმართ და შეწყდეს ღვთის ქუხილი და სეტყვა და ცუცხლი; და გაგიშვებთ თქვენ და მეტად აღარ დაგტოვებთ.

29 და უთხრა მას მოსემ: როგორც კი გავალ ქალაქიდან, გავიწვი ჩემს ხელეებს უფლის მიმართ და ქუხილი შეწყდება, და წვიმა და სეტყვა აღარ იქნება; რათა იცოდეთ, რომ უფლისაა ქვეყანა.

30 და შენ და შენს მსახურებს, ვიცი, რომ ჯერ არ გეშინიათ უფლისა.

31 და სელი და ქერი დაზიანდა, რადგან ქერი ამოხრდილი იყო, ხოლო სელს თესლი ჰქონდა.

32 ხოლო ხორბალი და ასლი არ დაზიანდა, რადგან საგვიანო იყო.

33 და გამოვიდა მოსე ფარაონისგან ქალაქგარეთ და განწოდა ხელეები უფლის მიმართ და შეწყდა ქუხილი და სეტყვა და წვიმა აღარ ეწვეთებოდა მიწას.

34 და ნანა რა ფარაონმა, რომ შეწყდა წვიმა და სეტყვა და ქუხილი, შეჰმატა ცოდვას და დამძიდა მისი გული და მისი მსახურებისა.

35 და გასასტიკდა ფარაონის გული, და არ გაუშვა ისრაელის ძენი, როგორც

ელაზარაკა უფალი მოსეს.

### თავი 10

**10** და უთხრა უფალმა მოსეს და თქვა: შედი ფარაონთან, რადგან მე გავასასტიკე მისი და მისი მსახურების გული, რათა შემდეგაც მოიწიოს ეს ნიშნები მათზე;

2 რათა თქვათ თქვენი შვილებისა და თქვენი შვილთაშვილების უურადსაღებად, როგორ დაუცინე ეგვიპტელებს და ჩემი ნიშნები აღვასრულე მათ შორის; და გეცოდინებთ, რომ მე ვარ უფალი.

3 და შევიდა მოსე, და აარონი ფარაონის წინაშე და უთხრეს მას: ამახ ამბობს უფალი ღმერთი ებრაელთა: როდემდე არ გინდა, რომ მომეროდო მე? გამოუშვი ჩემი ერი, რათა შემსახუროს მე.

4 ხოლო თუ არ გსურს შენ ჩემი ერის გამოშვება, აჰა, მე მოვავლენ ამ დროს, სვალ უამრავ კალიას მთელ შენს საზღვრებში,

5 და დაფარავს მიწის ჰირს და ვერ შემდეგ მიწის დანახვას, და შეჭამს ყოველივე მორჩენილს, დატოვებულს მიწაზე, რაც დაგიტოვებთ თქვენ სეტყვამ, და შეჭამს ყოველ ხეს, აღმოცენებულს თქვენთვის მიწაზე;

6 და აივსება შენი სახლები და შენი მსახურთა სახლები და უველა სახლი ეგვიპტის მთელ ქვეყანაში, რაც არასდროს უნახავთ შენს მამებს, არც მათ მამა-პაპებს იმ დღიდან, რაც გაჩნდნენ ქვეყანაზე, ამ დღემდე. და გაბრუნდა მოსე და გავიდა ფარაონისგან.

7 და უთხრეს ფარაონის მსახურებმა

მას: როდემდე იქნება ჩვენზე ეს ტან-  
ჯვა? გაუძვი ეს კაცები, რომ ემსახუ-  
რონ თავის უფალ ღმერთს. თუ ვინ-  
და ნახო, რომ იღუპება ეგვიპტე?  
8 და მოაბრუნეს მოსე და ააბონი  
ფარაონთან, და უთხრა მათ: წადით  
და ემსახურეთ თქვენს უფალ ღმერთს.  
ვინ და ვინ არიან წამსვლელები?  
9 და უთხრა მოსემ: ჭაბუკებთან და  
მოხუცებთან ერთად წავალთ, ჩვენს  
ძებთან და ასულებთან და ცხვართან  
და ძროხასთან ერთად, რადგან დღესას-  
წაულია ჩვენი უფალი ღმერთისა.  
10 და უთხრა მათ: იყოს ასე, უფალი  
თქვენთან არის; როგორც ვიძუებთ თქვენ,  
განა ისე თქვენს მონაგარსაც? ნახეთ,  
რადგან ბოროტება წინ ვიდევთ თქვენ.  
11 ასე არა, არამედ წადით მა-  
მაკაცები და ემსახურეთ ღმერთს,  
რადგან ამას თვითონ ეძებთ. და გამო-  
ყარეს ისინი ფარაონის ჰირისგან.  
12 და უთხრა უფალმა მოსეს: გაი-  
წოდე ხელი ეგვიპტის ქვეყანაზე და  
ამოვა კალია მიწაზე და მეჭამს მიწის  
ყოველ მცენარეს და ხის ყოველ ნაყ-  
ოფს, რაც გადაურჩა სეტყვას.  
13 და აღმართა მოსემ კუერთხი ცის-  
კენ და უფალმა მოაფლინა სამხრეთის  
ქარი ქვეყანაზე მთელი ის დღე და  
მთელი ღამე; განთიადი დადგა და  
სამხრეთის ქარმა აუარა კალია  
14 და მოჰფინა იგი ეგვიპტის მთელ  
ქვეყანაზე, და შეესია ეგვიპტის ყვე-  
ლა საზღვარს ძალიან ბევრი – ამაზე  
წინ არ ყოფილა ამდენი კალია და  
ამის შემდეგაც არ იქნება ასე –  
15 და დაფარა მიწის ჰირი და განიწნა  
მიწა; და მეჭამა მიწის ყოველი მცენარე  
და ხის ყოველი ნაყოფი, რაც გადარჩა  
სეტყვისგან; არ დარჩა არანაირი სიმწვანე

ხეებზე და ვეღად არც ერთ მცენარეზე  
ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.  
16 და იხილა ფარაონმა და იხმო  
მოსე და ააბონი და უთხრა: შეე-  
ცოდეთ თქვენი უფალი ღმერთის წი-  
ნაზე და თქვენ მიძარბო.  
17 ამიტომ შეძინდეთ მე ჩემი ცოდვა  
ამჯერადაც და ილოცეთ თქვენი უფ-  
ალი ღმერთის მიძარბო და მომძორდეს  
მე ეს სიკვდილი.  
18 და გამოვიდა მოსე ფარაონისგან  
და ილოცა ღვთის მიძარბო.  
19 და გამოიყვანა უფალმა ძლიერი  
ქარი ზღვიდან და აუარა კალია და  
ჩაყარა იგი მუწამულ ზღვაში და არ  
დარჩა ერთი კალიაც ეგვიპტის მთელ  
ქვეყანაში.  
20 და გაასახტოკა უფალმა ფარაონის  
გული, და არ გაუშვა ისრაელის ძენი.  
21 და უთხრა უფალმა მოსეს: გაი-  
წოდე შენი ხელი ცისკენ და იყოს  
სიბნელე ეგვიპტის ქვეყანაზე, ხელ-  
შესახები სიბნელე.  
22 და გაიწოდა მოსემ ხელი ცისკენ და  
იყო სიბნელე, წყვილი, ქარიძალი  
ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე სამი დღე.  
23 და ვერ დაინახა ვერავინ თავისი  
ძმა სამი დღე და ვერ ადგა ვერავინ  
თავისი საწოლიდან სამი დღე; ხოლო  
ისრაელის ყველა ძისთვის იყო სი-  
ნათლე ყველგან, სადაც იმყოფებოდ-  
ნენ.  
24 და მოუხმო ფარაონმა მოსეს და  
ააბონს და უთხრა: წადით, ემსახუ-  
რეთ თქვენს უფალ ღმერთს, მხო-  
ლოდ ცხვარი და ძროხა დატოვეთ;  
და თქვენი მონაგარი გაუდეს თქვენთან  
ერთად.  
25 და უთხრა მოსემ: მაგრამ შენც  
მოგვეცი ჩვენ ყოვლადდასაწველნი და

მსხვერპლნი, რომელთაც მოუშინა-  
დებთ ჩვენს უფალ ღმერთს,  
26 და ჩვენი პირუტყვი წამოვა ჩვენთან  
ერთად და არ დაუტოვებთ ჩლიქსაც,  
რადგან მათგან ავიღებთ, რომ ვემ-  
სახსუროთ ჩვენს უფალ ღმერთს; და  
ჩვენ არ ვიცით, რით ვემსახუროთ  
ჩვენს უფალ ღმერთს, ვიდრე არ  
მივაღთ ჩვენ იქ.

27 და გაასახტიკა უფალმა ფარაონის  
გული, და არ მოინდომა მათი გაშვება.

28 და უთხრა ფარაონმა: წადი ჩემ-  
გან, გაფრთხილდი მენ, რომ მეტად  
აღარ ხართ ჩემი პირი, რადგან, რომელ  
დღესაც შეჩვენებთ მე, მოკვდები.

29 და უთხრა მოსემ: როგორც თქვი,  
აღარ ვეჩვენებთ მენს პირს.

**თავი 11**

და უთხრა უფალმა მოსეს: კიდევ  
ერთ დარტყმას მივაყენებ ფა-  
რაონს და ეგვიპტეს და ამის შემდეგ  
გავიშვებთ იგი თქვენ აქედან; სოლო  
როცა გავიშვებთ თქვენ, ეველფერ-  
თან ერთად განდევნით განვდევნით  
თქვენ.

2 ამიტომ ილაპარაკე ფარულად ერის  
უურადასაღებად და ითხოვს თითოეულ-  
მა მესობელი მამაკაცისგან და დედაკაც-  
მა მესობელი დედაკაცისგან ვერცხ-  
ლის და ოქროს ჭურჭელი და სამო-  
სი.

3 სოლო უფალმა მისცა მადლი თავის  
ერს ეგვიპტელთა წინაშე, და ასარგე-  
ბლეს იგი; და ეს კაცი, მოსე, ძლიერ  
განდიდდა ეგვიპტელთა წინაშე და  
ფარაონის წინაშე და ეველა მისი  
მსახურის წინაშე.

4 და თქვა მოსემ: ამას ამბობს უფა-

ლი: შუადამისას მე შევალ ეგვიპტის  
შუაგულში,

5 და აღესრულება ყოველი პირმო-  
ეგვიპტის ქვეყანაში პირმოდან ფა-  
რაონისა, რომელიც ზის ტანტსე,  
პირმომდე მხევისა, რომელიც არის  
საფქვაუთან, და ყოველი პირუტყვის  
პირმომდე.

6 და იქნება დიდი დაღადება ეგვიპ-  
ტის მიულ ქვეყანაში, როგორც არ  
ყოფილა და როგორც აღარ იქნება  
მეტად.

7 სოლო ისრაელის ძეთა შორის  
ძაღლიც არ შეუღრენს თავისი ენით  
არცერთს კაციდან პირუტყვამდე, რათა  
ინილო, რა საკვირველებას მოახდენს  
უფალი ეგვიპტელებსა და ისრაელს  
შორის.

8 და მოვა ეველა ეს მენი ყრმა  
ჩემთან და თაყვანს მცემს მე და  
მეტყვის: გადი მენ და მთელი მენი  
ერი, რომელსაც მენ უძღვი; და ამის  
შემდეგ გავალ. და გამოვიდა მოსე  
ფარაონისგან გულისწილობით.

9 და უთხრა უფალმა მოსეს: არ  
შეისმენს თქვენსას ფარაონი, რათა  
გავამრავლო ჩემი ნიშნები და სას-  
წაულები ეგვიპტის ქვეყანაში.

10 სოლო მოსემ და აარონმა აღას-  
რულეს ეველა ეს ნიშანი და სასწაუ-  
ლი ეგვიპტის ქვეყანაში ფარაონის წი-  
ნაშე; და გაასახტიკა უფალმა ფარაონის  
გული, და არ ისურვა ისრაელის ძეთა  
გაშვება ეგვიპტის ქვეყნიდან.

**თავი 12**

და უთხრა უფალმა მოსეს და  
აარონს ეგვიპტის ქვეყანაში და  
თქვა:

2 ეს თვე თქვენთვის თვეთა დასაბამია, პირველია თქვენთვის წელიწადის თვეებს შორის.

3 ელანარაკე ისრაელის ძეთა მთელ კრებულს და უთხარი: ამ თვის ათში მოიყვანოს თითოეულმა ცხვარი საგვარეულო სახლების მიხედვით, თითოეულმა – ცხვარი სახლზე.

4 ხოლო თუ ცოტანი იქნებიან სახლში, ისე რომ ვერ შეძლებენ ცხვრის შექმას, მოიყვანონ თავისთან მესობელი, თავისი ახლობელი, სულადობის რიცხვის მიხედვით; თითოეულმა თავისი სამყოფი გამოთვალოს ცხვარზე.

5 ცხვარი, სრულყოფილი მამალი, ერთი წლისა, იყოს თქვენთვის; კრავთავან და თიკანთავან მოიყვანეთ.

6 და იქნება თქვენთვის შენახული ამ თვის თოთხმეტამდე, და დაკლას იგი ისრაელის ძეთა მთელი კრებულის სიმრავლემ მწუსრისას.

7 და აიღონ სისხლიდან და სცნონ ორივე წირთხლსა და ზღურბლს სახლებში, რომლებშიც შექამენ მას.

8 და შექამონ ხორცი იმ ღამეს, ცეცხლზე შემწვარი და უსაფუჯრო მწარე ბაღასთან ერთად ჭამონ.

9 არ შექამოთ იგი უძი, არც მონარშული წაღობი, არამედ შემწვარი ცეცხლზე, თავი ფეხებთან და ძიგნულებთან ერთად.

10 არ დატოვოთ იგი განთიადამდე და მისი ძვალი არ დანატყროთ; ხოლო დარჩენილი მისგან განთიადამდე ცეცხლში დაწვით.

11 და ასე შექამეთ იგი: თქვენი წელი იყოს შემოსარტყელი და სამაღები – თქვენს ფეხებზე და ჯოხები – თქვენს ხელებში; და შექამეთ იგი სწრაფად, რადგან პასეკია\* უფლისა.

12 და გავივლი ეგვიპტის ქვეყანაში ამ ღამით და დავცემ უოველ პირმშოს ეგვიპტის ქვეყანაში კაციდან პირუტყვამდე და ეგვიპტელთა ყველა ღმერთზე შურს ვიძიებ; მე ვარ უფალი.

13 და იქნება სისხლი თქვენთვის ნიშნად სახლებზე, რომლებშიც თქვენ ხართ, იქ; და დავინანავ სისხლს და დავიფარავთ თქვენ და არ იქნება თქვენზე დარტყმა შემუსვრელი, როდესაც დავცემ ეგვიპტის ქვეყანას.

14 და იქნება ეს დღე თქვენთვის განასხვებლად და იდღესასწაულებთ მას უფლის დღესასწაულად თქვენს ყველა თაობაში; საუკუნო სჯულად იდღესასწაულებთ მას.

15 შვიდ დღეს უსაფუჯრო ჭამეთ და პირველი დღიდან მოაცილეთ საფუარი თქვენი სახლებიდან; უოველი, რომელიც შექამს საფუარს პირველი დღიდან მეშვიდე დღემდე, მოისპობა ის სული ისრაელისგან.

16 და პირველ დღეს ეწოდოს წმიდა, და მეშვიდე დღე წმიდად იყოს წოდებული თქვენთვის; არც ერთი სამსახური საქმე არ აკეთოთ ამ დღეებში გარდა იმისა, რაც გააკეთება უოველი სულისთვის; მხოლოდ ის გააკეთდეს თქვენთვის.

17 და დაცავით ეს მცნება, რადგან ამ დღეს გავიყვან თქვენს ძალას ეგვიპტის ქვეყნიდან, და აქციეთ ეს დღე თქვენს თაობებში საუკუნო სჯულად.

18 დაწებებული პირველი თვის მეოთხმეტე დღის მწუსრიდან ჭამეთ უსაფუჯრო ამ თვის ოცდამეერთე დღემდე, მწუსრამდე.

19 შვიდ დღეს საფუარი არ იაოყვებოდეს თქვენს სახლებში; უოველი,

\* პასეკი - (ებრ.) გვერდის აგლა.

რომელიც შეჭამს საფუვრიანს, მოის-  
ნოს ის სული ისრაელის კრებულად-  
ან, ამ ქვეყნის სიზანთა და მკვიდრთა  
შორისაც.

20 არაფერი საფუვრიანი არ ჰქმნით,  
თქვენს უოველ სამკვიდრებელში ჰქმნით  
უსაფუვრო.

21 და მოუხმო მოსემ ისრაელის ძეთა  
უველა უსუცესს და უთხრა მათ: წა-  
დით და მოიყვანეთ თქვენ ცხვარი  
თქვენთვის თქვენი ნათესაობის მიხედვით  
და დაკალით ზასუქი.

22 და აიღეთ უსუპის კონა და ჩააწეთ  
სისხლში, რომელიც არის კართან,  
და სცხეთ ზღურბლს და ორივე წირთხ-  
ლს სისხლიდან, რომელიც არის კარ-  
თან; და არცერთი თქვენგანი არ გა-  
ვიდეს თქვენი სახლის კარიდან გან-  
თიადამდე.

23 და გაივლის უფალი, რათა დასცეს  
ეგვიპტელები, და დანახანს სისხლს  
ზღურბლზე და ორივე წირთხლზე; და  
გაუვლის უფალი კარს და არ დაუშვებს  
მომსურელის შემოსვლას თქვენს სახ-  
ლებში, რომ დაგცეთ.

24 და დაიცავით ეს სიტყვა სჯულად  
თქვენთვის და თქვენი ძეებისთვის უკუ-  
ნისამდე.

25 ხოლო როცა შესვალთ ქვეყანაში,  
რომელსაც მოგცემთ უფალი თქვენ,  
როგორც გელაპარაკათ, დაიცავით ეს  
მსახურება.

26 და იქნება, თუ გეტყვიან თქვენ  
თქვენი ძეები: რა არის ეს მსახურე-  
ბა? –

27 უთხარით მათ: მსხვერპლია ეს  
ზასუქი უფლისათვის, რომელმაც დაი-  
ფარა ისრაელის ძეთა სახლები ეგ-  
ვიპტეში, როცა დასცა ეგვიპტელები,  
ხოლო ჩვენი სახლები იხსნა. და

მოიდრიკა ერი და თაყვანი სცა.

28 და წავიდნენ და განაკეთეს ისრაე-  
ლის ძეებმა, როგორც უბრძანა უფალ-  
მა მოსეს და აარონს, ისე განაკეთეს.

29 და დადგა შუალამე და უფალმა  
დასცა უოველი ზირმძო ეგვიპტის ქვეყ-  
ანაში ზირმძოდან ფარაონისა, რომელიც  
იჯდა ტანტზე, ზირმძოდე ტყვე ქალ-  
ისა, რომელიც იყო ჯურღმულში, და  
უველა ზირუტყვის ზირმძოდე.

30 და ადგა ფარაონი ღამით და  
უველა მისი მსახური და უველა ეგ-  
ვიპტელი და იყო დიდი დაღადება  
ეგვიპტის მთელ ქვეყანაში, რადგან  
არ იყო სახლი, რომელშიც არ იყო  
მკვდარი, იქ.

31 და მოუხმო ფარაონმა მოსეს და  
აარონს ღამით და უთხრა მათ: ადუ-  
ქით და ვადით ჩემი ერისგან თქვენც  
და ისრაელის ძეებიც; წადით და ემ-  
სახურეთ თქვენს უფალ ღმერთს, რო-  
გორც ამბობთ;

32 და თქვენი ცხვარი და ძროხა წა-  
იყვანეთ და წადით და მაკურთხეთ მეც.

33 და აიძულებდნენ ეგვიპტელები ერს,  
რომ სწრაფად გასულიყვნენ ქვეყნი-  
დან, რადგან თქვეს: ჩვენ უველანი  
დავისოცებით.

34 და აიღო ერმა ცომი საფუვრის  
შერევამდე, თავისი მოხელილი, გამოკ-  
რული თავის სამოსში, და დაიღო  
მხრებზე.

35 და ისრაელის ძეებმა განაკეთეს,  
როგორც უბრძანა მათ მოსემ, და  
ითხოვეს ეგვიპტელთაგან ჭურჭელი  
ვერცხლისა და ოქროსი და სამოსი.

36 და უფალმა მისცა მადლი თავის  
ერს ეგვიპტელთა წინაშე, და ასარგე-  
ბლეს იგი; და გაძარცვეს ეგვიპტელები.

37 და დაიძრნენ ისრაელის ძეები რამ-



ქსიდან სოქოთისკუნ, ექესასი ათასმდე ქვეითი მამაკაცი, გარდა მონაგრისა.

38 და მრავალი შიგრი და ავიდა მათთან ერთად, და ცხვარი და ძროსა და საქონელი – ძალიან ბევრი.

39 და გამოაცხვეს ცომი, რომელიც გამოიტახეს ეგვიპტიდან, უსაფუერო კვერებად, რადგან არ იყო საფუეროანი; რადგან გამოყარეს ისინი ეგვიპტელებმა, და ვერ შეძლეს დაცლა, ვერც საგნალი მოიმზადეს გზისთვის.

40 ხოლო ისრაელის ძეთა მკვიდრობა, რასაც მკვიდრობდნენ ეგვიპტის ქვეყანაში და ქანაანის ქვეყანაში, – ოთხას ოცდაათი წელი.

41 და იყო, ოთხას ოცდაათი წლის შემდეგ გამოვიდა უფლის მთელი ძალა ეგვიპტის ქვეყნიდან ღამით.

42 წინასახმილაჟია\* უფლისთვის მათ გამოსაყვანად ეგვიპტის ქვეყნიდან ის ღამე; წინასახმილაჟია უფლისთვის, რათა ისრაელის ყველა ძისთვის იყოს მათ თაობებში.

43 და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს და თქვა: ეს არის სჯული ზანაქისა – არცერთმა უცხოტომელმა არ ჭამოს მისგან;

44 და ყოველ მონას, ვისიც არ უნდა იყოს, ან ვერცხლით ნაყიდს დაცვით, და მაძინ ჭამოს მისგან;

45 მწირობა ან დაქირავებულმა არ ჭამოს მისგან.

46 ერთ სახლში შეიჭამოს და არ დატოვოთ ხორცი განთიადამდე და არ გაიტახნოთ სახლიდან ხორცი გარეთ; და მისი ძვალი არ დამტვრიოთ.

47 ისრაელის ძეთა მთელმა კრებულმა აღასრულოს იგი.

48 ხოლო თუ მოვა თქვენთან ვინმე მწირი უფლის ზანაქის აღსასრულებლად, დაცვითე მის ყოველ მამაკაცს და მაძინ მოვიდეს მის აღსასრულებლად და იყოს როგორც ქვეყნის მკვიდრი; არავინ დაუცვეთელმა არ ჭამოს მისგან.

49 ერთი სჯული იყოს ადგილობრივისთვის და თქვენთან მოსული მწირისთვის.

50 და გააკეთეს ისრაელის ძეებმა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს და აარონს, ისე გააკეთეს.

51 და იყო, იმ დღეს გამოიყვანა უფალმა ისრაელის ძეები ეგვიპტის ქვეყნიდან მათ ძალასთან ერთად.

**თავი 13**

**ღ** ა უთხრა უფალმა მოსეს და თქვა:

2 წმიდაჟაუ ჩემთვის ყოველი ზირმო, ზირველძობილი, რომელიც გახსნის ყოველ საშოს ისრაელის ძეთა შორის კაციდან ზირუტყვამდე, რადგან ჩემია.

3 და უთხრა მოსემ ერს: გახსოვდეთ ეს დღე, როდესაც გამოხვედით ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან, რადგან მტკიცე ხელით გამოგიყვანათ თქვენ უფალმა აქედან; და არ ჭამოთ საფუარი.

4 რადგან დღეს გადისართ თქვენ, ახალთა თვეში\*\*.

5 და იქნება, როცა შეგიყვანს შენ

\* წინასახმილაჟი - ღამის მსახურება, საღარაჯო, ამ შემთხვევაში: ღამის ღვთისმსახურება.

\*\* ახალთა თვე - ებრ. ავივის თვე, ახალი თავთავეების თვე.

უფალი ღმერთი შენი ქანანელთა და ქეტელთა და ეველთა და გერგესელთა და ამორელთა და ფერესელთა და იებუსელთა ქვეყანაში, რომლის შესახებაც შეჰფიცა შენს მამებს, რომ მოგცემს შენ – ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი – აღასრულებ ამ მსახურებს ამ თვეში.

6 ექვს დღეს ჭამეთ უსაფუვრო, ხოლო მეშვიდე დღეს დღესასწაულია უფლისა;

7 უსაფუვრო ჭამეთ შვიდ დღეს, არ აღმოჩნდეს შენთან საფუვრიანი, არც იყოს შენთან საფუარი არსად შენს საზღვრებში.

8 და აუწყე შენს ძეს იმ დღეს და უთხარი: იმის გამო აღასრულა უფალმა ღმერთმა ჩემთვის, რადგან გამოვდიოდი ეგვიპტიდან;

9 და იქნება შენთვის ნიშანი შენს ხელზე და გასახსენებელი შენ თვალწინ, რომ იყოს უფლის სჯული შენს პირზე, რადგან მტკიცე ხელით გამოვიყვანა შენ უფალმა ღმერთმა ეგვიპტიდან.

10 და დაიცავით ეს სჯული დროჰამის მისედვით დღიდან დღემდე.

11 და იქნება, როცა შეგიყვანს შენ უფალი ღმერთი შენი ქანანელთა ქვეყანაში, როგორც შეჰფიცა შენს მამებს, და მოგცემს შენ მას,

12 გამოყავი ყოველი მამრი, რომელიც გახსნის საძოს, უფლისთვის; ყოველი მამრი, რომელიც გახსნის საძოს შენი ნახირიდან ან პირუტყვიდან, რაც გვეოლება შენ, წმიდაყავ უფლისთვის.

13 ყოველი ვირი, რომელიც გახსნის საძოს, მეცვალე ცხვრით; ხოლო თუ ვერ შეცვლი, გამოისყიდე იგი. ყოველი პირმშო კაცისა შენს ძეთაგან

გამოისყიდე.

14 ხოლო თუ კკითხავს შენ შენი ძე ამის შემდეგ და გეტყვის: რა არის ეს? უთხარი მას: მტკიცე ხელით გამოვიყვანა ჩვენ უფალმა ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახელიდან;

15 ხოლო როცა გასასტიკდა ფარაონი ჩვენი გამოშვების გამო, მოკლა უფალმა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში კაცის პირმშოდან პირუტყვის პირმშოდღე; ამის გამო მე მსხვერპლად ვწირავ უფალს ყოველ მამრს, რომელიც გახსნის საძოს, და ჩემს ძეთა ყოველ პირმშოს გამოვიყვანი.

16 და იქნება ნიშნად შენს ხელზე და შეურეველად შენ თვალწინ, რადგან მტკიცე ხელით გამოვიყვანა შენ უფალმა ეგვიპტიდან.

17 ხოლო როცა გაუშვა ფარაონმა ერი, არ წაუძღვა მათ ღმერთი ფილისტიმელთა ქვეყნის გზაზე, რადგან ახლოს იყო; რადგან თქვა ღმერთმა: რომ არ ინახოს ერმა, როცა ნახავს ბრძოლას, და არ დაბრუნდეს ეგვიპტეში.

18 და შეატრიალა ღმერთმა ერი უდაბნოს გზისკენ, მეწამული ზღვისკენ. და მესუთე თაობაში ამოვიდნენ ისრაელის ძეები ეგვიპტის ქვეყნიდან.

19 და წამოიღო თან მოსემ იოსების ძელები, რადგან ფიცით დააფიცა იოსებმა ისრაელის ძეები და უთხრა: მოხედვით მოგზედავთ თქვენ უფალი, და თან წაიღეთ ჩემი ძელები აქედან.

20 და დაიდრნენ ისრაელის ძეები სოქოთიდან და დაბანაკდნენ ოთომში, უდაბნოსთან.

21 და ღმერთი უძღოდა მათ დღისით ღრუბლის სვეტით მათთვის გზის საჩვენებლად, ხოლო ღამით – ცეცხ-

ლის სვეტი;  
22 და არ აკლდებოდა ღრუბლის  
სვეტი დღისით და ცეცხლის სვეტი  
ღამით მთელ ერს წინ.

**თავი 14**

**ღ**ა ელანარაკა უფალი მოსეს და  
უთხრა:

2 ელანარაკე ისრაელის ძეებს და  
მიბრუნდენ და დაბანაკდენ ლერწ-  
მოვნის\* წინ მაგდოლოსა და ზღვას  
შორის, ბეელსეფონის პირდაპირ და  
მათ წინ დაბანაკე ზღვასთან.

3 და ეტყვის ფარაონი თავის ერს  
ისრაელის ძეების შესახებ: გზაბ-  
ნეულები არიან ისინი ამ ქვეყანაში,  
რადგან მოიძვრდა ისინი უდაბნომ.

4 ხოლო მე გავასასტიკებ ფარაონის  
გულს, და დაედევნება მათ უკან; და  
განუდიდდები ფარაონსა და მთელ მის  
ჯარს შორის და გაიგებს ყველა ეგ-  
ვიპტელი, რომ მე ვარ უფალი. –  
და გააკეთეს ასე.

5 და შეატყობინეს ეგვიპტელთა მეფეს,  
რომ გაიქცა ერი; და შეეცვალათ  
ფარაონსა და მის მსახურებს გული  
ერზე და თქვეს: ეს რა ვქენით, რომ  
გავუძვით ისრაელის ძეები, რომ აღარ  
დაგვეძონ ჩვენ?

6 და შეკანა ფარაონმა თავისი  
ეტლები და მთელი თავისი ერი წაი-  
ყვანა თან;

7 და წაიყვანა ეგვიპტელთა ექვსასი  
რჩეული ეტლი და ყველა ცხენი და  
სამძღვომნი\*\* – თითოეულზე.

8 და გაასასტიკა უფალმა ფარაონის,  
ეგვიპტის მეფის, და მისი მსახურების  
გული, და დაედევნა უკან ისრაელის  
ძეებს; ხოლო ისრაელის ძეები გაე-  
იდნენ მაღალი სვლით.

9 და დაედევნენ ეგვიპტელები მათ  
უკან და ნახეს ისინი დაბანაკებულნი  
ზღვასთან; და ფარაონის ყველა ცხე-  
ნი და ეტლები და მისი მხედრები და  
ჯარი იყო ლერწმოვანთან, ბეელსე-  
ფონის პირდაპირ.

10 და ფარაონი წინ მიდიოდა; და  
ახილეს ისრაელის ძეებმა თვალები  
და დანახეს: ეგვიპტელები დაბანაკე-  
ბულიყენ მათ უკან, და შეემინდათ  
ძლიერ; და შეჰღაღადეს ისრაელის  
ძეებმა უფალს

11 და უთხრეს მოსეს: განა არ იყო  
საფლავები ეგვიპტის ქვეყანაში, რომ  
გამოვიყვანე ჩვენ სასიკვდილოდ უდა-  
ბნოში? ეს რა გვიყავი ჩვენ, რომ  
გამოვიყვანე ეგვიპტიდან?

12 ეს არ იყო ის სიტყვა, რომელსაც  
გუებნებოდით შენ ეგვიპტეში და ვამ-  
ბობდით: თავი დაგვანებე ჩვენ, რომ  
ვეძონებოდეთ ეგვიპტელებს? რადგან  
უძჯობეს იყო ჩვენთვის ეგვიპტელთა  
ძონობა, ვიდრე სიკვდილი ამ უდაბ-  
ნოში.

13 და უთხრა მოსემ ერს: გამხრევდით,  
იდექით და იხილეთ ხსნა ღვთისაგან,  
რასაც აღასრულებს თქვენთვის დღეს;  
რადგან, როგორც ნახეთ ეგვიპტელები  
დღეს, მეტად აღარ ნახათ მათ უკუ-  
ნისამდე.

14 უფალი იბრძოლებს თქვენთვის

\* ლერწმოვანი - ებრ. ფი-ჰახიროთი, ბერძ. ეპავლეოსი.

\*\* სამძღვომნი - თითოეულ ეტლზე იღვა სამი გამორჩეული მხედარი: ერთი მართავდა, მეორე იარაღს ამზადებდა, მესამე იბრძოდა.



და თქვენ დადუმდით.

15 და უთხრა უფალმა მოსეს: რას  
ღაღადებ ჩემ მოძარტ? ელანაზაკე  
ისრაელის ძეებს და დაიდრან;

16 და შენ აღმართე შენი კვერთხი  
და გაიწოდე შენი ხელი ზღვანზე და  
განაჲ იგი და შევიდნენ ისრაელის  
ძეები შუა ზღვაში, როგორც სმე-  
ლეთზე.

17 და აჰა, მე გავასანტიკებ ფარაონ-  
ისა და ყველა ეგვიპტელის გულის, და  
შეველენ მათ შემდეგ; და განვიდდები  
მე ფარაონზე და მთელ მის ჯარზე  
და მის ეტლებზე და ცხენებზე.

18 და გაიგებს ყველა ეგვიპტელი,  
რომ მე ვარ უფალი, რომელიც გან-  
ვიდდები ფარაონზე და მის ეტლებ-

სა და ცხენებზე.

19 და დაიდრა ღვთის ანგელოზი,  
რომელიც მიდიოდა ისრაელის ძეთა  
ბანაკის წინ, და წავიდა მათ უკან და  
დაიდრა ღრუბლის სვეტიც მათ წინი-  
დან და დადგა მათ უკან.

20 და შევიდა ეგვიპტელთა ბანაკსა  
და ისრაელის ძეთა ბანაკს შორის;  
და იყო სიბნელე და წუვდიადი, და  
გავიდა ღამე, და არ შეერივნენ ერთ-  
მანეთს მთელი ღამე;

21 და გაიწოდა მოსემ ხელი ზღვანზე,  
და უკუაქცევდა უფალი ზღვას სამხ-  
რეთის ძლიერი ქარით მთელ ღამეს,  
და აქცია ზღვა სმელეთად და გაიპო  
წყალი.

22 და შევიდნენ ისრაელის ძეები შუა

ზღვაში, როგორც სმელეთზე, და იყო წყალი მათთვის ზღუდე მარჯვნივ და ზღუდე მარცხნივ.

23 და დაედევნენ ეგვიპტელები და შევიდნენ მათ შემდეგ – ფარაონის ეგვიპტელები და ეტლები და მხედრები – შუა ზღვაში.

24 და იყო განთიადის სახმილაზე, და გადმოხედა უფალმა ეგვიპტელთა ბანაკს ცეცხლისა და ღრუბლის სვეტი და არა ეგვიპტელთა ბანაკი,

25 და შეკრა მათი ეტლების ღერძები, და მიჰყავდათ ისინი ძალით. და თქვენ ეგვიპტელებმა: გავიქცეთ ისრაელის ჰირისგან, რადგან უფალი ებრძვის მათ გამო ეგვიპტელებს.

26 და უთხრა უფალმა მოსეს: გაიწოდე შენი ხელი ზღვაზე, და მოიქცეს წყალი და დაფაროს ეგვიპტელები, მათი ეტლები და მხედრები.

27 და გაიწოდა მოსემ ხელი ზღვაზე და მოიქცა წყალი გათენებისას ადგილზე; ხოლო ეგვიპტელები გარბოდნენ წყალქვეშ, და ჩაყარა უფალმა ეგვიპტელები შუა ზღვაში.

28 და დაბრუნდა წყალი და დაფარა ეტლები და მხედრები და ფარაონის მთელი ძალა, მათ შემდეგ შესული ზღვაში, და არ დარჩა მათგან არცერთი.

29 ხოლო ისრაელის ძეგები მიდიოდნენ მშრალად შუა ზღვაში და იყო წყალი მათთვის ზღუდე მარჯვნივ და ზღუდე მარცხნივ.

30 და ისხნა უფალმა ისრაელი იმ დღეს ეგვიპტელთა ხელიდან; და ნახა ისრაელმა ეგვიპტელები, დახოცილები ზღვის ნაპირთან.

31 და იხილა ისრაელმა დიდი ხელი, რაც უყო უფალმა ეგვიპტელებს; და

შეეძინდა ერს უფლისა და ირწმუნა ღვთისა და მოსესი, მისი მსახურისა.

**თავი 15**

შამინ უვალობა მოსემ, და ისრაელის ძეგებმა ეს ვალობა ღმერთს და თქვენს და ამბობდნენ:

უვალობით უფალს, რადგან დიდებით დიდებულა; ცხენი და მხედარი ჩაყარა ზღვაში.

2 შემწე და მფარველი იქცა ჩემთვის სხნად;

ეს არის ღმერთი ჩემი და ვადიდო იგი, ღმერთი ჩემი მამისა,

და აღვამადლო იგი.

3 უფალი – ბრძოლათა შემმუსვრელი, უფალი – სახელი მისი.

4 ეტლები ფარაონისა და ძალა მისი ჩაყარა ზღვაში, რჩეული მხედრები, სამძღვომნი, დანთქა მესამულ ზღვაში.

5 მორევით დაფარა ისინი, ჩაიძირნენ სიღრმეში, როგორც ლოდი.

6 მარჯვენა შენი, უფალო, დიდებულა ძალით; შენმა მარჯვენა ხელმა, უფალო, მოსრა მტრები.

7 და შენი დიდების სიმრავლით შემუსრე წინაღმდგომნი; მიავლინე შენი რისხვა, და შთანთქან ისინი, როგორც ლერწამი.

8 და შენი გულისწერომის სულით გაიპო წყალი; გამყარდა, როგორც ზღუდე, წყლები, გამყარდა ტაღლები შუა ზღვაში.

9 თქვა მტრებმა: დავედვენები და დავეწვევი, გავიყოფ ნადავლს, გავიძლებ ჩემს სულს,

- მოვსრავ ჩემი მანვილით,  
დაუფულებს ჩემი ხელი.
- 10 მიაღვინე სული შენი, დაფარა  
ისინი ზღვამ;  
ჩაიძირნენ, როგორც ტყვია, მძლავრ  
წყალში.
- 11 ვინ არის მსგავსი შენი  
ღმერთთა შორის, უფალო?!  
ვინ არის მსგავსი შენი,  
დიდებული წმიდათა შორის,  
საკვირველი დიდებითა, მოქმედი  
სასწაულთა?!
- 12 გაიწოდე მარჯვენა შენი,  
შთანთქა ისინი მიწამ.
- 13 გაუძენი შენი სიმართლით  
ამ შენს ერს, რომელიც იხსენი,  
ხუკეში ეცი შენი ძალით  
შენს წმიდა სახანეში.
- 14 გაიკვს წარმართებმა და განრისხდნენ;  
ტკივილმა შეიპყრო  
ფილისტიმის მკვიდრნი.
- 15 მაშინ იჩქარეს ედომის წინამძღვრებმა  
და მოაბელთა მთავრებმა;  
შეიპყრო ისინი ძრწოლამ,  
დაძაბუნდა ქანაანის ყველა მკვიდრი.
- 16 დაეცეთ მათ შიში და ძრწოლა,  
შენი მკლავის სიდიადით გაქვავდნენ,  
ვიდრე გაივლის შენი ერი, უფალო,  
ვიდრე გაივლის ეს შენი ერი,  
რომელიც შეიძინე.
- 17 მიიყვანე და დანერგე ისინი  
შენი მკვიდრობის მთაზე,  
შენს გამზადებულ სამკვიდრებელში,  
რომელიც შექმენი, უფალო;  
სიწმიდე, უფალო, რომელიც გამზადეს  
შენმა ხელებმა.
- 18 უფალი მეუფეა საუკუნო  
და საუკუნეზე და შემდგომაც.
- 19 რადგან შევიდა ფარაონის ცხენი  
ეტლებითა და მხედრებით ზღვაში,  
და მოაქცია მათზე უფაღმა  
ზღვის წყალი;  
ხოლო ისრაელის ძეები გავიდნენ  
მშრალად მუა ზღვაში.
- 20 და აიღო მარბამ წინასწარმეტყვე-  
ელმა, აარონის დამ, დაფი თავის  
ხელში და გაჰყვა ყველა დედაკაცი  
მას უკან დაფებითა და ფერხუდით,
- 21 და წამოიწყო მათგან მარბამმა  
და თქვა:  
ვუგალობოთ უფალს,  
რადგან დიდებით დიდებულია;  
ცხენი და მხედარი ჩაყარა ზღვაში.
- 22 და გამოიყვანა მოსემ ისრაელის  
ძეები მქნამული ზღვიდან და მიიყვან-  
ა ისინი სურის უდაბნოში; და მიდი-  
ოდნენ სამი დღე უდაბნოში და ვერ  
იპოვეს წყალი, რომ დაეღლიათ.
- 23 და მივიდნენ მერაში და ვერ  
შეძლეს წყლის დაღევა მერაში, რადგან  
მწარე იყო; ამის გამო დაერქვა ამ  
ადგილს სახელი, სიმწარე\*.
- 24 და დრტყინავდა ერი მოსესზე და  
ამბობდა: რა დავლიოთ?
- 25 და შეჰლაღადა მოსემ უფალს; და  
უხვენა მას უფაღმა ძელი, და ჩააგ-  
დო იგი წყალში და დატკბა წყალი.  
იქ დაუდგინა მას სამართალი და მსჯავ-  
რი და იქ გამოსცადა იგი.
- 26 და თქვა: თუ სძენით მოისმენ შენი  
უფალი ღმერთის ხმას და სათნოებებს  
მის წინამე აღასრულებ და ყურადღებ  
მის მცნებებს და დაიცავ მის ყველა  
სამართალს, არცერთ სხეულებას, რო-  
მელიც მოუუვლინე ეგვიპტელებს, არ  
მოვაუვლენ შენზე, რადგან მე ვარ უფა-

\* სიმწარე - ებრ. მერა.

ლი, შენი მკურნალი.  
27 და მივიდნენ ელიმში და იყო იქ თორმეტი წუთო წყლისა და ფინიკის სამოცდაათი ხე; და დაბანაკდნენ იქ, წყლებთან.

**თავი 16**

**1** და დაიდრნენ ელიმიდან, და მივიდა ისრაელის ძეთა მთელი კრებული სინის უდაბნოში, რომელიც არის ელიმსა და სინას შორის. და ეგვიპტის ქვეყნიდან მათი გამოსვლის მეორე თვის მეთხუთმეტე დღეს  
**2** დრტვინავდა ისრაელის ძეთა მთელი კრებული მოსესე და აარონსე;  
**3** და უთხრეს მათ ისრაელის ძეებმა: ნეტავ დაუხრცილიყავით ნაგვემნი უფლისაგან ეგვიპტის ქვეყანაში, როცა ვუსხედით სორცის ქვაბებს და ვჭამდით ჰურს ძღობამდე, რადგან გამოგვიყვანე ჩვენ ამ უდაბნოში შიმშილით დასახოცად, მთელი ეს კრებული.  
**4** და უთხრა უფალმა მოსეს: აჰა, მე გიწვიმებთ თქვენ ჰურს ზეციდან და გავიდეს ერი და შეაგროვოს დღიური დღეში, რათა გამოვცადო ისინი, მისდევენ ჩემს სჯულს თუ არა.  
**5** და იქნება შექცესე დღეს, გაამხადონ, რასაც შეიტახენ, და იყოს ორჯერ მეტი იმაზე, რასაც შეაგროვებენ ყოველდღიურს დღეში.  
**6** და უთხრა მოსემ, და აარონმა ისრაელის ძეთა მთელ კრებულს: მწუნრზე გაიკებთ, რომ უფალმა გამოგვიყვანათ თქვენ ეგვიპტის ქვეყნიდან,  
**7** და განთიადსე იხილავთ უფლის დიდებას, როცა შეისმენს უფალი თქვენს დრტვინვას ღვთის მიძართ; ხოლო ჩვენ

რანი ვართ, რომ დრტვინავთ ჩვენზე?  
**8** და თქვა მოსემ: მოვცემთ თქვენ უფალი მწუნრზე სორცს საჭმელად და ჰურს განთიადსე – გასაძღობად, რადგან შეისმინა უფალმა თქვენი დრტვინვა, რასაც თქვენ დრტვინავთ ჩვენზე; ხოლო ჩვენ რანი ვართ? რადგან ჩვენ მიძართ არ არის თქვენი დრტვინვა, არამედ ღვთის მიძართ.  
**9** და უთხრა მოსემ აარონს: უთხარი ისრაელის ძეთა მთელ კრებულს: მოდით ღვთის წინაშე, რადგან შეისმინა თქვენი დრტვინვა.  
**10** ხოლო როცა ეუბნებოდა აარონი ისრაელის ძეთა მთელ კრებულს, მიბრუნდნენ უდაბნოსკენ და უფლის დიდება გამოჩნდა ღრუბელში.  
**11** და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:  
**12** შეისმინე ისრაელის ძეთა დრტვინვა; ელაპარაკე მათ და უთხარი: მწუნრისას შეჭამთ სორცს და განთიადსე გაძღებთ ჰურით; და გაიკებთ, რომ მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი.  
**13** და დადგა მწუნრი და მოვიდა მწყერი და დაფარა ბანაკი, ხოლო განთიადისას დადო ცვარი ბანაკის ირგვლივ,  
**14** და აჰა, იყო უდაბნოს ჰირზე წვრილი, როგორც ქინძის მარცვალი, თეთრი, როგორც ყინული მიწაზე.  
**15** და იხილეს იგი ისრაელის ძეებმა და უთხრეს ერთმანეთს: რა არის ეს? რადგან არ იცოდნენ, რა იყო. და უთხრა მოსემ მათ: ეს არის ჰური, რომელიც მოვცათ უფალმა თქვენ საჭმელად;  
**16** ეს არის სიტყვა, რომელიც ბრძანა უფალმა: შეაგროვეთ იგი თითოეულ-

მა, რაც დადგენილია, ღომორი\* – კაცზე თქვენი სულადობის რიცხვის მიხედვით, თითოეულმა თქვენს თანამეკარვეებთან ერთად შეაგროვეთ. 17 და განაკეთეს ასე ისრაელის ძეგბმა და შეაგროვეს, ზოგმა ბევრი და ზოგმა ცოტა. 18 და აწიეს ღომორით და არ მოეჭარბა, ვისაც ბევრი ჰქონდა, და, ვისაც ცოტა ჰქონდა, არ დააკლდა; თითოეულმა თავისთვის დადგენილი შეაგროვა. 19 და უთხრა მოსემ მათ: ნურავინ დატოვებს მას განთიადამდე. 20 და არ შეისმინეს მოსესი, არამედ დატოვა ზოგიერთმა იგი განთიადამდე; და დაეხვია მატლი და აუროლდა; და გაშწარდა მოსე მათზე. 21 და აგროვებდნენ მას განთიადობით, თითოეული – თავისთვის დადგენილს; ხოლო როცა ათობდა მზე, დებოდა. 22 და იყო მეექვსე დღეს, შეაგროვეს, რაც საჭირო იყო, ორმაგად, ორი ღომორი – თითოზე; და შევიდა შესაკრებლის ყველა მთავარი და აცნობა მოსეს. 23 და უთხრა მოსემ მათ: ეს არის სიტყვა, რომელიც თქვა უფალმა: წმიდა შაბათი არის დასვენება უფლისა სვალს; რამდენსაც გამოაცნობთ, გამოაცხეთ და, რამდენსაც მოხარშავთ, მოხარშეთ; და ყველაფერი მოჭარბებული დატოვეთ საცავში განთიადამდე. 24 და დატოვეს იგი განთიადამდე, როგორც უბრძანა მათ მოსემ; და არ აუროლდა, არც მატლი გახნდა მასში. 25 და უთხრა მოსემ: ჭამეთ დღეს, რადგან დღეს შაბათია უფლისა. ვერ

იპოვით ვეღზე. 26 ექვს დღეს შეაგროვეთ, ხოლო მეშვიდე დღეს შაბათია, არ იქნება მადინ. 27 და იყო მეშვიდე დღეს, გავიდა ზოგიერთი ერთიდან შესაგროვებლად და ვერ იპოვა. 28 და უთხრა უფალმა მოსეს: როდემდე არ გინდათ შეისმინოთ ჩემი მცნებები და ჩემი სჯული? 29 შესედეთ, რადგან უფალმა მოგცათ თქვენ ეს დღე, შაბათი; ამის გამო მან მოგცათ თქვენ მეექვსე დღეს ორი დღის ჰური; ისხედით თითოეული თქვენს სახლში, ნურავინ გავა თავისი ადგილიდან მეშვიდე დღეს. 30 და შაბათობდა ერთი მეშვიდე დღეს. 31 და დაარქვეს ისრაელის ძეგბმა მისი სახელი, მანანა; და იყო, როგორც ქინძის თესლი, თეთრი, ხოლო მისი გემო – როგორც თაფლის კვერი. 32 და თქვა მოსემ: ეს არის სიტყვა, რომელიც ბრძანა უფალმა: ავსეთ ღომორი მანანით შესანანად თქვენი მოდგმისთვის, რათა იხილონ ჰური, რომელსაც ჭამდით თქვენ უდაბნოში, როცა გამოვიყვანათ თქვენ უფალმა ეგვიპტის ქვეყნიდან. 33 და უთხრა მოსემ აარონს: აიღე ოქროს ერთი ტაკუკი და ჩაუარე მასში მანანით სავსე ღომორი და დადგი იგი ღვთის წინაშე შესანანად თქვენი მოდგმისთვის. 34 რა სახითაც უბრძანა უფალმა მოსეს, დადო აარონმა სამოწმებლის\*\* წინაშე შესანანად. 35 და ისრაელის ძეგბმა ჭამდნენ მანანას ორმოცი წელი, ვიდრე მივი-

\* ღომორი - ფხვიერი ნივთიერების საზომი ერთეული.  
 \*\* სამოწმებელი - მოსეს კარვის აღმართვამდე ებრაელებს ჰქონდათ განსაკუთრებული წმიდა ადგილი, სადაც ინახებოდა ოქროს ტაკუკი მანანით.  
 32



დოდნენ მკვიდრობის ქვეყანაში; მან-  
ანას ჭამდნენ, ვიდრე მივიდოდნენ  
ფინიკიის მხარეში.

36 სოლო ღომორი სამი საწეოს  
ძეათედი იყო.

**თავი 17**

**ღ**ა დაიძრა ისრაელის ძეა მთე-  
ლი კრებული სინის უდაბნოდან  
თავისი ბანაკების მიხედვით უფლის სი-  
ტყვით, და დაბანაკდნენ რაფიდინში; და  
არ იყო წყალი, რომ ერს დაეღია.

2 და კიცნავდა ერი მოსეს და ეუბნე-  
ბოდა: მოგვცე ჩვენ წყალი, რომ დაუ-  
ღიოთ. და უთხრა მათ მოსემ: რად  
მკიცნავთ მე და რად ცდით უფალს?

3 და მოსწუროდა იქ ერს წყალი და  
ღრტკინავდა ერი მოსეს და ეუბნებო-  
და: რისთვის ამოგვიყვანე ჩვენ ეგ-  
ვიპტიდან, ჩვენ და ჩვენი ძვილები და  
პირუტყვის წურვილით დასახოცად?

4 და მეჭვალად მოსემ უფალს და  
თქვა: რა ვუყო ამ ერს? ცოტაც და  
ჩამქოლავენ მე.

5 და უთხრა უფალმა მოსეს: წინ  
გაუძეინი ამ ერს და წაიყვანე შენთან  
ერთად ერის უხუცესთაგან; და კვერ-  
თხი, რომლითაც დაჰკარი მდინარეს,  
აიღე შენს ხელში და წადი.

6 სოლო მე ვიდგები შენს მოსვლამდე  
იქ, კლდეზე, ქორებში; და დაჰკარი  
კლდეს და გამოვა მისგან წყალი და  
დალღეს ჩემი ერი. და გააკეთა მოსემ  
ასე ისრაელის ძეა წინამე.

7 და დაარქვა იმ ადგილს სახელი:  
გამოცდა და კიცხვა\* - ისრაელის

ძეათგან კიცხვისა და უფლის გამოცდის  
გამო, რადგან ამბობდნენ: არის უფა-  
ლი ჩვენ შორის თუ არა?

8 და მოვიდა ამაღლეკი და ებრძოდა  
ისრაელს რაფიდინში.

9 და უთხრა მოსემ ისოს: გამოარჩიე  
შენთვის ძლიერი კაცები და გადი და  
დააწეე ამაღლეკის წინააღმდეგ ხვალ;  
და აჰა, მე ვიდგები ბორცვის თხემზე  
და კვერთხი ღუთისა იქნება ჩემს ხელში.

10 და გააკეთა ისომ, როგორც უთხრა  
მას მოსემ, და გავიდა და დაწყო ამაღლე-  
კის წინააღმდეგ; და მოსე და აარონი  
და ორი ავიდნენ ბორცვის თხემზე.

11 და იყო, როცა აღძმართავდა მოსე,  
ხელებს, ძლიერდებოდა ისრაელი,  
სოლო როცა დაუშვებდა ხელებს,  
ძლიერდებოდა ამაღლეკი.

12 და მოსეს ხელები იყო დამძიმებუ-  
ლი; და აიღეს ლოდი და დაუღეს მას  
ქვეშ და დაჯდა მასზე; სოლო აარონი  
და ორი უმაგრებდნენ მას ხელებს, ერთი  
აქედან და ერთი იქიდან; და იყო მოსეს  
ხელები გამაგრებული მისი ჩასვლამდე.

13 და უკუაქცია ისომ ამაღლეკი და  
მთელი მისი ერი მახვილის პირით.

14 და უთხრა უფალმა მოსეს: დაწერე  
ეს გასახსენებლად წიგნში და მიიტანე  
ისოს ყურამდე, რომ აღსოცვით აღვსო-  
ცავ ამაღლეკის სახსენებელს ცის ქვე-  
მთიდან.

15 და აუგო მოსემ საკურთხეველი  
უფალს და დაარქვა მას სახელი:  
უფალი - ჩემი თავშესაფარი\*\*;

16 რადგან დაფარული ხელით ებრძვის  
უფალი ამაღლეკს თაობიდან თაობამდე.

\* გამოცდა და კიცხვა - ებრ. მასა და მერიბა.

\*\* ჩემი თავშესაფარი - ებრ. იაჰვე ნისი - უფალი ჩემი ბაირალი.

**თავი 18**

1 და გაიგო იოთორმა, მაღიამის მღვდელმა, მოსეს სიმამრმა, ეველაფერი, რაც გაუკეთა უფალმა ისრაელს, თავის ერს, რადგან გამოიყვანა უფალმა ისრაელი ეგვიპტიდან. 2 და წაიყვანა იოთორმა, მოსეს სიმამრმა, სეფორა, მოსეს ცოლი, მისი გაშვების შემდეგ, 3 და მისი ორი ძე; მათგან ერთის სახელი – გერსამი, რადგან თქვა: მწირი ვარ უცხო ქვეყანაში; 4 და მეორის სახელი – ელიეზერი, რადგან თქვა: ღმერთი ჩემი მაძისა შემწეა ჩემი და მისხნა მე ფარაონის ხელიდან. 5 და მივიდა იოთორი, მოსეს სიმამრი, და ძეები და ცოლი მოსესთან უდაბნოში, სადაც დაბანაკებული იყო ღვთის მთასთან. 6 და შეატყობინეს მოსეს და უთხრეს: აჰა, იოთორი, ძენი სიმამრი, მოღის შენთან და ძენი ცოლი და ძენი ორი ძე მასთან ერთად. 7 და გავიდა მოსე თავისი სიმამრის შესაგებებლად და თაყვანი სცა მას და ეამბორო მას და მოიკითხეს ერთმანეთი; და შეიყვანა იგი კარავში. 8 და უამბო მოსემ სიმამრს ეველაფერი, რაც უყო უფალმა ფარაონს და ეგვიპტელებს ისრაელის გამო და ეველა გაჭირვება, რაც შეემთხვათ მათ გზაში, და რომ იხსნა ისინი უფალმა ფარაონის ხელიდან და ეგვიპტელთა ხელიდან. 9 და განცვიფრდა იოთორი ეველა სიკეთით, რაც გაუკეთა მათ უფალმა, რადგან იხსნა ისინი ეგვიპტელთა ხელიდან და ფარაონის ხელიდან.

10 და თქვა იოთორმა: კურთხეულია უფალი, რადგან იხსნა თავისი ერი ეგვიპტელთა ხელიდან და ფარაონის ხელიდან; 11 ახლა გავიგე, რომ დიდია უფალი ეველა ღმერთზე იმის გამო, რომ სძლია მათ. 12 და წაიყვანა იოთორმა, მოსეს სიმამრმა, ყოვლადდასაწყულნი და მსხვერპლნი ღვთისათვის; და მივიდა აარონი, და ისრაელის ეველა უხუცესნი, რომ ექამათ ჰური მოსეს სიმამრთან ერთად ღვთის წინაშე. 13 და იყო, მომდევნო დღის შემდეგ დაჯდა მოსე ერის განსასჯელად; და წინ ედგა მთელი ერი მოსეს განთიადიდან მწუსრამდე. 14 და დაინახა იოთორმა ეველაფერი, რასაც უკეთებდა ერს, და უთხრა: რა არის ეს, რასაც შენ უკეთებ ერს? რატომ ზინარ შენ მარტო, ხოლო მთელი ერი წინ ვიდგას შენ განთიადიდან საღამომდე? 15 და უთხრა მოსემ სიმამრს: რადგან მოღის ჩემთან ერი მსჯავრის გამოსაძიებლად ღვთის მიერ; 16 რადგან, როცა არის მათ შორის დავა და მოდიან ჩემთან, განვსჯი თითოეულს და ვასწავლი მათ ღვთის ბრძანებებს და მის სჯულს. 17 და უთხრა მოსეს სიმამრმა მას: არასწორად ასრულებ შენ ამ სიტყვას; 18 გაუსაძლისი ხრწნით ვაინწუნებთ შენც და მთელი ეს ერიც, რომელიც არის შენთან. მძიმეა შენთვის ეს სიტყვა; ვერ შეძლებ ამის შესრულებას შენ მარტო. 19 ამიტომ ახლა ისმინე ჩემი, და გირჩევ შენ და იქნება ღმერთი შენ-

თან; იყუი შენ ერისთვის ის, ვინც არის ღმერთთან, და მიიტანე მათი სიტყვები ღმერთთან.

20 და დაუძოწე მათ ღვთის ბრძანებები და მისი სჯული და უჩვენე მათ გზები, რომლებსაც ივლიან, და საქმეები, რომლებსაც გააკეთებენ.

21 და შენ შენთვის შეიკრულე მთელი ერიდან ძლიერი კაცები, ღვთისმობიანი, მართალი კაცები, ამატრეანების მოძულენი, და დადგინე ისინი მათზე ათასისთავებად და ასისთავებად და ორმოცდაათისთავებად და ათისთავებად და წერილის შემომტანებად\*.

22 და განსჯიან ერს ყოველ დროს; და ყველაზე მძიმე სიტყვას მოიტანენ შენამდე, ხოლო მცირე განსასჯელს განსჯიან თვითონ და შეგიმსუბუქებენ შენ და შეგწვეიან შენ.

23 თუ ამ სიტყვას შეასრულებ, გაგადღიერებს შენ ღმერთი და შეძლებ დგომას, და მთელი ეს ერი მივა თავის ადგილზე მშვიდობით.

24 და ისმინა მოსემ თავისი სიამბრის ხმისა და გააკეთა, რაც მას უთხრა.

25 და გამოაჩინა მოსემ ძლიერი კაცები მთელი ისრაელიდან და დადგინა ისინი მათზე ათასისთავებად და ასისთავებად და ორმოცდაათისთავებად და ათისთავებად და წერილის შემომტანებად.

26 და განსჯიდნენ ერს ყოველ დროს; და ყველაზე მძიმე სიტყვა მიჰქონდათ მოსესთან, ხოლო ყოველ მსუბუქ სიტყვას განსჯიდნენ თვითონ.

27 და გაუძვა მოსემ თავისი სიამბრი, და წავიდა თავის ქვეყანაში.

**თავი 19**

1 **ღ** ა ეგვიპტის ქვეყნიდან ისრაელის ძეთა გამოსვლის შესამეთვის ამ დღეს მივიდნენ სინას უდაბნოში.

2 და დაიდრნენ რაფიდინიდან და მივიდნენ სინას უდაბნოში და დაბანაკდა იქ ისრაელი მთის ზირდანში.

3 და მოსე ავიდა ღვთის მთაზე; და მოუხმო მას ღმერთმა მთიდან და უთხრა: ასე უთხარი იაკობის სახლს და აუწუე ისრაელის ძეებს:

4 თვითონ ნახეთ, რაც ვუყავი ეგვიპტელებს, და ავიყვანეთ თქვენ, როგორც არწივის ფრთებზე, და მოვიყვანეთ თქვენ ჩემთან.

5 და ახლა თუ სმენით მოისმენთ ჩემს ხმას და დაცვათ ჩემს აღთქმას, იქნებით ჩემთვის გამორჩეული ერი ყველა ხალხთაგან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა;

6 ხოლო თქვენ იქნებით ჩემთვის სამეუფო სამღვდელეობა და წმიდა ხალხი. ეს სიტყვები უთხარი ისრაელის ძეებს.

7 და მივიდა მოსე და მოუხმო ერის უხუცესებს და გადასცა მათ ყველა ის სიტყვა, რაც უბრძანა მას ღმერთმა.

8 და მიუგო მთელმა ერმა ერთსულაზნად და უთხრა: ყველაფერს, რაც თქვა ღმერთმა, გააკეთებთ და შევისმენთ. და მიიტანა მოსემ ერის სიტყვები ღმერთთან.

9 და უთხრა უფალმა მოსეს: აჰა, მე მოვდივარ შენთან ღრუბლის სვეტით, რათა ისმინოს ერმა, როცა ვილა-

\* წერილის შემომტანი – სასამართლო საქმეთა მწარმოებელი.

ზარაკებ მე შენთან, და შენი ირწმუნონ უკუისამდე. და ამცნო მოსემ ერის სიტყვები უფალს.

10 და უთხრა უფალმა მოსეს: ჩადი და დაუძოწმე ერს და განწმიდე ისინი დღეს და ხვალ, და გაირყეხონ სამოსი;

11 და იყენენ მხად მესამე დღისთვის, რადგან მესამე დღეს გარდამოვა უფალი სინას მთაზე მთელი ერის წინაშე.

12 და შემოსახლავრე ერი გარძემო და უთხარი: გაფრთხილდით თქვენ, არ ახვიდეთ მთაზე და არ შეეხოთ მის რამეს. ყოველი, რომელიც შეეხება მთას, სიკვდილით აღესრულება.

13 არ შეეხება მას ხელი, რადგან ქვებით ჩაიქოლება ან ისრით განიგძირება; გინდა საქონელი, გინდა კაცი არ იცოცხლებს. როცა ქუხილი და საყვირები და ღრუბელი გამოვდებიან მთას, მაშინ ავიდნენ ისინი მთაზე.

14 და ჩამოვიდა მოსე მთიდან ერთან და განწმიდა ისინი; და გაირყეხეს თავისი სამოსი.

15 და უთხრა ერს: იყავით მხად, სამ დღეს ნუ შენვალთ დედაკაცთან.

16 და იყო, მესამე დღეს, როცა ცისკარი დადგა, იყო ქუხილი და ელვა და აღმურიანი ღრუბელი სინას მთაზე, საყვირის ხმა იყო დიდი და შეშინდა მთელი ერი, რომელიც იყო ბანაკში.

17 და გაიყვანა მოსემ ერი ღვთის შესახვედრად ბანაკიდან და დადგნენ მთის ძირში.

18 ხოლო სინას მთა ბოლავდა მთლიანად, რადგან გარდამოსული იყო ღმერთი მასზე ცეცხლით, და ადიოდა ბოლი, როგორც ღუმლის ბოლი; და გაოგნდა მთელი ერი ძლიერ.

19 და იყო, საყვირის ხმები მოდიოდა და ძლიერდებოდა უფრო მეტად; მოსე

ღაპარაკობდა, ხოლო ღმერთი ზასუხობდა მას ხმით.

20 და გარდამოვიდა უფალი სინას მთაზე, მთის თხემზე; და მოუხმო უფალმა მოსეს მთის თხემზე და ავიდა მოსე.

21 და უთხრა ღმერთმა მოსეს და თქვა: ჩადი და დაუძოწმე ერს, რომ არ მიუხლოვდნენ ღმერთს შესაცნობად და არ დაეცეს მათგან მრავალი;

22 და მღვდლები, რომლებიც მიუხლოვდებიან უფალ ღმერთს, განიწმიდონ, რომ არ გამოვდეს მათ უფალი.

23 და უთხრა მოსემ ღმერთს: ვერ შეძლებს ერი ამოსვლას სინას მთაზე, რადგან შენ დაგვიძოწმე ჩვენ და თქვი: შემოსახლავრე მთა და წმიდაყავ იგი.

24 და უთხრა მას უფალმა: წადი, ჩადი და ამოდი შენ და აარონი შენთან ერთად; ხოლო მღვდლები და ერი ნუ იძალადებენ ღმერთთან ამოსასვლელად, რომ არ დაღუპოს ისინი უფალმა.

25 და ჩავიდა მოსე ერთან და უთხრა მათ.

## თავი 20


და თქვა უფალმა ყველა ეს სიტყვა და უთხრა:

2 მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმაც გამოგიყვანე შენ ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან.

3 არ იყენენ შენთვის სხვა ღმერთები ჩემ გარდა.

4 არ შექმნა შენთვის კერძი, არც არჩანიბი მსგავსება იმისა, რაც არის ცაში ზევით და რაც არის მიწაზე ქვევით და რაც არის წყლებში მიწის ქვეშ.

5 არ სცე თაყვანი მათ, არც ექსან-  
ურო მათ, რადგან მე ვარ უფალი  
ღმერთი შენი, ღმერთი შურისმკვე-  
ლი, მიძვები მამების ცოდვების გამო  
შვილებისთვის შესამე და მეოთხე  
თაობამდე, ჩემს მოძულეთათვის,  
6 და წყალობის მოქმედი – ათასებში  
ჩემს მოყვარულთათვის და ჩემი ბრძა-  
ნების დამცველთათვის.  
7 არ ახსენო შენი უფალი ღმერთის



სახელი ამოდ, რადგან არ განწმენდს  
უფალი თავისი სახელის ამოდ მსე-  
ნებელს.

8 გასსოვდეს დღე შაბათისა და წმი-  
დაყავ იგი.

9 ექვს დღეს იქმოდე და აკეთე ყვე-  
ლა შენი საქმე;

10 ხოლო მეშვიდე დღეს შაბათია  
შენი უფალი ღმერთისა, არ აკეთო  
მამის არახიარი საქმე შენ, და შენმა  
ძემ და შენმა ასულმა, შენმა მონამ  
და შენმა მხევალმა, შენმა ხარმა და  
შენმა სახედარმა და არცერთმა შენმა  
საქონელმა და მოსულმა, რომელიც  
შწირებს შენთან.

11 რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა  
ცა და ქვეყანა და ზღვა და ყვე-  
ლაფერი, რაც მათშია, და დაისვენა  
მეშვიდე დღეს; ამიტომ აკურთხა უფალ-  
მა მეშვიდე დღე და წმიდაყო იგი.

12 ჰატივი უცი შენს მამას და შენს  
დედას, რათა სიკეთე გეწიოს შენ და  
რათა დღევრძელი იყო კეთილ ქვეყ-  
ანაზე, რომელსაც უფალი ღმერთი  
შენი გაძლევს შენ.

13 არ მოკლა.

14 არ იმრუშო.

15 არ მოიპარო.

16 არ დასწამო ცილი შენს მოყვასს  
ცრუ მოწმობით.

17 არ ინდომო შენი მოყვასის ცოლი,  
არ ინდომო შენი მოყვასის სახლი,  
არც მისი მამული, არც მისი მონა,  
არც მისი მხევალი, არც მისი ხარი,  
არც მისი სახედარი, არც მისი არა-  
ნარი საქონელი, არც არაფერი, რაც  
შენი მოყვასისაა.

18 და მთელი ერი ხედავდა ხმას და  
ლამზრებს, საყვირის ხმას და მბოლავ  
მთას; და ეძინოდა მთელ ერს და

იდგა მოშორებით;

19 და უთხრეს მოსეს: შენ გველანაზრ-აკე ჩვენ და ნუ იღაზნაკებს ჩვენთან ღმერთი, რომ არ დავისოცოთ.

20 და უთხრა მათ მოსემ: გამხნევდით, რადგან თქვენს გამოსაცდელად მოვი-და ღმერთი თქვენთან, რათა იყოს მისი შიში თქვენში, რომ არ სცოდოთ.

21 და იდგა ერთი შორს, ხოლო მოსე შევიდა წყვილად, სადაც იყო ღმერთი.

22 და უთხრა უფალმა მოსეს: ეს უთხარი იაკობის სახლს და აუწყე ისრაელის ძეებს: თქვენ იხილეთ, რომ ზეციდან გველანაკეთ თქვენ;

23 არ გადაკეთოთ თქვენთვის ვერცხ-ლის ღმერთები და ოქროს ღმერთები არ გადაკეთოთ თქვენთვის.

24 საკურთხეველი მიწისგან გამიკე-თეთ მე და შესწირეთ მასზე ყოვ-ლადღასაწველნი და გამოსახსნელნი თქვენნი, თქვენი ცხვრები და ზვარ-აკები ყოველ ადგილზე, რომელსაც დავარქმევ ჩემს სახელს, იქ; და მოვ-ალე შენთან და გაკურთხებ შენ.

25 ხოლო თუ საკურთხეველს ქვები-სგან გამიკეთებ მე, არ აავო იგი თლილით, რადგან საჭრისი დაადე მათ და შებილწულია.

26 არ ახვიდე საფეხურებით ჩემს საკურთხეველზე, რათა არ გამოჩ-ნდეს შენი სარცხვინელი მასზე.

**თავი 21**

**ღ**ა ეს არის სამართალი, რომელ-საც წინ დაუდებ მათ.

2 თუ შეიძენ ებრაელ მონას, ექვსი წელი გემონოს შენ, ხოლო მეშვიდე წელს გავიდეს თავისუფალი უსასყიდ-ლოდ.

3 თუ ის მარტო შემოვა, მარტოც გავიდეს; ხოლო თუ ცოლი შემოვა მასთან ერთად, ცოლიც გავიდეს მას-თან ერთად.

4 ხოლო თუ ბატონი მისცემს მას ცოლს, და უშობს მას ძეებს ან ასულებს, ცოლი და შვილები იქნებიან მისი ბა-ტონისა, ხოლო ის მარტო გავიდეს.

5 ხოლო თუ მიუკებს და ეტყვის მონა: შევიყვარე ჩემი ბატონი და ცოლი და შვილები, არ გავიდვარ თავისუფალი, –

6 მიიყვანოს იგი თავისმა ბატონმა ღვთის სამსჯავროზე, და მაშინ მიუ-ყვანოს იგი კარის წირთხლთან და გაუწ-ვრიტოს თავისმა ბატონმა ყური სად-გისით, და მონებდეს მას უკუნისამდე.

7 ხოლო თუ ვინმე გაყიდის თავის ასულს მონად, არ გავიდეს, როგორც გადიან მხევლები.

8 თუ არ მოეწონება მის ბატონს, რომელმაც მას ზირობა მისცა, გაუშ-ვას იგი; ხოლო უცნო წარმართზე არა აქვს მისი გაყიდვის უფლება იმის გამო, რომ უარი თქვა მასზე.

9 ხოლო თუ ძეს მეჭაბირდება მას, ასულთა სამართლისამებრ მოექცეს მას.

10 ხოლო თუ სხვას მოიყვანს თავისთვის, მისი საარსებო და სამოსი და თანაცხოვრება არ მოაკლოს.

11 ხოლო თუ ამ სამს არ შეუს-რულებს მას, გავიდეს უსასყიდლოდ, ვერცხლის გარეშე.

12 ხოლო თუ დანარტყამს ვინმე ვინ-ძეს, და მოკვდება, სიკვდილით მოკვდეს;

13 ხოლო ვისაც არ უნდოდა, არ-ამედ ღმერთმა მისცა მას ხელში, მოკცემ შენ ადგილს, იქ, სადაც გაიქცე-ვა მკვლელი.

14 ხოლო თუ ვინმე თავს დაესხმება

მოყვას მის მოსაკლავად მსაკურულად და გაიქცევა, ჩემი საკურთხევლიდანაც წაიყვანე იგი მოსაკლავად. 15 ვინც სცემს თავის მამას ან თავის დედას, სიკვდილით მოკვდეს. 16 ვინც აუგს ამბობს თავის მამაზე ან თავის დედაზე, სიკვდილით აღესრულოს. 17 თუ მოიტაცებს ვინმე ვინმეს ისრაელის ძეთაგან და იძვლავრებს მასზე და ყიდის, და იპოვიან მასთან, სიკვდილით აღესრულოს. 18 ხოლო თუ იდავებს ორი კაცი და დანარტყამს რომელიმე მოყვასს ქვას ან მუძტს, და არ მოკვდება, მაგრამ ჩაწევა საწოლში, 19 თუ ადგება კაცი და ივლის გარეთ ჯოხით, უდანაშაულო იქნება დანარტყელი; გარდა მისი მოცდებისა, გადაუხადოს მკურნალობისაც. 20 ხოლო თუ ვინმე დანარტყამს თავის მონას ან თავის მხევალს ჯოხს, და მოკვდება მის ხელში, სამართლით გასამართლდეს. 21 ხოლო თუ იცოცნლებს ერთ ან ორ დღეს, არ გასამართლდეს, რადგან ვერცხლი მისია. 22 ხოლო თუ იხსუბებს ორი კაცი და დანარტყამენ მუცლადღებულ დედაკაცს და გამოვა მისი ყრმა გამოუსახველი, სახლურით იზლოს; როგორც დააკისრებს დედაკაცის ქმარი, მისცეს, რამდენის ღირსიც იქნება; 23 ხოლო თუ გამოსახული იქნება, მისცეს სული სულის წილ, 24 თვალი – თვალის წილ, კბილი – კბილის წილ, ხელი – ხელის

წილ, ფეხი – ფეხის წილ, 25 დამწვრობა – დამწვრობის წილ, ჭრილობა – ჭრილობის წილ, ნატყენი – ნატყენის წილ. 26 ხოლო თუ ვინმე დანარტყამს თავის მონას თვალში ან თავის მხევალს თვალში და დააბრძავებს, თავისუფლები გაუძვას ისინი მათი თვალის წილ. 27 ხოლო თუ თავის მონას კბილს ან მხევალს კბილს ჩამოუვდებს, თავისუფლები გაუძვას ისინი მათი კბილის წილ. 28 ხოლო თუ ურტყის ხარი მამაკაცს ან დედაკაცს, და მოკვდება, ქვით ჩაიქოლოს ხარი და არ შეიჭამოს მისი ხორცი; ხოლო ხარის პატრონი უდანაშაულო იქნება. 29 ხოლო თუ ხარი მარტყენალია გუშინდლიდან და გუშინწინდლიდან და დაუმოწმებენ მის პატრონს, და არ მოარიდებს მას, და მოკლავს მამაკაცს ან დედაკაცს, ხარი ჩაიქოლოს და მისი პატრონი მოკვდეს მასთან ერთად. 30 ხოლო თუ გამოსახვილი დაედება მას, მისცეს მისი სულის გამოსახვილი, რამდენსაც დაადებენ მას. 31 ხოლო თუ ძეს ან ასულს ურტყის, ამ სამართლისამებრ მოექცნენ მას. 32 ხოლო თუ მონას ურტყის ხარი ან მხევალს, ოცდაათი ვერცხლი დიდრატმა\* მისცეს მათ პატრონს და ხარი ჩაიქოლოს. 33 ხოლო თუ ვინმე გახსნის ჭას ან ამოთხრის ჭას და არ დააფარებს მას და ჩავარდება იქ ხბო ან ვირი, 34 ჭის პატრონმა გადაიხადოს; ვერცხლი მისცეს მათ პატრონს, ხოლო

\* დიდრატმა - ფულის ერთეული, რომელიც სეპტუაგისგის თარგმნის დროს იყო მიმოქცევაში და შეესაბამება შეკელს, გარკვეული წონის ოქროს ან ვერცხლს.

მკვდარი მისი იყოს.

3<sup>ნ</sup> სოლო თუ ურქენს ვიღაცის ხარი მოყვასის ხარს, და მოკვდება, გაუიღონ ცოცხალი ხარი და გაიყონ მისი ვერცხლი და მკვდარი ხარიც გაიყონ. 3<sup>ნ</sup> სოლო თუ ცნობილია, რომ ხარი მარქენალია გუშინდლიდან და გუშინწინდლიდან და დაუმოწმებენ მის პატრონს, და არ მოაზრდებს მას, გადინადოს ხარი ხარის წილ, სოლო მკვდარი მისი იყოს.

**თავი 22**

**ს**ოლო თუ ვინმე მოიპარავს ხბოს ან ცხვარს და დაკლავს მას ან გაუიღის, სუთი ხბო გადინადოს ხბოს წილ და ოთხი ცხვარი – ცხვრის წილ.

2 სოლო თუ თხრისას იპოვიან მპარავს და დაჭრილი მოკვდება, არ არის ეს მისი მკვლელობა;

3 სოლო თუ დაათუნდება მას, დამნაშავეა მკვლეელი, მოკვდეს. სოლო თუ არაფერი აქვს მას, გაიყიდოს მოპარულის სანაცვლოდ.

4 სოლო თუ წაასწრებენ და აღმოჩნდება მის ხელში მოპარული, ვირიდან ცხვრამდე, ცოცხალი, ორმაგად გადაინადოს იგი.

5 სოლო თუ მოაძოვებინებს ვინმე ყანას ან ვენახს და გაუშვებს თავის საქონელს სხვა ყანის მოსაძოვად, გადინადოს თავისი ყანიდან მისი მოსავლის შესაბამისად; სოლო თუ მთელ ყანას მოაძოვებინებს, საუკეთესო თავისი ყანიდან ან საუკეთესო თავისი ვენახიდან გადაინადოს.

6 სოლო თუ გამოსული ცეცხლი იპოვის კვალს და დაწვავს კვალს ან

თავთავს, ან მინდორს, გადინადოს ცეცხლის გამჩაღებელმა.

7 სოლო თუ ვინმე მისცემს მოყვასს ვერცხლს ან ჭურჭელს შესანახად, და მოიპარავენ იმ კაცის სახლიდან, თუ იპოვიან მპარავს, გადინადოს ორმაგად;

8 სოლო თუ ვერ იპოვიან მპარავს, მივიდეს სახლის პატრონი ღვთის წინამე და დაიფიცოს, რომ მას არ უმხაკურია მოყვასის მთელ მიბარებულზე.

9 ყოველი უსამართლო ნათქვამისთვის ხბოზე და სახედარზე და ცხვარზე და სამოსზე და ყოველ დაბრალეულ დანაკარგზე, რაც რამეა, ღვთის წინამე მივიდეს ორივეს სარჩელი და ღვთის მიერ მხილებულმა გადაუხადოს ორმაგად მოყვასს.

10 სოლო თუ ვინმე მისცემს მოყვასს სახედარს ან ცხვარს, ან ხბოს, ან მთელ საქონელს შესანახად, და დაიმტკრევა ან მოკვდება, ან გატაცებული იქნება და ვერაზინ გაიგებს,

11 ღვთის ფიცი იყოს ორივეს შორის, რომ მას არ უმხაკურია მოყვასის მთელ მიბარებულზე; და ასე შეიწყნაროს მისმა პატრონმა, და არ გადაუხადოს.

12 სოლო თუ მოიპარავენ მისგან, გადაუხადოს პატრონს.

13 სოლო თუ მხეცი დაგლეჯს, მიიყვანოს იგი ნამხეცავთან და არ გადაუხადოს.

14 სოლო თუ ითხოვს ვინმე მოყვასისგან და დაიმტკრევა ან მოკვდება, ან გატაცებული იქნება და პატრონი არ იქნება მასთან, გადინადოს;

15 სოლო თუ პატრონი მასთან იქნება, არ გადაინადოს; სოლო თუ დაქირავე-



ბულია, იყოს მისთვის მისი საზღაურის წილი.

16 ხოლო თუ აცდუნებს ვინმე დაუწინდავ ქალწულს და დაწვება მასთან, ურჯადით გამოისყიდოს იგი თავისთვის ცოლად.

17 ხოლო თუ უარით იუარებს და არ მოინდომებს მისი მამა მის მიცემას მისთვის ცოლად, ვერცხლი გადაუხადოს მამას, რამდენიც არის ქალწულთა ურჯადი.

18 გრძნეულები არ დატოვოთ ცოცხლები.

19 ეოველი, რომელიც დაწვება ზიროტკუთან, სიკვდილით მოკალით იგი.

20 ვინც მსხვერპლს შესწირავს ღმერთებს ერთადერთი უფლის გარდა, სიკვდილით მოისპოს.

21 და მწიწს არ უბოროტოთ, არც დაზაროთ იგი, რადგან მწიწნი იუავით ეგვიპტის ქვეყანაში.

22 არცერთ ქვრივს და ობოლს არ უბოროტოთ;

23 ხოლო თუ სიბოროტით უბოროტებთ მათ და შემომღალადებენ და მომისმობენ მე, სმენით შევისმენ მათი ხმისას.

24 და განვრისხდები გულისწერომით და მოგწყვეტთ თქვენ მანვილით და იქნებიან თქვენი ცოლები ქვრივები და თქვენი შვილები – ობლები.

25 ხოლო თუ ვერცხლს ასესხებ შენთან მყოფ ღარიბ მძას, არ შეაწუხო იგი, არ დაადო მას ვანძი.

26 ხოლო თუ გირათით იგირავებ მოყვასის სამოსს, მზის ჩასვლამდე

დაუბრუნე მას,

27 რადგან ის არის მისი შესამოსელი, მხოლოდ ის არის მისი სიმძივლის სამოსი; რითი დაიძინებს? თუ შემომღალადებს მე, შევისმენ მისას, რადგან მოწყალე ვარ.

28 ღმერთები\* არ მოიხსენო აუვად და შენი ერის მთავრებზე არ თქვა აუვი.

29 შენი კალოს და საწნახლის ზიროტკუთისაგალი არ დააგვიანო; ზიროტკუები შენი ძეებისა მომეცი მე.

30 ასევე მოექეცი შენს ხბოს და შენს ცხვარს და შენს სახედარს: შვიდ დღეს იყოს დედასთან, ხოლო მერვე დღეს მომეცი მე იგი.

31 და წმიდა კაცები იუავით ჩემთვის. და ნამხეცავი ხორცი არ ჭამოთ, ძალღს მიუგდეთ იგი.

**თავი 23**

ღმერთი შეიწინააღმდეგა ამო მისასმენი; არ შეეკრა ცრუს, რომ არ განდგ ცრუ მოწყ.

2 არ იყო მრავალთან ერთად ბოროტებაში. არ შეუერთდეს სიმრავლეს, რომ არ განდგეს მრავალთან ერთად მსჯავრის განამრუდებლად.

3 და ღარიბი არ შეიწეალო განსჯისას.

4 ხოლო თუ წააწყდები შენი მტრის გზაბნეულ ხარს ან მის სახედარს, მოაბრუნე და მიეცი მას.

5 ხოლო თუ დაინახავ შენი მტრის სახედარს, თავის ტვირთქვეშ დაცემულს, არ ჩაუარო მას, არამედ წა-

\* ღმერთები - მსგავსად სიგყებისა „ღმერთნი სამე ხართ...“ (ფს.81,6) - აქ შეიძლება იგულისხმებოდნენ ძალაუფლების მქონე მადლმოსილი ადამიანები, მსაჯულები, ღვთის ნების აღმსრულებელნი.

მოაყენე იგი მასთან ერთად.

6 არ შეცვალო ღარიბის განახენი მისი განსჯისას.

7 ყოველ ცრუ სიტყვას განეშორე; უდანაძაულო და მართალი არ მოკლა და არ გაამართლო უღვთო ქრთამის გამო.

8 და ქრთამი არ აიღო, რადგან ქრთამი აბრმავებს მხედველთა თვალებს და შეურაცხყოფს მართალ სიტყვებს.

9 და მწიბი არ შეაჭიროთ, რადგან თქვენ იცით მწიბის სული, რადგან თვითონ მწიბები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში.

10 ექვს წელიწადს თესე შენი მიწა და შეაგროვე მისი მოსავალი,

11 ხოლო მეშვიდე წელიწადს დატოვე და დასვენე იგი, და ჭამონ შენი ხალხის ღატაკებმა, ხოლო დარჩენილი ჭამონ ველის მხეცებმა; ასე მოექცე შენს ვეხას და შენს ზეთისხილოვანს.

12 ექვს დღეს აკეთე შენი საქმე, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენე, რათა დაისვენოს შენმა ხარმა და შენმა სახედარმა, და რათა ამოისუნთქოს შენი მხევლის ძემ და მწიბმა.

13 ყოველივე, რაც ვითხარით თქვენ, დაიცავით. და სხვა ღმერთების სახელი არ ახსენოთ, არც მოისმას თქვენი ზირიდან.

14 სამჯერ წელიწადში იდღესასწაულეთ ჩემთვის.

15 უსაფუვროთა დღესასწაული დაიცავით: მზიდ დღეს ჭამეთ უსაფუვრო, როგორც ვიბრძახე შენ, ახალთა თვის ჟამს, რადგან მაშინ გამოსვედით ეგვიპტიდან. არ გამოხნდე ჩემ წინაშე ცარიელი.

16 და ჰირველნაყოფთა მკის დღესას-

წაული აღასრულე შენს ნაშრომთან, რასაც დათესავ შენს ყანაში, და დასრულების დღესასწაული – წელიწადის განსჯისას, შენი ნაშრომის შეგროვებისას შენი ყანიდან.

17 სამჯერ წელიწადში გამოხნდე შენი ყოველი მამრი შენი უფალი ღმერთის წინაშე.

18 როცა ვაყური წარმართებს შენი ზირიდან და ვაუფართოებს შენს საზღვრებს, არ შესწირო საფურხე ჩემი მსხვერპლის სისხლი, არც დარჩეს ჩემი დღესასწაულის ცმელი განთიადადე.

19 შენი მიწის ჰირველმოსავლის ჰირველნაყოფი შეიტანე შენი უფალი ღმერთის სახლში. არ მოხარო კრავი თავისი დედის რძეში.

20 და აჰა, მე ვგზავნი ჩემს ანგელოზს შენ წინ, რათა დავიცვას შენ გზაზე, რომ შეგიყვანოს შენ ქვეყანაში, რომელიც გავიმზადე შენ.

21 გაფრთხილდი შენ და შეისმინე მისი და ნუ ეურჩები მას, რომ არ გაგმორდეს შენ, რადგან ჩემი სახელია მასზე.

22 თუ სმენით მოისმენ ჩემს ხმას და გააკეთებ ყოველივეს, რაც ვიბრძახე შენ, და დაიცავთ ჩემს აღთქმას, იქნებით ჩემთვის რჩეული ერი ყველა ხალხისგან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა; ხოლო თქვენ იქნებით ჩემთვის სამეუფო სამღვდელთა და წმიდა ხალხი. ეს სიტყვები უთხარი ისრაელის ძეებს: თუ სმენით მოისმენთ ჩემს ხმას და გააკეთებთ ყოველივეს, რაც ვითხარით შენ, გადავემტერებ შენს მტრებს და წინ აღვუდგები შენს წინააღმდეგობით.

23 რადგან ივლის ჩემი ანგელოზი შენს წინამძღვრად და შეგიყვანს შენ

ამორეველთან და ქეტელთან და ფერეხელთან და ქანახელთან და გერგესელთან და ეველთან და იებუსელთან და გაანადგურებ მათ.

24 არ სცე თაყვანი მათ ღმერთებს, არც ემსახურო მათ; არ მოიქცე მათი საქმეებისამებრ, არამედ დაშობით დაძმე და შემუსვრით შემუსრე მათი ძეგლები.

25 და ემსახურე შენს უფალ ღმერთს და ვაკურთხებ შენს ჰურს და შენს ღვიბოს და შენს წყალს და უკუვაქცევ უძლეურებას თქვენგან.

26 არ იქნება უძვილო, არც ბერწი შენს ქვეყანაში; შენს ღვთა რიცხვს აღვაყვებ.

27 და მიშს მოვაულებ შენს წინამძღვრად და განვაცვიფრებ ეველა ხალხს, რომლებთანაც შენ შეხვალ, და მოვცემ შენს ეველა მოწინააღმდეგეს განსადევნად.

28 და მივაულებ კრახანებს შენზე წინ და განდევნის ამორელებს და ეველებს და ქანახელებს და ქეტელებს შენგან.

29 არ განვდევნი მათ ერთ წელიწადს, რათა არ იქცეს ქვეყანა უდაბნოდ და არ განდებენ შენზე ბევრნი ქვეყნის მხეცები.

30 ცოტ-ცოტას განვდევნი მათ შენგან, ვიდრე არ გამრავლდები და არ დაიძვიდრებ ქვეყანას.

31 და დავდებ შენს საზღვრებს მეწამული ხეივანი ფილისტიმის ხევიამდე და უდაბნოდ დიდ მდინარე ეფრატამდე; და ვადმოვცემთ თქვენ ხელთ ქვეყანაში მსხრომთ და განვდევნი მათ შენგან.

32 არ დადო მათთან და მათ ღმერთებთან აღთქმა,

33 და ნუ განურდებათ შენს ქვეყანაში, რათა არ ჩავადვინოთ შენ ცოდვა ჩემ მომართ, რადგან, თუ დაემონები

მათ ღმერთებს, ისინი იქნებიან შენთვის საცდურნი.

**თავი 24**

**ღ** ა მოსეს უთხრა: ამოდი უფალთან შენ, და აარონი და ნადამი და აბიუდი და სამოცდაათნი ისრაელის უწუცესთაგან და თაყვანი სცენ მორიდან უფალს;

2 და მოუანლოვდეს მხოლოდ მოსე ღმერთს, ხოლო ისინი არ მოუანლოვდებენ; და ერი არ ამოვიდეს მათთან ერთად.

3 და შევიდა მოსე ბანაკში და უამბო ერს ღვთის ეველა სიტყვა და სამართალი; ხოლო მიუგო მთელმა ერმა ერთმად და უთხრა: ეველა სიტყვას, რომელიც თქვა უფალმა, შევასრულებთ და მოვისმენთ.

4 და დაწერა მოსემ უფლის ეველა სიტყვა. და ადგა მოსე განთიადისას და აავო საკურთხეველი მთის ძირში და დაწყო თორმეტი ქვა ისრაელის თორმეტი ტომის მიხედვით;

5 და გაგზავნა ისრაელის ძეთა ჭაბუკები და აიტანეს ყოვლადდასაწველნი და შესწირეს გამოსხნის მსხვერპლად ღმერთს ზვარაკები.

6 და აიღო მოსემ სისხლის ნახევარი და ჩაასხა ტაკუკში, ხოლო სისხლის ნახევარი აშკურა საკურთხეველს.

7 და აიღო აღთქმის წიგნი და წაიკითხა ერის უურადსაღებად და თქვეს: ეველაფერს, რაც თქვა უფალმა, შევასრულებთ და მოვისმენთ.

8 და აიღო მოსემ სისხლი და ასხურა ერს და თქვა: აჰა, სისხლი აღთქმისა, რომელიც აღვითქვათ უფალმა თქვენ ეველა ამ სიტყვისთვის.

9 და ავიდა მოსე, და აარონი და ნადაბი და აბიუდი და სამოცდაათნი ისრაელის მონუცებულთაგან  
 10 და იხილეს ადგილი, რომელსეც იდგა ისრაელის ღმერთი, იქ, და მის ფეხთქვეშ იყო როგორც ნაკეთობა საფორონის ქვისა და როგორც სახე ცის სამყაროსი სიწმინდით.  
 11 და ისრაელის რჩეულთაგან არ მოკვდა არცერთი; და იხილეს ღვთის ადგილი და ჭამეს და სვეს.  
 12 და უთხრა უფალმა მოსეს: ამოდი ჩემთან მთაზე და იუაჲ იქ; და მოკცემ მენ ქვის ფილებს, სჯულს და მცნებებს, რომლებიც დაწერე სჯულის-დებად მათთვის.  
 13 და ადგა მოსე, და ისო, მასთან მდგომი, და ავიდნენ ღვთის მთაზე;  
 14 და უსუცესეს უთხრა: მშვიდად იუაჲთ, ვიდრე მოვბრუნდებით თქვენთან; და აჰა, აარონი და ორი – თქვენთან ერთად; თუ ვინმეს მოუხდება დაჲა, მივიდნენ მათთან.  
 15 და ავიდა მოსე, და ისო მთაზე და დაფარა ღრუბელმა მთა.  
 16 და გარდამოვიდა ღვთის დიდება სინას მთაზე და დაფარა იგი ღრუბელმა ექვსი დღე; და მოუხმო უფალმა მოსეს შემვიდე დღეს ღრუბლის შუაგულიდან.  
 17 ხოლო სახე უფლის დიდებისა იყო, როგორც მოგიხვიზე ცეცხლი მთის თხემზე ისრაელის ძეთა წინაშე.  
 18 და შვიდა მოსე ღრუბლის შუაგული და ავიდა მთაზე და იყო იქ, მთაზე, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე.

**თავი 25**

**ღ** ა ელანარაკა უფალი მოსეს და უთხრა:  
 2 უთხარი ისრაელის ძეებს და მომართვით მე ჰირველნაყოფები ყველაფრისგან, რაც გულის უნდა, და მომართვით ჩემი ჰირველნაყოფები.  
 3 და ეს არის ჰირველნაყოფი, რასაც აიღებთ მათგან: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი,  
 4 იაკინთი\*, ჰორფირი, ორმაგი ძოწეული და გრენილი ბისონი და თხის ბეწვი,  
 5 და ვერძის მწამულად შეღებილი ტყავები და იაკინთისფერი ტყავები და ულამობი ძელები,  
 6 და ზეთი განახათებლად, კეთილსურნელება საცხები ზეთისთვის და საკმეკლის შესახაველად;  
 7 და სარდიონის ქვები და ქვები გამოსაწახნავებლად ეფოდისთვის\*\* და პოდირი.\*\*\*  
 8 და გამიკეთე მე განსაწმედელი და გამოფხნდები თქვენ შორის.  
 9 და გამიკეთე მე იმ ყველაფრის მიხედვით, რასაც მე შენ განვეხებ მთაზე – კარვის ნიმუშს და ნიმუშს მისი ყველა ჭურჭლისას; ასე გააკეთე.  
 10 და გააკეთე მოწმობის კიდობანი ულამობი ძელებისგან: ორწერთა-ხანევარი – სივრძე და წერთა-ხანევარი – სივანე და წერთა-ხანევარი – სიძალე.  
 11 და მოაქროვე იგი სუფთა ოქროთი, გარედან და შიგნიდან მოაქროვე იგი; და გაუკეთე მას ოქროს გრენილი

\* იაკინთი - ცისფერი ქსოვილი.  
 \*\* ეფოდი - მღვდლის შესამოსელი, მხრებზე ჩამოსაცმელი.  
 \*\*\* პოდირი - მღვდლის გრძელი შესამოსელი, წვივებამდე.

ტაღლები ირგვლივ.  
 12 და გამოუქედე მას ოქროს ოთხი რგოლი და დაწვე ოთხ კიდეზე, ორი რგოლი – ერთ კიდეზე და ორი რგოლი – მეორე კიდეზე.  
 13 და გააკეთე ასაწვეები უღაბობი ძელებისგან და მოაოქროვე ისინი ოქროთი;  
 14 და გაუარე ასაწვეები რგოლებში კიდობნის კიდეებზე მათი მეშვეობით კიდობნის ასაღებად;  
 15 კიდობნის რგოლებში იყოს ასაწვეები უძრავად.  
 16 და ჩააწვე კიდობანში მოწმობები, რომლებსაც მოგცემ შენ.  
 17 და გააკეთე საღვინებელი, სახურავი სუფთა ოქროსი, ორწერთა-ნახევარი – სიგრძე და წერთა-ნახევარი – სიგანე.  
 18 და გააკეთე ოქროს ორი ჭედური ქერები და დადვი ისინი საღვინებლის ორივე კიდეზე;  
 19 გაკეთდეს ერთი ქერები და საღვინებლის ამ კიდიდან და ერთი ქერები – მეორე კიდიდან; და გააკეთე ორი ქერები ორ კიდეზე.  
 20 იყვნენ ქერები და გაშლილი ფრთებით ზემოდან, რომლებიც დაფარავენ თავისი ფრთებით საღვინებელს და მათი სახეები იყოს ერთმანეთისკენ; საღვინებლისკენ იყოს ქერები მათა სახეები.  
 21 და დადე საღვინებელი კიდობანზე ზემოდან; და კიდობანში ჩააწვე მოწმობები, რომლებსაც მოგცემ შენ.  
 22 და გამოგეცნადები შენ იქიდან და დაგველაპარაკები შენ საღვინებლის ზემოდან, ორ ქერებში შორის, რომ-

ლებიც არიან მოწმობის კიდობანზე, იმ ეველაფრისამებრ, რასაც გიბრძანებ შენ ისრაელის ძეთათვის.  
 23 და გააკეთე ტაბლა სუფთა ოქროსგან, ორი წერთა – სიგრძე და წერთა – სიგანე და წერთა-ნახევარი – სიმაღლე.  
 24 და გააკეთე მას ოქროს გრენილი ტაღლები ირგვლივ.  
 25 და გააკეთე მას ნებისოდენა\* გვირგვინი ირგვლივ; და გააკეთე გრენილი ტაღლა გვირგვინს ირგვლივ.  
 26 და გააკეთე ოქროს ოთხი რგოლი და დაწვე რგოლები მისი ფხვების ოთხ მხარეს, გვირგვინის ქვეშ.  
 27 და იყოს რგოლები ასაწვეების წამოსაცმელად, რომ აიღონ მათი მეშვეობით ტაბლა.  
 28 და გააკეთე ასაწვეები უღაბობი ძელებისგან და მოაოქროვე ისინი სუფთა ოქროთი და აიღონ მათი მემშვეობით ტაბლა.  
 29 და გააკეთე მისი ფიალები და სასაკმეველები და ტაკუები და ხაწები, რომელთა მეშვეობითაც შესწირავ; სუფთა ოქროსგან გააკეთე ისინი.  
 30 და დაწვე ტაბლაზე წინადაგების ჰურები ჩემ წინაშე ყოველთვის.  
 31 და გააკეთე სასანთლე სუფთა ოქროსგან, ჭედური გააკეთე სასანთლე. მისი ღერო და რტოები და ტაკუები და ბურთულები და შრომანები მისგან იყოს.  
 32 ექვსი რტო გამოვიდეს გვერდებიდან: სასანთლის სამი რტო მისი ერთი კიდიდან და სასანთლის სამი რტო მეორე კიდიდან.  
 33 და სამი ტაკუი, გამოკვეთილი

\* ნები - ხელისგული.

კაკლებად – ერთ რტოსზე, ბურთულა და შროძანი; ასე იყოს სასანთლიდან გამომავალი ექვსი რტოსთვის.

34 და სასანთლეზე ოთხი ტაკუკი, გამოკვეთილი კაკლებად – ერთ რტოსზე, მისი ბურთულები და შროძანები. 35 ბურთულა – ორი რტოს ქვეშ მისგან და ბურთულა – ოთხი რტოს ქვეშ მისგან; ასე იყოს სასანთლიდან გამომავალი ექვსი რტოსთვის.

36 ბურთულები და რტოები მისგან იყოს; მთელი ჭედურობა – ერთი სუფთა ოქროსგან.

37 და გააკეთე მისი შვიდი კანდელი და დადვი კანდელები და ანათებდნენ ერთი მხრიდან.

38 და მისი მარწუხი და მისი ქვეშადგამები სუფთა ოქროსგან გააკეთე;

39 მთელი ეს ჭურჭელი – სუფთა ოქროს ტალანტისაგან.

40 იხილე, გააკეთე იმ სახით, როგორც ნახევები იყო შენთვის მთაზე.

**თავი 26**

**ღ**ა კარავი გააკეთე ათი ჩამოსაფარებლისგან – გრენილი ბისონისგან და იაკინთისგან და პორფირისგან და გრენილი ძოწეულისგან; ქერუბიმებით ნაქსოვი გააკეთე ისინი.

2 ერთი ჩამოსაფარებლის სივრძე – ოცდარვა წურთა და ერთი ჩამოსაფარებლის სივრძე ოთხი წურთა იყოს; იგივე საზომი იყოს ყველა ჩამოსაფარებლისთვის.

3 და ხუთი ჩამოსაფარებელი იყოს ერთმანეთთან შეერთებული, ერთი – მეორესთან, და ხუთი ჩამოსაფარებელი იყოს შეერთებული, ერთი – მეორესთან.

4 და გაუკეთე მათ იაკინთისფერი

კილოები ჩამოსაფარებლის ერთ კიდეზე ერთი მხრიდან შესაკრავად; და ასევე გააკეთე განაპირა ჩამოსაფარებლის კიდეზე მეორესთან შესაკრავად.

5 ორმოცდაათი კილო გაუკეთე ერთ ჩამოსაფარებელს და ორმოცდაათი კილო გაუკეთე ჩამოსაფარებლის ერთ მხარეს მეორესთან შესაკრავად; პირი პირზე დაემთხვეს ერთმანეთს თითოეული.

6 და გააკეთე ოქროს ორმოცდაათი კავი და შეაერთე ჩამოსაფარებლები ერთი მეორესთან კავებით და იყოს ერთი კარავი.

7 და გააკეთე ბეწვიანი ტყავები კარავზე გადასაფარებლად; თერთმეტ ტყავად გააკეთე ისინი;

8 ერთი ტყავის სივრძე იყოს ოცდაათი წურთა და ოთხი წურთა – ერთი ტყავის სივრძე; იგივე საზომი იყოს თერთმეტი ტყავისთვის.

9 და შეაერთე ხუთი ტყავი ერთად და ექვსი ტყავი – ერთად; და გააორმჯე შექმნე ტყავი კარვის წინა მხარეს.

10 და გაუკეთე ორმოცდაათი კილო კიდეზე ერთ ტყავს, რომელიც არის შუაში, შესაკრავად, და ორმოცდაათი კილო გაუკეთე კიდეზე მეორე შემაერთებულ ტყავს.

11 და გააკეთე სპილენძის ორმოცდაათი კავი და შუკარი კავები კილოებზე და შუკარი ტყავები, და იყოს ერთიანი.

12 და შემოუკვეცე ნამეტი კარვის ტყავებს; ტყავის დარჩენილი ნახევარი ჩამოუძვი, კარვის ტყავების ნამეტი ჩამოაფარე კარვის უკან;

13 წურთა აქედან და წურთა იქიდან ტყავების ნამეტიდან, კარვის ტყავების სივრძიდან იყოს ერთად გადაფარებული კარვის გვერდებზე აქედან და იქიდან, რომ დაიფაროს.

14 და გაუკეთე გადასაფარებელი კარავს – ვერძის ტყავები, მქნამულად შელეპილი, და იაკინთისფერი დასაფარებელი ტყავები – ზემოდან.

15 და გაუკეთე სვეტები კარავს უღზობი ძელებისგან:

16 ათი წურთა გადაკეთე ერთი სვეტი და წურთა-ნახევარი იყოს ერთი სვეტის სიგანე;

17 ორი სოლი – ერთი სვეტისთვის, ერთი მეორესთან ჰორისპირ დამთხვეს; ასე გაუკეთე კარავის ყველა სვეტს.

18 და გაუკეთე სვეტები კარავს, ოცი სვეტი ჩრდილოეთ კიდეზე.

19 და ვერცხლის ორმოცი საყრდენი გაუკეთე ოც სვეტს, ორი საყრდენი – ერთ სვეტს მის ორივე მხარეს და ორი საყრდენი – მეორე სვეტს მის ორივე მხარეს.

20 და მეორე კიდეზე, სამხრეთით – ოცი სვეტი;

21 და მათი ორმოცი საყრდენი – ვერცხლისა, ორი საყრდენი ერთ სვეტს – მის ორივე მხარეს და ორი საყრდენი მეორე სვეტს – მის ორივე მხარეს.

22 და კარავის უკნიდან, ზღვის მხარეს, გადაკეთე ექვსი სვეტი.

23 და ორი სვეტი გადაკეთე კარავის კუთხეებში, უკნიდან,

24 და იყოს თანაბრად ქვევიდან და ამის მსგავსად იყოს თანაბარი თავები, რომ შეერთდნენ ერთად; ასე გადაკეთე ორივესთვის, ორი კუთხისთვის იყოს.

25 და იყოს რვა სვეტი, და მათი საყრდენები ვერცხლისა – თექვსმეტი; ორი საყრდენი – ერთი სვეტისთვის და საყრდენი ფენი – მეორე სვეტისთვის მის ორივე მხარეს.

26 და გაუკეთე სუთი ურდული უღ-

ზობი ძელებისგან ერთ სვეტს კარავის ერთი მხრიდან,

27 და სუთი ურდული – კარავის სვეტს მეორე კიდეზე და სუთი ურდული – კარავის უკანა კიდეზე სვეტს ზღვისკენ;

28 და შუა ურდული სვეტებს შორის გაიდოს ერთი კიდიდან მეორე კიდემდე.

29 და სვეტები მოაქროვე ოქროთი და რგოლები გადაკეთე ოქროსი, რომლებშიც გაუჭრი ურდულებს და მოაქროვე ურდულები ოქროთი.

30 და აღმართე კარავი იმ სახით, როგორც ნახვევები იყო შენთვის მთაზე.

31 და გადაკეთე კრეტსაბმელი იაკინთისგან და პორფირისგან და გრენილი ძოწეულისგან და დართული ბისონისგან; ნაქსოვი გადაკეთე იგი ქერუბიძებით.

32 და დაკიდე იგი ოთხ უღზობ, ოქროთი მოაქროვილ სვეტზე; და მათი თავები – ოქროსი და მათი ოთხი საყრდენი – ვერცხლისა.

33 და დაკიდე კრეტსაბმელი სვეტებზე და შეიტანე იქ, კრეტსაბმელის შიგნით, მოწმობის კიდობანი; და გაყოფს კრეტსაბმელი თქვენთვის წმიდას და წმიდათა წმიდას.

34 და დაფარე კრეტსაბმელით მოწმობის კიდობანი წმიდათა წმიდაში.

35 და დადგი ტაბლას კრეტსაბმელის გარეთ და სასანთლე – ტაბლის პირდაპირ, კარავის სამხრეთ მხარეს, და ტაბლას დადგი კარავის ჩრდილოეთ მხარეს.

36 და გადაკეთე ჩამოსაფარებელი კარავის კარზე იაკინთისგან და პორფირისგან და გრენილი ძოწეულისგან და გრენი-

ლი ბისონისგან – ჭრელად ნაკეთები. 37 და გააკეთე კრეტსამბელისთვის ხუთი სვეტი და მოაქროვე ისინი ოქროთი, და მათი თავები – ოქროსი, და ჩამოახსნი მათთვის სპილენძის ხუთი საყრდენი.

**თავი 27**

და გააკეთე სამსხვერპლო უღ-  
პობი ძელებისგან, ხუთი წურთა – სივრძე და ხუთი წურთა – სივანე, ოთხკუთხა იუოს სამსხვერპლო, და სამი წურთა – მისი სიმაღლე.

2 და გაუკეთე რქები ოთხივე კუთხ-  
ეზე, მისგან იუოს რქები და დაფარე ისინი სპილენძით.

3 და გაუკეთე გვირგვინი სამსხვერ-  
პლოს და თავისი სარქველი და თავისი ფილები და თავისი ფუცხები\* და თავისი საცეცხლური; და მთელი მისი ჭურჭელი გააკეთე სპილენძის-  
გან.

4 და გაუკეთე მას სპილენძის კერა,  
ბადით ნაკეთები; და გაუკეთე კერას სპილენძის ოთხი რგოლი ოთხ კი-  
დეზე.

5 და დააწე ისინი სამსხვერპლოს  
კერის ქვეშ, ქვემოთ; და იუოს კერა სამსხვერპლოს შუამდე.

6 და გაუკეთე სამსხვერპლოს ასაწ-  
ევეები უღპობი ძელებისგან და ირგვ-  
ლივ მოასპილენძე ისინი სპილენძით.

7 და გაუყარე ასაწევეები რგოლებში,  
და იუოს ასაწევეები სამსხვერპლოს  
გვერდებზე მის ასაღებად.

8 ღრუიან ფიცრად გააკეთე იგი;  
როგორც ნახევნები იყო შენთვის

მთაზე, ისე გააკეთე იგი.

9 და გაუკეთე ეხო კარავს; სამხრეთის  
კიდეზე ეხოს ფარდები იუოს გრენი-  
ლი ბისონისგან, ასი წურთა სივრძე –  
ერთ კიდეზე;

10 და მათი სვეტები – ოცი, და  
მათი ოცი საყრდენი – სპილენძისა,  
და მათი კავები და მათი რკალები –  
ვერცხლისა.

11 ასევე ჩრდილოეთით კიდეზე ფარ-  
დები – ასი წურთა სივრძე; და მათი  
სვეტები – ოცი და მათი ოცი საყრდენი  
– სპილენძისა, და სვეტების კავები  
და რკალები და მათი საყრდენები –  
გარემოვერცხლილი ვერცხლით.

12 ხოლო ეხოს სივანეზე ზღვისკენ  
ფარდები – ორმოცდაათი წურთა; მათი  
სვეტები – ათი და მათი საყრდენები  
– ათი.

13 და ეხოს სივანეზე აღმოსავლეთით  
ფარდები – ორმოცდაათი წურთა; მათი  
სვეტები – ათი და მათი საყრდენები  
– ათი.

14 და ერთ კიდეზე ფარდების სიმა-  
ღლე – ოთხთმეტი წურთა; მათი სვეტე-  
ბი – სამი და მათი საყრდენები –  
სამი.

15 და მეორე კიდეზე ოთხთმეტი წურთა  
– ფარდების სიმაღლე; მათი სვეტები  
– სამი და მათი საყრდენები – სამი.

16 და ეხოს კარიბჭის საფარველი –  
ოცი წურთა სიმაღლე, იაკინთისგან  
და პორფირისგან და გრენილი ძო-  
წეულისგან და გრენილი ბისონისგან  
– ჭრელად ნაქარგი; მათი სვეტები –  
ოთხი და მათი საყრდენები – ოთხი.

17 ეხოს ეველა სვეტი ირგვლივ  
მოვერცხლილი ვერცხლით, და მათი

\* ფუცხვი - ხორცის ამოსაღები ჩანგალი.



თავები – ვერცხლისა და მათი საურდენები – სწილენძისა.

18 ხოლო ეზოს სიგრძე – ასი ასზე და სიგანე – ორმოცდაათი ორმოცდაათზე და სიმაღლე – ხუთი წურთა, ფარდები გრენილი ბისონისგან და მათი სვეტების საურდენები – სწილენძისა.

19 და ეზოს მთელი მოწყობილობა და ყველა ხელსაწყო და ჰალო – სწილენძისა.

20 და შენ უბრძანე ისრაელის ძეებს და მოციტანონ შენ ზეთისნილის ზეთი, უნაღვეო, სუფთა, გამონდილი სინათლისთვის, რათა ენთოს კანდელი ყოველთვის.

21 მოწმობის კარავში, კრეცსამეღის გარეთ, აღთქმის კიდობნის ზემოთ ანთოს იგი აარონმა, და მისმა ძეებმა მწუხრიდან განთიადამდე უფლის წინაშე საუკუნო სჯულად თქვენს მოდგმაში, ისრაელის ძეთათვის.

**თავი 28**

1 და შენ მოიყვანე შენთან აარონი, შენი ძმა, და მისი ძეები, ისრაელის ძეთაგან, რათა მღვდლობდნენ ჩემთვის: აარონი და ნადაბი და აბიუდი და ელეაზარი და ითამარი – აარონის ძეები.

2 და გაუკეთე წმიდა შესამოსელი აარონს, შენს ძმას, ჰატვიისა და დიდებისთვის.

3 და შენ ელაზარავე ყველა გონებით ბრძენს, რომლებიც ავახსე გულისხმიერების სულით, და გაუკეთონ წმიდა შესამოსელი აარონს წმიდისთვის,

რომლითაც იმღვდლებს ჩემთვის.

4 და ეს არის შესამოსლები, რომლებსაც გააკეთებენ: სამკერდული და ეფოდი და ჰოდირი და ოქრომკვედით ნაქარვი კვარტი და კიდარი\* და სარტყელი; და გაუკეთონ წმიდა შესამოსლები აარონს და მის ძეებს, რათა მღვდლობდნენ ჩემთვის.

5 და მათ აიღონ: ოქრო და იაკინთი და ჰორფირი და ძოწეული და ბისონი.

6 და გააკეთონ ეფოდი გრენილი ბისონისგან, ჭრელად ქსოვილი ნაკეთობა.

7 ორი ეფოდი ჰქონდეს მას შეერთებული ერთი მეორეზე, ორივე მხარეს დამაგრებული.

8 და ეფოდების ქსოვილი, რომელიც მასზეა, იმგვარადვე იყოს მისგან ნაკეთები ოქროსგან და იაკინთისგან და ჰორფირისგან და დამახული ძოწეულისგან და გრენილი ბისონისგან.

9 და აიღე ზურმუხტის ორი ქვა და ამოკვეთე მათზე ისრაელის ძეთა სახელები,

10 ექვსი სახელი – ერთ ქვაზე და დანარჩენი ექვსი სახელი – მეორე ქვაზე მათი შობის მისედვით.

11 ქვის თლის ხელობით, ბეჭდური ტვიფრით, ამოტვიფრე ორ ქვაზე ისრაელის ძეთა სახელები.

12 და დადე ორი ქვა ეფოდის მხრებზე: განასხენებელი ქვებია ისრაელის ძეთათვის; და აიღოს აარონმა ისრაელის ძეთა სახელები ღვთის წინაშე თავისი ორი მხრით მათ განასხენებლად;

13 და გააკეთე ბუდეები სუფთა ოქროსგან;

\* კიდარი - სამღვდლო თავსამკაული.

14 და გააკეთე ორი ძეწკვი სუფთა ოქროსგან, ყვავილებით შერეული, წნულად ნაკეთები, და დაადე წნული ძეწკვები ბუდეებს მათ ბოლოებზე წინიდან.

15 და გააკეთე მსჯავრთა საკითხავი – ჭრელი ნაკეთობა; ეფოდის წყობის შესაბამისად გააკეთე იგი: ოქროსგან და იაკინთისგან და ჰორფირისგან და გრენილი ძოწეულისგან და ბისონისგან გააკეთე იგი.

16 ოთხკუთხა იყოს, ორმაგი, მტკაველი – სიგრძე და მტკაველი – სიგანე.

17 და ჩაქსოვე მასში ქსოვილი, ქვეით მოოჭვილი ოთხ რიგად; ქვების რიგი იყოს: სარდინი, ტონაზი, ხურმუსტი – რიგი ერთი;

18 და რიგი მეორე: ანთრაკი და საფირონი და იასპი,

19 და რიგი მესამე: ლიგვირი და აქატი და ამეთვისტო;

20 და რიგი მეოთხე: ქრისოლითი და ბივრილი და ონიქსი; ოქრომე-მოვლებული, ოქროში ჩასმული იყოს მათი რიგის მიხედვით.

21 და ქვები იყოს ისრაელის ძეთა სახელებით, თორმეტი, მათი სახე-ლების მიხედვით; ბეჭდებივით ამოკვე-თილი თითოეული სახელის მიხედვით თორმეტი ტომისთვის იყოს.

22 და გააკეთე საკითხავზე მოწნული ძეწკვები, ჯაჭვად ნაკეთები სუფთა ოქროსგან.

23 და გააკეთე საკითხავზე ოქროს ორი რგოლი და მიაძვრე ორივე რგოლი საკითხავის ორ კიდესზე.

24 და მიაძვრე ოქროს ორი ჯაჭვი ორ რგოლზე საკითხავის კიდებთან.

25 და ორი ჯაჭვის ორივე კიდე მიაძ-ვრე ორ შესაკრავს და მიაძვრე ეფო-დის მხრებზე, პირით ერთმხეთთან.

26 და გააკეთე ოქროს ორი რგოლი და მიაძვრე ისინი საკითხავის ორივე მხარეს, მის ნაპირზე, რომელიც არის ეფოდის პირზე, შეიხიდან.

27 და გააკეთე ოქროს ორი რგოლი და მიაძვრე ისინი ეფოდის ორივე მხარე ქვეშიდან, პირით მის შეს-აკრავთან ძეწკობილად, სამხრის ქსო-ვილის ზევით.

28 და შეკრან საკითხავი თავისი რგოლით ეფოდის რგოლზე იაკინთ-ისფერი ნართით, რათა იყოს ეფოდის ქსოვილზე, და არ გაყო საკითხავი ეფოდისგან.

29 და დაიდოს აარონმა ისრაელის ძეთა სახელები, რომლებიც მსჯავრის საკითხავზეა, მკერდზე, როცა შევა წმი-დამი მოსახსენებლად ღვთის წინაშე.

30 და დაწეე მსჯავრის საკითხავზე გამოცხადება და ჭეშმარიტება\* და იყოს აარონის მკერდზე, როცა შევა წმი-დამი უფლის წინაშე; და ატაროს აარონმა ისრაელის ძეთა მსჯავრნი მკერდზე უფლის წინაშე ყოველთვის.

31 და გააკეთე ქვეშასაცმელი ჰოდირი, მთლიანად იაკინთისფერი.

32 და იყოს ჭრილი მის შუაში, არმა ჰქონდეს ჭრილის ირგვლივ, ქსოვილად ნაკეთები, შესაკრავი – შემოქსოვილი მისგანვე, რომ არ დაიხეს.

33 და გაუკეთე ქვეშასაცმელის არ-მის ქვევიდან, როგორც აუვაგებული ბროწეულის ბროწეულაკები, იაკინ-თისგან და ჰორფირისგან და დამსუ-ლი ძოწეულისგან და გრენილი ბისონ-

\* გამოცხადება და ჭეშმარიტება - ებრ. ურიმი და თუმიმი,

ისგან, ქვემხანაცემელის არშიაზე ირგვლივ; და იგივე სახით – ოქროს ბროწეულაკები და მათ შორის ეკვნები ირგვლივ;

34 ოქროს ბროწეულაკთან ეკვნები და უვავილედი – ქვემხანაცემელის არშიაზე ირგვლივ.

35 და იყოს აარონისთვის მსახურებაში, ისმოდეს მისი ხმა, როცა ძევა წმიდაში უფლის წინაშე და როცა გამოვა, რათა არ მოკვდეს.

36 და გააკეთე ფირფიტა სუფთა ოქროსი და ამოჭედე მასზე ბეჭდური ჭედურობით: სიწმიდე უფლისა;

37 და დადე იგი გრესილ იაკინთზე და იყოს მიტრანზე; მიტრის წინა მხარეს იყოს.

38 და იყოს აარონის შუბლზე, და აიღოს აარონმა ცოდვები სიწმიდეთა\*, რომელთაც განსძედენ ისრაელის ძეები, ყოველი მათი მისაცემი სიწმიდისაგან; და იყოს აარონის შუბლზე ყოველთვის მათ შესაწინააღმდეგად უფლის წინაშე.

39 და კვართების ზონრები იყოს ბისონისაგან; და გააკეთე კიდარი ბისონისა და სარტყელი გააკეთე ჭრელად ნაკეთები.

40 და აარონის ძეებისთვის გააკეთე კვართები და სარტყლები და კიდარები გააკეთე მათ ჰატევისა და დიდებისთვის.

41 და შემოსე ისინი აარონს, შენს ძმას, და მის ძეებს მასთან ერთად; და სცხე მათ და აავსე მათი ხელები და განწმიდე ისინი, რათა ძღვდლობდნენ ჩემთვის.

42 და გააკეთე მათთვის სელის წვიუსაცმელი მათი სხეულის სარცხვინელის დასაფარად; თეოდან ბარძაყამდე იყოს.

43 და ემოსოს აარონს ისინი და მის ძეებს, როცა შევლენ მოწმობის კარავში ან როცა მივლენ მსახურებისთვის წმიდა სამსხვერპლოსთან, და არ მოიწიონ თავის თავზე ცოდვა, რომ არ დაიხოცონ; საუკუნო სჯულად იყოს მისთვის და მისი თესლისთვის მის შემდეგ.

**თავი 29**

**ღ** ა ეს არის, რასაც გაუკეთებ მათ: განწმიდე ისინი, რათა ძღვდლობდნენ ჩემთვის ისინი. მოიყვანე ერთი ზვარაკი ძროხებიდან და ორი უხადო ვერძი.

2 და უსაფუვრო ჰურები, მოხელილი ზეთით, და უსაფუვრო კვერები, ზეთ-წასმული; სორბლის სამინდოსგან\*\* გააკეთე ისინი.

3 და ჩააწე ისინი ერთ კალათში და მიიტანე ისინი კალათით, და ზვარაკი და ორი ვერძი.

4 და აარონი და მისი ძეები მოიყვანე მოწმობის კარვის კართან და განბანე ისინი წყლით.

5 და აილე წმიდა შესამოსელი და შემოსე აარონს, შენს ძმას, კვართი, ზოდირი და ეფოდი და საკითხავი და შეუკარი მას საკითხავი ეფოდთან.

6 და დაადგი მიტრ მას თავზე და დადე სიწმიდის ფირფიტა მიტრანზე.

7 და აილე საცხები ზეთი და დაასნი

\* ცოდვები სიწმიდეთა - იგულისხმება შესაწინააღმდეგის ნაკლი.

\*\* სამინდო - ბერძ. სემიდალის, კარგად გაცრილი, წმინდა ფქვილი.

იგი მას თავზე და სცნე მას.

8 და მისი ძეები მოიყვანე და შემოსე მათ კვარტები.

9 და შემოარტყი მათ სარტყელები და დანხურე მათ კიდარები და იყოს მათთვის ჩემი ძღვედლობა უკუნისამდე. და სრულყავი აარონის ხელები და მისი ძეების ხელები.

10 და მოიყვანე ზვარაკი მოწმობის კარვის კართან და დაადონ აარონმა და მისმა ძეებმა თავისი ხელები ზვარაკს თავზე უფლის წინაშე მოწმობის კარვის კართან.

11 და დაკალი ზვარაკი უფლის წინაშე მოწმობის კარვის კართან.

12 და აიღე ზვარაკის სისხლიდან და სცნე სამსხვერპლოს რქებს შენი თითო, ხოლო მთელი დანარჩენი სისხლი დაღვარე სამსხვერპლოს ძირთან.

13 და აიღე მთელი მუცლისზედა ცმელი და ღვიძლის წილი და ორი თირკმელი და ცმელი, რომელიც მათზეა, და დაწვე სამსხვერპლოზე.

14 ხოლო ზვარაკის ხორცი და ტყავი და სკორე დაწვი ცეცხლში ბახაკის გარეთ, რადგან ცოდვისაა.

15 და მოიყვანე ერთი ვერძი და დაადონ აარონმა და მისმა ძეებმა თავისი ხელები ვერძს თავზე;

16 და დაკალი იგი და აიღე სისხლი და აწვე სამსხვერპლოს ირგვლივ.

17 და ვერძი ორად გაჭერი, ნაწილებად, და გარეცხე მიგნეულობა და ფეხები წყლით და დაწვე ორადგაჭრილზე თავთან ერთად.

18 და შესწირე მთელი ვერძი სამსხვერპლოზე, ყოვლადდასაწველი იყოს უფლისთვის კეთილსურნელოვან სურნელად; შესაწირავია უფლისა.

19 და მოიყვანე მეორე ვერძი და დაადონ აარონმა და მისმა ძეებმა თავისი ხელები ვერძს თავზე.

20 და დაკალი იგი და აიღე მისი სისხლი და სცნე აარონს მარჯვენა ურის ბიბილოზე და მარჯვენა ხელის წვერზე და მარჯვენა ფეხის წვერზე და მისი ძეების მარჯვენა ურების ბიბილოებზე და მათი მარჯვენა ხელების წვერებზე და მათი მარჯვენა ფეხების წვერებზე.

21 და აიღე სისხლისგან, რომელიც არის სამსხვერპლოზე და საცხები ზეთისგან და აწვე აარონს და მის შესამოსელს და მის ძეებს და მისი ძეების შესამოსლებს მასთან ერთად. და განიწმიდება ის და მისი შესამოსელი და მისი ძეები და მისი ძეების შესამოსლები მასთან ერთად, ხოლო ვერძის სისხლი აწვე სამსხვერპლოს ირგვლივ.

22 და აიღე ვერძისგან მისი ცმელი და ცმელი, რომელიც ფარავს მუცელს, და ღვიძლის წილი და ორი თირკმელი და ცმელი, რომელიც მათზეა, და მარჯვენა ბეჭი, რადგან ეს არის აღსრულება.

23 და ერთი ზეთიანი ზური და ერთი კვერი უსაფუვროთა კაღათიდან, რომლებიც დაღებულა უფლის წინაშე.

24 და დაწვე ყველაფერი აარონს ხელებზე და მის ძეებს ხელებზე და გამოაცალა კვე ისინი გამოცალა კვე ბით უფლის წინაშე.

25 და აიღე ისინი მათი ხელებიდან და შესწირე ყოვლადდასაწველის სამსხვერპლოზე კეთილსურნელოვან სურნელად უფლის წინაშე; ნაყოფია უფლისა.

26 და აიღე აღსრულების ვერძისგან მკერდი, რომელიც არის აარონისა, და

გამოცალკევე იგი გამოცალკეებით უფლის წინაშე და იყოს შენთვის წილი.  
 27 და განწმიდე გამოცალკეებული მკერდი და ჩამოჭრილი ბეჭი, რომელიც გამოცალკეებულია და რომელიც ჩამოჭრილია აღსრულების ვერძისგან, აარონისთვის და მისი ძეებისთვის.  
 28 და იყოს აარონისთვის და მისი ძეებისთვის საუკუნო სჯულად ისრაელის ძეთაგან, რადგან ჩამოჭრილია ეს და ჩამოჭრილი იყოს ისრაელის ძეთა მიერ ისრაელის ძეთა გამოხსნის მსხვერპლთაგან, ჩამოჭრილია უფლისთვის.  
 29 და წმინდის შესამოსლები, რომელიც არის აარონისა, იყოს მისი ძეებისთვის მის შემდეგ, რათა მათ ეცნოთ მასში; და სრულ იქმნას მათი ხელები.  
 30 შვიდ დღეს შეიმოსოს ისინი მღვდელმა, რომელიც იქნება მის ნაცვლად მის ძეთაგან, რომელიც შვა მოწმობის კარავში, რომ იმსახუროს წმიდათაში.  
 31 და აღსრულების ვერძი აიღე და მოხარბე სორცი წმიდა ადვილზე;  
 32 და ჭამონ აარონმა და მისმა ძეებმა ვერძის სორცი და ჰურები, რომლებიც არის კალათში, მოწმობის კარვის კართან;  
 33 ჭამონ ისინი, რომელითაც განიწმიდებიან, მათი ხელების სრულყოფისთვის, მათი განწმედისთვის; და სხვა მოდგმისამ არ ჭამოს მათგან, რადგან წმიდაა.  
 34 ხოლო თუ დარჩა აღსრულების მსხვერპლის სორცთაგან და ჰურთაგან განთიადმდე, დაწვი ნარჩები ცეცხელში, არ იჭამოს, რადგან სიწმიდეა.

35 და გაუკეთე აარონს და მის ძეებს ასე ყოველივე, რაც ვიბრძანე შენ; შვიდ დღეს სრულყავი მათი ხელები.  
 36 და ცოდვის ხბო გაამზადე გაწმენდის დღეს და განწმიდე სამსხვერპლო შენი განწმედით მასზე და სცხე მას, რათა წმიდა იყოს იგი.  
 37 შვიდ დღეს განწმიდე სამსხვერპლო და წმიდაყავ იგი და იყოს სამსხვერპლო წმინდის წმიდა; ყოველი, რომელიც შეესება სამსხვერპლოს, განიწმიდება.  
 38 და ეს არის, რასაც გააკეთებ სამსხვერპლოზე: ორი ერთწლიანი უხადო ტარივი ყოველდღე სამსხვერპლოზე იყოს მუდამ – სამარადისო ნაყოფად.  
 39 ერთი ტარივი გაამზადე განთიადზე და მეორე ტარივი გაამზადე საღამოს.  
 40 და სამინდო ფქვილის მკათედი, მოხელილი ინის\* მეთხედე გამოხდილზე შემთი, და ინის მეთხედი შესაწირავი ღვინო – ერთი ტარივისთვის.  
 41 და მეორე ტარივი გაამზადე საღამოს, განთიადის მსხვერპლისამებრ და მისი შესაწირავისამებრ გააკეთე, კეთილსურნელოვან სურნელად, ნაყოფად უფლისა;  
 42 სამარადისო მსხვერპლად იყოს თქვენს მოდგმაში მოწმობის კარვის კარებზე, უფლის წინაშე, რომელთა ძორის გამოგეცხადები შენ იქ, როცა იქიდან დაგეულანაკები შენ.  
 43 და ვუბრძანებ იქ ისრაელის ძეებს და წმიდა ვიქები ჩემი დიდებით.  
 44 და წმიდაყოფ მოწმობის კარავს და სამსხვერპლოს და აარონს და მის

\* ინი - სითხის საზომი ერთეული.

ძეებს წმიდაყოფ, რათა მღვდლობდნენ ჩემთვის.

45 და მომისმობენ ისრაელის ძეთა შორის და ვიქნები მათი ღმერთი.

46 და შეიცნობენ, რომ მე ვარ უფალი ღმერთი მათი, რომელმაც გამოვიყვანე ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან, 47 რათა მომისმონ მათ და ვიყო მათი ღმერთი.

**თავი 30**

ღა გააკეთე საკმევლის სამსვერზლო უღაობი ძელეებსგან; 2 და გააკეთე იგი: წურთა – სივრძე და წურთა – სიგანე, ოთხკუთხა იყოს, და ორი წურთა – სიმაღლე; მისგან იყოს მისი რქები.

3 და მოაოქროფე ისინი სუფთა ოქროთი, მისი კერა და მისი კედლები ირგვლივ და მისი რქები; და გაუკეთე მას ოქროს დაწნული გვირგვინი ირგვლივ.

4 და ორი რგოლი სუფთა ოქროსი გაუკეთე მას მისი დაწნული გვირგვინის ქვეშ, ორ კიდულზე გაუკეთე, ორივე გვერდზე; და იყოს რკალები კეტებისთვის, რათა აიღონ იგი მათი მუძეობით.

5 და გააკეთე კეტები უღაობი ძელეებისგან და მოაოქროფე ისინი ოქროთი.

6 და დადგი იგი კრეტსაბმელის წინ, რომელიც არის მოწმობათა კიდობანზე, რომელთა შორისაც გამოგეტყნადები შენ, იქიდან.

7 და აკმიოს მასზე აარონმა წვრილი, შესავებული საკმეველი; განთიადლობით, როცა მოამზადებს კანდელებს, აკმიოს მასზე;

8 და როცა აანთებს აარონი კანდელებს გვიან, აკმიოს მასზე; სამარადისო საკმევლად იყოს ყოველთვის უფლის წინაშე მათ მოდგმაში.

9 და არ შესწირო მასზე სხვა საკმეველი, ნყოფი, მსხვერზლი და დასასნძელი არ დაასხა მასზე.

10 და შეუნდოს მის რქებზე აარონმა ერთხელ წელიწადში; შესანდობი ცოდვების განწმედის სისხლისგან ერთხელ წელიწადში განწმიდოს იგი მათ მოდგმაში; წმიდათა წმიდაა უფლისა.

11 და ელანაზრაკა უფალი მოსეს და უთხრა:

12 თუ შეუდგები ისრაელის ძეთა აღრიცხვას მათი გადახედვისას, მისცეს თითოეულმა თავისი სულის გამოსასყიდი უფალს; და არ იყოს მათ შორის დაცემა მათი გადახედვისას.

13 და ეს არის, რასაც მისცემენ, ვინც გაივლის აღწერას – ნახევარი დიდრაქმა, რომელიც არის წმიდა დიდრაქმის შესაბამისი; ოცი დანგი\* არის დიდრაქმა; და დიდრაქმის ნახევარი – ხარკი უფლისა.

14 ყოველი, რომელიც გაივლის აღწერას ოცი წლიდან და შემოთ, მისცეს ხარკი უფალს.

15 მდიდარმა არ გადაამეტოს და ღარიბმა არ დააკლოს დიდრაქმის ნახევარს უფლისთვის ხარკის მიცემისას თქვენი სულების შესანდობად.

16 და აიღე ხარკის ვერცხლი ისრაელის ძეთაგან და მიეცი იგი მოწმობის კარვის საქმისთვის, და იყოს ისრაელის ძეთა მოსახსენებლად უფლის წინაშე თქვენი სულების შესანდობად.

\* დანგი - წვრილი ფული.

17 და ელანარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

18 გააკეთე სწილენძის საბანელი და მისი საურდენი – სწილენძისა, დასაბანად; და დადგი იგი მოწმობის კარავსა და სამსხვერპლოს შორის და ჩაასხი მასში წყალი;

19 და დაიბანოს აარონმა, და მისმა ძებმა იქიდან ხელები და ფეხები წყლით.

20 როცა შევლენ მოწმობის კარავში, დაიბანონ წყლით და არ დაისოცებიან; ან როცა მივლენ სამსხვერპლოსთან მსახურებისთვის და ყოვლადდასაწველთა შესაწირად უფლისთვის,

21 დაიბანონ ხელები და ფეხები წყლით; როცა შევლენ მოწმობის კარავში, დაიბანონ წყლით, რომ არ დაისოცონ; და იყოს მათთვის საუკუნო სჯულად, მისთვის და მისი მოდგმისთვის მის შემდეგ.

22 და ელანარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

23 და შენ აიღე სურნელებანი: რჩეული სმირნის ყვავილი – ხუთასი სიკლი\* და დარიჩინის კეთილსურნელებანი – მისი ნახევარი, ორასორმოცდაათი, და ლერწმის კეთილსურნელებანი – ორასორმოცდაათი,

24 და ირეოსი\*\* – ხუთასი წმიდა სიკლი და ზეთისხილის ზეთი – ერთი იხი;

25 და მოამზადე იგი წმიდა საცხებზე შეთად, მირონად, შემირონის მირონ-

სარშვის ხელოვნებით; წმიდა საცხებზე შეთად იყოს.

26 და საცხე მისგან მოწმობის კარავს და მოწმობის კიდობანს,

27 და სასანთლეს და მის ყველა ჭურჭელს და საკმეელის სამსხვერპლოს,

28 და ყოვლადდასაწველთა სამსხვერპლოს და მის ყველა ჭურჭელს და ტაბლას და მის ყველა ჭურჭელს და საბანელს და მის საურდენს.

29 და განწმიდე ისინი და იყოს წმიდათა წმიდა; ყოველი, რომელიც შეეხება მათ, განიწმიდება.

30 და აარონს და მის ძეებს საცხე და განწმიდე ისინი, რომ ძღვდლობდნენ ხემთვის.

31 და ისრაელის ძეებს ელანარაკე და უთხარი: საცხები ზეთი ცხებისა – წმიდა იყოს ეს თქვენთვის თქვენს მოდგმაში;

32 კაცის სხეულს არ ეცხოს და ამ ნაზავის მსგავსი არ მომზადდეს თქვენთვის ამკვარად; წმიდა არის და სიწმიდე იყოს თქვენთვის.

33 ვინც მოამზადებს ამკვარად და ვინც მისცემს მისგან უცხო თესლს, მოიკვეთოს თავისი ერიდან.

34 და უთხრა უფალმა მოსეს: აიღე შენთვის სურნელებანი, შტახსი\*\*\*, ონიქსი, სურნელოვანი ქალბანა\*\*\*\* და გამჭვირვალე ვუნდრუკი, თანაბარ-თანაბრად იყოს;

35 და მოამზადონ ამით საკმეველი

\* სიკლი - იგივე შეკელი, აქ: წონის ერთეული.

\*\* ირეოსი - იგივე კასია, დარიჩინის მაგვარი სურნელება, სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1991.

\*\*\* შტახსი (ბერძ.) - ყვავილის მგერის დაწურვის შედეგად მიღებული ოხელი, სურნელოვანი ფისი. დარჩენილ სქელ ნაწილს ეწოდება მური.

\*\*\*\* ქალბანა - მწარე, მაგრამ სურნელოვანი ფისი, რომელი გამოიყენებოდა საკმეველად, Ἀνάεινήαι Ἰνδίωνάαι, Ἰνδία, 1891.

მირონხარშეთ, მემირონის ნახელავი, შეზავებული, სუფთა, წმიდა ნახელავი; 36 და დანაყე ისინი წვრილად და დადე მოწობათა წინ მოწობის კარავში, საიდანაც გამოგეცნადები შენ, იქიდან; წმიდათა წმიდა იუოს თქვენთვის.

37 საკეველი ამ ნახავის მსგავსი არ მომზადდეს თქვენთვის; უფლის სიწმიდე იუოს თქვენთვის.

38 ვინც მოამზადებს ამგვარად, რომ იუოსის მისგან, მოისპოს თავისი ერისგან.

**თავი 31**

**ღ** ა ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

2 აჰა, მოუხმე სახელით ბესელიელს, ურის ძეს, ორის ძისას, იუდას ტომიდან.

3 და ავაესე იგი საღვთო სულით სიბრძნისა და გულისხმიერებისა და ცოდნისა ყოველ საქმეში:

4 გამომგონებლობის და სწორობისა, ოქროს და ვერცხლის და სპილენძის და იაკინთის და ჰორფირის და დართული ძოწეულის და გრენილი ბისონის დამუშავებისა, 5 და ქვის თლის და ხის დამუშავების ხელობისა, ყოველგვარი საქმის შესასრულებლად.

6 და მე მივეცი მას ელიაბიც, აქისამაქის ძე, დანის ტომიდან და ყველა გულისხმიერს მივეცი გულისხმიერება და გააკეთებენ ყველაფერს, რაც შენ გიბრძანებ:

7 მოწობის კარავს და აღთქმის კი-

დობანს და საღვინებელს მასზე და კარვის აღკაშმულობას,

8 და სამსხვერპლოებს და ტაბლას და მის ყველა ჭურჭელს და სუფთა\* სასანთლეს და მის ყველა ჭურჭელს, 9 და საბანელს და მის საყრდენს, 10 და აარონის მსახურობის შესამოსლეს და მისი ძეების შესამოსლეს, რომ მღვდლობდნენ ჩემთვის,

11 და ცხების საცხებ სეთს და საკმეველს სიწმიდის ნახავისას; ყველაფრისამებრ, რაც მე გიბრძანებ შენ, გააკეთებენ.

12 და უთხრა უფალმა მოსეს და თქვა:

13 და შენ უბრძანებ ისრაელის ძეებს და უთხარი: ნახეთ და ჩემი შაბათები დაიცავით, რადგან ნიშანია ჩემსა და თქვენ შორის თქვენს მოდგმაში, რათა შეიცნოთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი განმწმედელი.

14 და დაიცავით შაბათები, რადგან ეს არის უფლის სიწმიდე თქვენთვის; მისი შემბილწველი სიკვდილით მოკვდეს; ყოველი, რომელიც გააკეთებს საქმეს ამ დღეს, მოიკვეთოს ის სული თავისი ერისგან.

15 ექვს დღეს აკეთე საქმე, ხოლო მეშვიდე დღე, შაბათი, წმიდა დასვენება უფლისთვის; ყოველი, რომელიც გააკეთებს საქმეს მეშვიდე დღეს, სიკვდილით მოკვდეს.

16 და დაიცვან ისრაელის ძეებმა შაბათები მათ აღსასრულებლად თავის მოდგმაში – საუკუნო აღთქმად,

17 ჩემსა და ისრაელის ძეებს შორის; ნიშანია საუკუნო, – რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და ქვეყანა

\* სუფთა სასანთლე - იგულისხმება სუფთა ოქროს სასანთლე.



და მეშვიდე დღეს დაამთავრა და დაისვენა.

18 და მისცა მოსეს, როცა დაამთავრა მასთან ლაპარაკი სინას მთაზე, მოწმობის ორი ფიცარი, ქვის ფიცრები, ღვთის თითით დაწერილნი.

**თავი 32**

და როცა ნახა ერმა, რომ დააყოვნა მოსემ ჩამოსვლა მთიდან, აღდგა ერი აარონის წინააღმდეგ და უთხრა მას: ადექი და გავვიკეთო ჩვენ ღმერთები, რომლებიც წავგიძღვებიან ჩვენ, რადგან მოსეს, იმ კაცს, რომელმაც გამოგვიყვანა ჩვენ ეგვიპტიდან, არ ვიცით, რა შეემთხვა მას.

2 და უთხრა მათ აარონმა: მოხსენით ოქროს საურრები ყურებიდან თქვენს ცოლებს და ასულებს და მოიტანეთ ჩემთან.

3 და მოხსნა მთელმა ერმა ოქროს საურრები ყურებიდან თავის ცოლებს და მიიტანა აარონთან.

4 და აიღო მათი ხელებიდან ისინი, გამოსახა საჭრეთლით და გაუკეთა მათ ხბო ჩამოსხმული და უთხრა: ესენი არიან შენი ღმერთები, ისრაელი, რომლებმაც ამოგიყვანეს შენ ეგვიპტის ქვეყნიდან.

5 და ნახა აარონმა და აავიო სამსხვერპლო მის ჰირდაპირ და იქადაგა აარონმა და თქვა: უფლის დღესასწაულია ხვალ.

6 და ადრე ადგა მეორე დღეს და აიყვანა ყოვლადდასაწველნი და შესწირა გამოსხნის მსხვერპლი და დასხა ერი საჭმელად და სასმელად და ადგნენ გასართობად.

7 და ელაპარაკა უფალი მოსეს და

უთხრა: წადი, ჩადი სწრაფად აქედან, რადგან უხვულო განდა შენი ერი, რომელიც გამოიყვანე შენ ეგვიპტის ქვეყნიდან;

8 ძალე გადაუხვია გზიდან, რომელიც ვამცნე მათ; გააკეთეს თავისთვის ხბო და თავუბანი სცეს მას და შესწირეს მას და თქვეს:

9 ესენი არიან შენი ღმერთები, ისრაელი, რომლებმაც ამოგიყვანეს შენ ეგვიპტის ქვეყნიდან.

10 და ახლა დამტოვე მე და რისხვით გამწურალი მათზე გავანადგურებ მათ და შენ გაქცევ დიდ ხალხად.

11 და შევედრა მოსე თავის უფალ ღმერთს და უთხრა: უფალო, რატომ წურები რისხვით შენს ერზე, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან დიდი ძალით და შენი ძალადი ძეღვით?

12 ნუ იტყვიან ეგვიპტელები: მზაკვრობით გაიყვანა ისინი დასახოცად მთებში და მათ აღსაკველად მიწიდან. დაცხერი შენი გულისწირობის რისხვისგან და მოწყალე იყავი შენი ერის ბოროტებაზე.

13 გაიხსენე აბრაამი და ისაკი და იაკობი, შენი მონები, რომელთაც შეჰფიცე შენ თვითონ და ელაპარაკე მათ და უთხარი: გავამრავლებ თქვენს თესლს, როგორც ცის ვარსკვლავებს, სიმრავლით და მთელ ამ ქვეყანას, რომელზეც თქვი, რომ მისცემდი მათ თესლს, და დაეუფლებიან მას უკუნისამდე.

14 და შეიწყალა უფალმა ბოროტების წილ, რაც თქვა თავის ერზე მოსაწევად.

15 და გამობრუნდა მოსე და ჩამოვიდა მთიდან და მოწმობის ორი ფი-

ცარი ჰქონდა მას ხელებში, ქვის ფიცრები, დაწერილი მათ ორივე მხარეზე, აქედან და იქიდან იყო დაწერილი;

16 და ფიცრები ღვთის ნაკეთები იყო და ნაწერი ღვთის ნაწერი იყო, ამოკვეთილი ფიცრებზე.

17 და მოესმა ისოს ხმა ერისა, რომელიც უვიროდა, და უთხრა მოსეს: ბრძოლის ხმა ბანაკში.

18 და უთხრა: არ არის ხმა მძლეველ მთავართა, არც ხმა უკუქცეულ მთავართა, არამედ ხმა ღვინის მთავართა მესმის მე.

19 და როცა მიუახლოვდა ბანაკს, დაინახა ხბო და ფერწული, და განრისხდა გულისწერომით მოსე და დაავდო თავისი ხელიდან ორი ფიცარი და დამსხვრია ისინი მთის ქვეშ.

20 და აიღო ხბო, რომელიც გააკეთეს, და დაწვა იგი ცეცხლში და დაფუძნა იგი წვრილად და ჩაყარა იგი წვალში და შეასვა იგი ისრაელის ძეებს.

21 და უთხრა მოსემ აარონს: რა გავაკეთო შენ ამ ერმა, რომ მოაწიე მათზე დიდი ცოდვა?

22 და უთხრა აარონმა მოსეს: ნუ განრისხდები, ბატონო, რადგან შენ იცი ამ ერის მისწრაფება,


23 რადგან მითხრეს მე: გავაკეთო ჩვენ ღმერთები, რომლებიც წავვიძვებიან ჩვენ, რადგან მოსეს, იმ კაცს, რომელმაც გამოგვიყვანა ჩვენ ეგვიპტიდან, არ ვიცით, რა შეეძინა მას.

24 და ვუთხარი მათ: თუ ვინმეს აქვს ოქროსულობა, მოიხსენით. და მომცეს მე და ჩავყარე ცეცხლში და გამოვიდა ეს ხბო.

25 და დაინახა მოსემ ერი, რომ მიშვებული იყო, რადგან მიუძვა ისინი აარ-

ონმა მათ მოწინააღმდეგეთა გასახარად. 26 და დადგა მოსე ბანაკის კარიბჭესთან და თქვა: ვინ არის უფალთან? მოვიდეს ჩემთან. შეიკრიბა მასთან ლევის უველა მე.

27 და უთხრა მათ: ამას ამბობს უფალი ღმერთი ისრაელისა: დაიდეთ თითოეულმა თქვენი ძახილი თქოხე და გაიარეთ და გამოიარეთ კარიბჭიდან კარიბჭემდე ბანაკში და მოკალით თითოეულმა თქვენი ძმა და თითოეულმა



- თქვენი მოყვასი და თითოეულმა - თქვენი ახლობელი.

28 და განაკეთეს ლევის ძეგბმა, როგორც ელანაზაკა მათ მოსე; და დაცა ერთიდან იმ დღეს სამი ათასამდე მამაკაცი.

29 და უთხრა მათ მოსემ: აღავსეთ თქვენი ხელები დღეს უფლისთვის, თითოეულმა ძით და ძმით, რათა მოგვეთ თქვენ კურთხევა.

30 და იყო მეორე დღის შემდეგ, უთხრა მოსემ ერს: თქვენ შესცოდეთ დიდი ცოდვით და ახლა ავალ ღმერთთან, რათა შევინდოთ თქვენი ცოდვა.

31 და მიბრუნდა მოსე უფალთან და უთხრა: გვედრები, უფალო, შესცოდა ამ ერმა დიდი ცოდვით და განაკეთეს თავისთვის ოქროს ღმერთები.

32 და ახლა, თუ მიუტევებ მათ ცოდვას, მიუტევე; ხოლო თუ არა, ამომძალე მე შენი წიგნიდან, რომელშიც ჩამწერე.

33 და უთხრა უფალმა მოსეს: თუ ვინმემ შესცოდა ჩემ წინაშე, ამოვძლი მას ჩემი წიგნიდან.

34 ხოლო ახლა წადი და გაუძევი ამ ხალხს აღვილისკენ, რომელსაც ვითხარი შენ; აჰა, ჩემი ანგელონი წავიდევა შენ წინ; რომელ დღესაც მოხუნდავ, მოვაწევ მათზე მათ ცოდვას.

35 და დასცა უფალმა ერი ხბოს გაკეთებისთვის, რომელიც განაკეთა აარონმა.

**თავი 33**

**ღ**ა უთხრა უფალმა მოსეს: იარე, აღი აქედან შენ, და შენი ერი, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან, ქვეყანაში, რომელიც შეფიცე

აბრაამს და ისაკს და იაკობს და უთხარი: თქვენს თესლს მივცემ მას. 2 და წარვაველენ ჩემს ანგელოზს შენზე წინ და განდევნის ამორელებს და ქეტელებს და ფერეხელებს და გერგესელებს და ეველებს და იებუსელებს.

3 და შეგიყვანს შენ ქვეყანაში, რომელსაც სდის რძე და თაფლი, რადგან არ ამოვალ შენთან ერთად ქედფიცნელი ერის გამო, რომ არ მოგკლა შენ გზაში.

4 და მოისმინა ერმა ეს სამინელი სიტყვა და იგლოვა გლოვით.

5 და უთხრა უფალმა ისრაელის ძეგებს: თქვენ ქედფიცნელი ერი ხართ; ნახეთ, სხვა დარტყმა არ მოგაყენოთ მე თქვენ და არ დაგხცოთ თქვენ; ახლა კი განიმოსეთ თქვენი დიდების სამოსელი და სამკაული; და გიხვეხებთ თქვენ, რას გაგიკეთებთ თქვენ.

6 და მოიხსნეს ისრაელის ძეგბმა თავისი სამკაული და შემოსაცმელი ქორების მთასთან.

7 და აღლო მოსემ თავისი კარავი და აღმართა ბანაკის გარეთ, ბანაკიდან მოშორებით, და ეწოდა მოწმობის კარავი; და იყო, ყოველი, რომელიც ეძიებდა უფალს, გადიოდა კარავში, ბანაკის გარეთ.

8 ხოლო როცა შედიოდა მოსე კარავში, იღვა მთელი ერი და ისედებოდა თითოეული თავისი კარვის კარიდან და აკვირდებოდა შორიდან მოსეს, ვიდრე შევიდოდა იგი კარავში.

9 ხოლო როცა შევიდა მოსე კარავში, გარდამოვიდა ღრუბლის სვეტი და დადგა კარვის კარებს და ელანაზაკებოდა მოსეს;

10 და ხედავდა მთელი ერი ღრუბ-

ლის სვეტს, მდგომს კარვის კარებზე; და მთელმა ერმა, რომელიც იდგა, თითოეულმა, თავიანი სცა თავისი კარვის კარიდან.

11 და ელანარაკებოდა უფალი მოსეს პირისპირ, როგორც ვინმე ელანარაკება თავის მეგობარს, და გზავნიდა ბანაკში; ხოლო მსახური, ისო ნავეს ძე, ჭაბუკი, არ გამოდიოდა კარვიდან.

12 და უთხრა მოსემ უფალს: აჰა, მენ მეუბნები მე: აიყვანე ეს ერი; ხოლო მენ არ გამოვიცნადებია ჩემთვის, ვის გამოგზავნი ჩემთან ერთად. და მენ მითხარი მე: გიცნობ შენ უველასე მეტად და მადლი გაქვს ჩემთან.

13 თუ ვპოვე მადლი შენ წინაშე, გამომიხინე მე შენი თავი. გონებით განილავ შენ, რომ ვპოვო მადლი შენ წინაშე და რათა ვიცოდე, რომ შენი ერია ეს ხალხი.

14 და უთხრა: თვითონ წავიდევები შენ და დაგასვენებ შენ.

15 და უთხრა მას: თუ შენ თვითონ არ წამოხვალ, მე ნუ ამომიყვან აქედან;

16 და როგორ იქნება ჭეშმარიტად საცნაური, რომ მადლი ვპოვე შენთან მეც და შენმა ერმაც, თუ არა იმით, რომ შენ ივლი ჩვენთან ერთად? და ვიდიდებით მეც და შენი ერიც უველა ხალხზე მეტად, რაც ქვეყანასეა.

17 და უთხრა უფალმა მოსეს: შენს ამ სიტყვასაც, რომელიც თქვი, შევასრულე, რადგან პოვე მადლი ჩემ წინაშე და გიცნობ შენ უველასე მეტად.

18 და უთხრა: მიხვენი მე შენი დიდება.

19 და უთხრა: მე წავალ შენზე წინ ჩემი დიდებით და მოვუწოდებ ჩემი სახელით: უფალია შენ წინაშე; და შევიწყალებ, ვისაც ვწყალობ, და შევიწყნარებ, ვისაც ვიწყნარებ.

60

20 და უთხრა: ვერ შეძლებ ჩემი პირის ხილვას, რადგან არ არის კაცი, ვინც იხილავს ჩემს პირს და იცოცხლებს.

21 და უთხრა უფალმა: აჰა, ადგილი ჩემთან, დადექი კლდეზე;

22 ხოლო როცა ჩაივლის ჩემი დიდება, დაგაყენებ შენ კლდის ხვრელში და დაგაფარებ შენ ჩემს ხელს, ვიდრე არ ჩაივლი.

23 და ავიღებ ხელს და მაშინ იხილავ ჩემს სურვს, ხოლო ჩემს პირს არ გიჩვენებ შენ.

### თავი 34

და უთხრა უფალმა მოსეს: გამოთალე შენთვის ქვის ორი ფიცარი, როგორც პირველნი, და ამოდი ჩემთან მთაზე და დაუწერ ფიცრებსე სიტყვებს, რომლებიც იყო პირველ ფიცრებსე, რომლებიც დამსხვრიე.

2 და იყავი მხად განთიადისთვის და ამოდი სინას მთაზე და წარმოიდექი მე იქ, მთის წვერზე.

3 და ნურავინ ამოვა შენთან ერთად, ნურც ვინმე გამოჩნდება მთელ მთაზე; და ცხვარი და ძროხა ნუ მოძოვს იმ მთის მახლობლად.

4 და გამოთალა ქვის ორი ფიცარი, როგორც პირველნი; და ადგა მოსე განთიადისას და ავიდა სინას მთაზე, როგორც უბრძანა მას უფალმა; და თან წაიღო მოსემ ქვის ორი ფიცარი.

5 და გარდამოვიდა უფალი ღრუბლით და დადგა მასთან იქ; და მოუსმო უფალს სახელით.

6 და ჩაიარა უფალმა მის წინ და მოუსმო: უფალი, უფალი ღმერთი, შემწყნარებელი და მოწყალე, სულგრძელი და მრავალმოწყალე და

ჭემბარიტი,  
 7 და სიმართლის დამცველი და წყალობის მოქმედი ათასებისთვის, აღმოსცველი უსჯულოებათა და უსამართლობათა და ცოდვათა, და არ განწმენდს დამნაშავეს და მოაწევს მამების უსჯულოებას შვილებზე და შვილთაშვილებზე მესამე და მეოთხე თაობაში.  
 8 და იქარა მოსემ და დანარა მიწაზე და თაყვანი სცა  
 9 და უთხრა: თუ ვპოვე მადლი შენ წინაშე, იაროს ჩემს უფალმა ჩვენთან ერთად, რადგან ერი ქედფიცხელია, და აღხოცე შენ ჩვენი ცოდვები და ჩვენი უსჯულოებანი და ვიქნებით შენი.  
 10 და უთხრა უფალმა მოსეს: აჰა, მე ვდებ შენთან აღთქმას: მთელი შენი ერის წინაშე ვიქმ განსაღიბებელს, რაც არ მომხდარა მთელ ქვეყანაზე და არცერთ ხალხში; და იხილავს მთელი ერი, რომელთა შორის ხარ შენ, უფლის საქმეებს, რადგან საკვირველია, რაც მე გააკეთე შენ.  
 11 გაუფრთხილდი შენ ეველაფერს, რასაც მე გიბრძანებ შენ. აჰა, მე გავური თქვენი პირისგან ამორელებს და ქანახელებს და ქეტელებს და ფერეხელებს და ეველებს და გერგესელებს და იებუსელებს;  
 12 გაფრთხილდი შენ, ნურასდროს დაუდებ აღთქმას იმ ქვეყნის მკვიდრთ, რომელშიც შესვალ; ხუ იქნება საცდური თქვენში.  
 13 მათი ბომონები დაამხეთ და მათი ძეგლები დამსხვრეთ და მათი სერტები\* გაკაფეთ და მათი ღმერთების

ქანდაკეები დაწვით ცეცხლში,  
 14 რომ არ სცეთ თაყვანი სხვა ღმერთს, რადგან უფალი ღმერთი, მოძურნე სახელად, ღმერთი შურისმგებელია.  
 15 ნურასდროს დაუდებ აღთქმას იმ ქვეყნის მკვიდრთ, და ისიძვებენ თავისი მამების კვალზე და უსორავენ თავის ღმერთებს და მოგინძობენ შენ და შეჭამ მათ ნაკერძავს,  
 16 და წაიყვან მათ ასულებს შენი ძეგებისთვის და შენს ასულებს მისცემ მათ ძეგს და ისიძვებენ შენი ასულები მათი ღმერთების კვალზე და ისიძვებენ შენი ძეგები მათი ღმერთების კვალზე.  
 17 და ჩამოსხმული ღმერთები არ გააკეთო შენთვის.  
 18 და უსაფუჯროთა დღესასწაული დაიცავი: ძვიდ დღეს ჭამე უსაფუჯრო, როგორც გიბრძანებ შენ, ახალთა თვის ჟამს, რადგან ახალთა თვეში გამოხვედი ეგვიპტიდან.  
 19 ყოველი მამრი, რომელიც გახსნის სამოსს, ჩემია – პირმშო ძროხისა და პირმშო ცხვრისა;  
 20 და პირმშო სახედრისა გამოისყიდე ცხვრით; ხოლო თუ ვერ გამოისყიდი მას, სახლად მიეცი; ყოველი პირმშო შენს ძეთაგან გამოისყიდე. არ გამოხნდე ჩემ წინაშე ცარიელი.  
 21 ექვს დღეს იქმოდე, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენე; თესვისას და მკისას დაისვენე.  
 22 და შვიდეულთა დღესასწაული აღასრულე ჩემთვის, ხორბლის მკის დასაწყისი და შვროვების დღესასწაული – შუა წელიწადში.  
 23 სამჯერ წელიწადში გამოხნდეს შენი

\* სერტები - კერპთა და ბომონთა ტყე; „ნერგნი კერპთანი საზორავნი.“ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1993.

ყოველი მამრი ისრაელის უფალი ღმერთის წინაშე,

24 რადგან გაუყრი ხალხებს შენი ზირისგან და გაუფართოვე შენს საზღვრებს; არ ისურვეს არაფერი შენს ქვეყანას, როცა ამოხვალ, რომ გამოიხიდე შენი უფალი ღმერთის წინაშე სამჯერ წელიწადში.

25 არ შესწირო საფუარზე ჩემი მსხვერპლთა სისხლი. და არ დაწიეს განთიადამდე მსხვერპლი ზასყის დღესასწაულისა.

26 შენი მიწის ზირველნაყოფები დადე შენი უფალი ღმერთის სახლში. არ მოხარბო კრავი თავისი დედის რძეში.

27 და უთხრა უფალმა მოსეს: დაწერე შენთვის ეს სიტყვები, რადგან ამ სიტყვებზე დაგიდებ აღთქმას შენ, და ისრაელს.

28 და იყო იქ მოსე უფლის წინაშე ორმოცი დღე და ორმოცი ღამე; ჰურს არ ჭამდა და წყალს არ სვამდა; და დაწერა ეს სიტყვები აღთქმის ფიცრებზე, ათი სიტყვა.

29 ხოლო როცა ჩამოვიდა მოსე მთიდან, ორი ფიცარი ჰქონდა ხელში მოსეს; და მან, მთიდან ჩამოსულმა მოსემ, არ იცოდა, რომ დიდებული იყო შესახედად მისი სახის ფერი, როცა ელანარაკებოდა იგი მას.

30 და დაინახა აარონმა, და ისრაელის ყველა ძემ მოსე და იყო დიდებული შესახედად მისი სახის ფერი, და შეეშინდათ მიანლოება მასთან.

31 და მოუხმო მათ მოსემ და მობრუნდა მასთან აარონი, და შესაკრებლის ყველა მთავარი და ელანარაკა მათ მოსე.

32 და ამის შემდეგ მივიდა მასთან ისრაელის ყველა ძე, და ამცნო მათ ყველაფერი, რასაც ელანარაკებოდა

უფალი მას სინას მთაზე.

33 და მას შემდეგ, რაც დაამთავრა ელანარაკი მათთან, დაიფარა თავის სახეზე საბურველი;

34 ხოლო როცა შედიოდა მოსე უფლის წინაშე მასთან საელანარაკოდ, ისდიდა საბურველს, ვიდრე გამოვიდოდა. და როცა გამოდიოდა, ეუხებოდა ისრაელის ყველა ძეს, რასაც უბრძანებდა მას უფალი.

35 და დაინახეს ისრაელის ძეებმა მოსეს სახე, რომ დიდებული იყო, და შემოიხვია მოსემ საბურველი თავის სახეზე, ვიდრე შევიდოდა საელანარაკოდ მასთან.

### თავი 35

**ღ** ა შეკრიბა მოსემ ისრაელის ძეთა მთელი კრებული და უთხრა მათ: ეს არის სიტყვები, რომლებიც თქვა უფალმა, რომ შესრულდეს ისინი:

2 ექვს დღეს აკეთე საქმე, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენე; წმიდაა შაბათი, დასვენება უფლისა; ყოველი, რომელიც გააკეთებს საქმეს ამ დღეს, მოკვდეს.

3 არ ანათოთ ცუცხელი თქვენს არცერთ სამკვიდრებელში შაბათ დღეს; მე ვარ უფალი.

4 და უთხრა მოსემ ისრაელის ძეთა მთელ კრებულს და თქვა: ეს არის სიტყვა, რომელიც გაბრძანათ უფალმა და თქვა:

5 აიღეთ თქვენგან, რაც განკუთვნილია უფლისთვის; ყოველმა გულით მიმღებულმა მიართვას ზირველნაყოფები უფალს: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ნი იაკინთი, ზორფირი, ორმაგად დამხული ძოწეული და გრენილი ბისონი

და თხის ბეწვი,  
 7 და ვერძის მწწამულად შეღებილი ტყავები და იაკინთისფერი ტყავები და უღაბობი ძელები,  
 8 და ზეთი განსანათებლად და სურნელებსა საცხები ზეთისთვის და საკმეველის ნაზავისთვის,  
 9 და სარდიონის ქვები და ქვები გამოსაწახნავებლად ეფოდისთვის და ჰოდირი.  
 10 და ყოველი გულით ბრძენი თქვენ შორის მოვიდეს და განაკეთოს უველაფერი, რაც ბრძანა უფალმა:  
 11 კარავი და საფარველები და განსახურავები და განსაურელები და ურდულები და სვეტები,  
 12 და მოწმობის კიდობანი და მისი ასაწევები და მისი საღვინებელი და კრესანამელი და ეზოს ფარდები და მისი სვეტები,  
 13 და ზურმუხტის ქვები,  
 14 და საკმეველი და საცხები ზეთი,  
 15 და ტაბლა და მთელი მისი ჭურჭელი,  
 16 და სასანთლე სინათლისა და მთელი მისი ჭურჭელი,  
 17 და სამსვერჯლო და მთელი მისი ჭურჭელი,  
 18 და წმიდა შესამოსლები აარონ მღვდლისა და შესამოსლები, რომლებითაც იმსახურებენ,  
 19 და აარონის ძეთა სამღვდლო კვარტები და საცხები ზეთი და საკმეველის ნაზავი.  
 20 და გამოვიდა ისრაელის ძეთა მთელი კრებული მოსესგან.  
 21 და მიართვა თითოეულმა, რისი შეწირვაც უნდოდა მათ გულს და რაც მიიჩნია მათმა სულმა, მიართვეს უფალს განკუთვნილი მოწმობის კარვის ყვე-

ლა საქმისთვის და მისი ყველა ჭურჭლისთვის და წმიდის ყველა შესამოსლისთვის.  
 22 და გამოართვეს ქრებმა ცოლებს, ყოველმა, რაც მიიჩნის გონებით; მიიტანეს ბეჭდები და საყურეები და რგოლები და თანსამკაულები და სამაჯურები და ოქროს ყოველი ჭურჭელი; და ყველამ მიართვა განკუთვნილი ოქრო უფალს.  
 23 და ვისთანაც აღმოჩნდა ბისონი და იაკინთისფერი ტყავები და ვერძის მწწამულად შეღებილი ტყავები, მიიტანეს.  
 24 და ყველამ, ვინც გამოყო განკუთვნილი ვერცხლი და სპილენძი, მიიტანა განკუთვნილი უფალს, და ვისთანაც აღმოჩნდა უღაბობი ძელები მოწმობისთვის ყველა საქმისთვის, მიიტანეს.  
 25 და ყოველი დედაკაცი, გონებით ბრძენი, ხელით ართავდა და მიჰქონდა დართული, იაკინთი და ჰორფირი და მოწეული და ბისონი.  
 26 და ყველა დედაკაცი, ვინც მიიჩნია თავისი გონებით, ოსტატურად დართო თხის ბეწვი.  
 27 და მთავრებმა მიიტანეს ზურმუხტის ქვები, და ეფოდისთვის და საკითხავისთვის – შესავსები ქვები,  
 28 და ნაზავი და საცხები ზეთი და საკმეველის ნაზავი.  
 29 და ყოველი მამაკაცი და დედაკაცი, რომელიც თავის გონებას მოჰყავდა, შედიოდა ყველა საქმის საკეთებლად, რაც უბრძანა უფალმა, რომ ეკეთებინათ იგი მოსეს მემკვიდრით. მიართვეს ისრაელის ძეებმა განკუთვნილი უფალს.  
 30 და უთნრა მოსემ ისრაელის ძე-

ებს: აჰა, მოუხმო ღმერთმა სახელით ბესელიელს, ურის ძეს, ორის ძისას, ოუდას ტომიდან,

31 და აავსო იგი საღვთო სულით სიბრძნისა და გულისხმიერებისა და უოველივეს ცოდნისა

32 სურთმოძღვრებისთვის, სურთ- მოძღვრების ყველა საქმისთვის, ოქროს და ვერცხლის და სპილენძის კეთებ- ისთვის,

33 ქვის თლისთვის და ხეზე მუშაო- ბისთვის და უოველი საქმის სიბრძნით კეთებისთვის;

34 და წინასწარჭვრეტა მისცა მას გონებით, მას და ელიაბს, აქისამაქის ძეს, დანის ტომიდან.

35 და აავსო ისინი სიბრძნით და გულისხმიერი გონებით ყველაფრის განსაგებად, რათა ეკეთებინათ საქმე- ბი წმიდისათვის, და ქსოვილები და ჭრელები ექსოვათ მეწამულით და ბისლით და ეკეთებინათ უოველი საქმე სხვადასხვაგვარი ხელოვნებისა.

**თავი 36**

**ღ**ა გააკეთა ბესელიელმა, და ელიაბმა და უოველმა გონებით ბრძენმა, რომელთაც მიეცათ სიბრძნე და ცოდნა, რათა მათ გაეგოთ და ეკეთებინათ წმიდისთვის დაწესებული ყველა საქმე ყველაფრის შესაბამისად, რაც ბრძანა უფალმა.

2 და მოუხმო მოსემ ბესელიელს და ელიაბს და ყველას, ვისაც ჰქონდა სიბრძნე, რომელთა გულსაც მისცა ღმერთმა ცოდნა, და ყველას, ვისაც თავისი ნებით სურდა საქმესთან მის- ვლა, რომ შეესრულებინა იგი.

3 და აიღეს მოსესგან ყველაფერი

განკუთვნილი, რაც მიიტანეს ისრა- ელის ძებმა წმიდის ყველა საქმისთვის მათ საკეთებლად; და ისინი კვლავ იღებდნენ მორთმეულს მომტანთაგან განთიადობით.

4 და მოდიოდა ყველა ბრძენი, წმიდის საქმის შემსრულებელი, თითოეული თავისი საქმის შესაბამისად, რასაც ისინი საქმიანობდნენ,

5 და უთხრეს მოსეს: მეტი მოაქვს ხალხს იმ საქმისთვის, რისი გაკეთე- ბაც ბრძანა უფალმა.

6 და ბრძანა მოსემ და იქადაგა ბა- ნაკში და თქვა: მამაკაცი და დედაკა- ცი ნულარ გაირჯებიან წმიდის ჰირ- ველნაყოფათათვის; და შეწყვიტა ერმა კვლავ მორთმევა.

7 და მასალა იყო მათთვის საკმარე- სი მოწუობილობის განსაკეთებლად, და ხედმეტიც დარჩა.

8 და გააკეთა მომუშავეთა მორის ყო- ველმა ბრძენმა წმიდათა შესამოსლები, რომლებიც არის აარონ ძეგდლისა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

9 და გააკეთეს ეფოდი ოქროსგან და იაკინთისგან და ჰორფირისგან და დარ- თული ძოწეულისგან და გრენილი ბისონისგან.

10 და დაჭრეს ოქროს ფირფიტები თმასავით, ისე რომ შექსოვებოდა იაკინთს და ჰორფირს და დამხულ ძოწეულს და გრენილ ბისონს ქსო- ვილ ნაკეთობად;

11 გააკეთეს იგი ეფოდად და შე- აერთეს ორივე მხრიდან ქსოვილი ნაკეთობა, ერთმანეთთან შეწნული,

12 გააკეთეს იმ ნაკეთობის მისედვით ოქროსგან და იაკინთისგან და ჰორ- ფირისგან და დამხული ძოწეულისგან და გრენილი ბისონისგან, როგორც



უბრძანა უფალმა მოსეს.  
 13 და განაკეთეს ზურმუხტის ორივე ქვა, შეკრული და შემოსაღატული ოქროთი, ამოკვეთილი და ამოტვიფრული ბეჭდის ტვიფრით, ისრაელის ძეთა სახელებით;  
 14 და დადო ისინი ეფოდის მხრებზე, ისრაელის ძეთა განსახსენებელი ქვები, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.  
 15 და განაკეთეს საკითხავი, ჭრელად ქსოვილი ნაკეთობა, ეფოდის ნაკეთობის მიხედვით ოქროსგან და იაკინთისგან და ჰორფირისგან და დაძახული ძოწეულისგან და გრეხილი ბისონისგან.  
 16 ორმავე ოთხკუთხედად განაკეთეს საკითხავი, მტკაველი – სივრძე და მტკაველი – სივრძე, ორმავე.  
 17 და ჩაქსოვეს მასში ქსოვილი, ქვებით მოოჭვილი ოთხ რიგად; ქვების რიგი: სარდიონი და ტოპაზი და ზურმუხტი – რიგი ერთი;  
 18 და რიგი მეორე: ანთრაქი და საფირონი და იასპი;  
 19 და რიგი მესამე: ლივვირი და აქატი და ამეთვისტო;  
 20 და რიგი მეოთხე: ქრიზოლითი და ბივრილი და ონიქსი, ოქრომომოვლენული და ოქროში ჩასმული.  
 21 და ქვა იყო ისრაელის ძეთა სახელებით, თორმეტი, მათი სახელების მიხედვით, ამოკვეთილი ბეჭდით, თითოეული თავისი სახელით, თორმეტ ტომად.  
 22 და განაკეთეს საკითხავზე მოწნული ძეწკები, წნულად ნაკეთები სუფთა ოქროსგან;  
 23 და განაკეთეს ოქროს ორი ბუდე და ოქროს ორი რგოლი და დადეს ორი რგოლი საკითხავის ორივე კიდესზე;

24 და დადეს ოქროს წნულები რგოლებზე საკითხავის ორივე მხარეს,  
 25 და ორი შესაკრავისთვის – ორი წნული და ჩასვეს ორ ბუდეში და დადეს ეფოდის მხრებზე წინა მხარეს, ჰირისპირ.  
 26 და განაკეთეს ოქროს ორი რგოლი და დადეს ორ ფრთაზე საკითხავის კიდესზე, ეფოდის უკანა მხარის კიდესზე მივინიდან.  
 27 და განაკეთეს ოქროს ორი რგოლი და დადეს ეფოდის ორივე მხარეს მის ქვემიდან, შესაკრავის შესაბამისად წინა მხარეს, ეფოდის ქსოვილის ზევიდან.  
 28 და გადაჭიმეს საკითხავი რგოლებით, რომლებიც მასზეა, ეფოდის რგოლებისკენ, რომლებიც შეერთებულია იაკინთით და ძეწნულია ეფოდის ქსოვილთან, რათა არ მოიხსნას საკითხავი ეფოდისგან, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.  
 29 და გაუკეთეს ქვემხასაცმელი ეფოდს, ნაკეთები მთლიანად იაკინთისფერი ქსოვილით,  
 30 ხოლო ქვემხასაცმელის ყელის ჭრილი შუაში იყო წნულად ნაქსოვი, რომელსაც ჰქონდა ურღვევი არძია ყელის ჭრილის ირგვლივ.  
 31 და გაუკეთეს ქვემხასაცმელს ქვევიდან არძიაზე როგორც აუვავებული ბროწეულის ბროწეულაკები იაკინთისგან და ჰორფირისგან და დაბრუნებული ძოწეულისგან და გრეხილი ბისონისგან.  
 32 და განაკეთეს ოქროს ექვანი და დააწეს ექვანი ქვემხასაცმელის არძიაზე ირგვლივ ბროწეულაკებს შორის,  
 33 ოქროს ექვანი და ბროწეულაკი ქვემხასაცმელის არძიაზე ირგვლივ, მსახურებისთვის, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

34 და გაუკეთეს ბისონის კვარტები, ქსოვილად ნაკეთები, აარონს და მის ძეებს,

35 და კიდარები — ბისონისგან და მიტრან — ბისონისგან და წვივისაყმელი — გრენილი ბისონისგან,

36 და მათი სარტყლები — ბისონისგან და იაკინთისგან და ჰორფირისგან და დართული ძოწველისგან, ჭრელად ნაკეთები, რა სახითაც უბრძანა უფალმა მოსეს.

37 და გააკეთეს ოქროს ფირფიტა, გამოყოფილი წმიდისთვის, სუფთა ოქროსი; და დაწერეს მასზე წარწერა, ბეჭდით გამოსახული: სიწმიდე უფლისა;

38 და დადეს იაკინთისფერ არშიახე, რათა იდოს მიტრანზე შემოდან, რა სახითაც უბრძანა უფალმა მოსეს.

**თავი 37**

და გაუკეთეს კარავს ათი ჩამოსაფარებელი,

2 ოცდარვა წურთა — ერთი ჩამოსაფარებლის სიგრძე, ასეთივე იყო ყველა, და ოთხი წურთა — ერთი ფარდის სიგანე.

3 და გააკეთეს კრეტსაბმელი იაკინთისგან და ჰორფირისგან და დართული ძოწველისგან და გრენილი ბისონისგან, ქერებიძებით ნაქსოვი ნაკეთობა.

4 და დაკიდეს იგი ოთხ ულპობ სვეტზე, ოქროთი მოქროვილზე, და მათი თავები — ოქროსი, და მათი ოთხი საურდენი — ვერცხლისა.

5 და გააკეთეს მოწმობის კარვის კარის კრეტსაბმელი იაკინთისგან და ჰორფირისგან და დართული ძოწველისგან და გრენილი ბისონისგან, ქერუ-

ბიძებით ნაქსოვი ნაკეთობა,

6 და მისი სვეტები — ხუთი, და კავები და მათი თავები და მათი თალები — ოქროთი მოქროვილი, და მათი საურდენი — ხუთი, სპილენძისა.

7 და გააკეთეს ესო; სამხრეთიდან ესოს ფარდები გრენილი ბისონისგან — ასი ასზე;

8 და მათი სვეტები — ოცი და მათი საურდენები — ოცი;

9 და ჩრდილოეთის მხრიდან — ასი ასზე, და მათი სვეტები — ოცი და მათი საურდენები — ოცი;

10 და ზღვის მხრიდან ჩამოსაფარებლები — ორმოცდაათი წურთა, მათი სვეტები — ათი და მათი საურდენები — ათი;

11 და აღმოსავლეთის მხრიდან — ორმოცდაათი წურთა;

12 ფარდები — თხუთმეტი წურთა უკნიდან, და მათი სვეტები — სამი და მათი საურდენები — სამი;

13 და მეორე მხარეზე, უკნიდან, აქეთ-იქიდან, ესოს ჭიმკართან — ჩამოსაფარებლები თხუთმეტი წურთა, და მათი სვეტები — სამი და მათი საურდენები — სამი;

14 ესოს ყველა ჩამოსაფარებელი — გრენილი ბისონისგან;

15 და სვეტების საურდენები — სპილენძისა და მათი კილოები — ვერცხლისა, და მათი თავები — მოვერცხლილი ვერცხლით, და სვეტები — მოვერცხლილი ვერცხლით, ესოს ყველა სვეტი.

16 და ესოს ჭიმკრის კრეტსაბმელი — ჭრელი ნაკეთობა იაკინთისგან და ჰორფირისგან და დართული ძოწველისგან და გრენილი ბისონისგან, ოცი წურთა — სიგრძე, და სიმაღლე და

სივანე – სუთი წურთა, თანაბარი ეზოს ფარდებისა;  
 17 და მათი სვეტები – ოთხი და მათი საურდენები – ოთხი, სწილენძისა, და მათი კილოები – ვერცხლისა და მათი თავები – მოვერცხლილი ვერცხლით;  
 18 და სვეტები – მოვერცხლილი ვერცხლით; და ეზოს ყველა პალო – ირგვლივ, სწილენძისა.  
 19 და ეს არის განწყება მოწმობის კარვისა, როგორც უბრძანა მოსეს, რომ იყოს ღვევიანთა მსახურება ითამარის, აარონ მღვდლის ძის, მიერ.  
 20 და ბესელიელმა, ურის ძემ, იუდას ტომიდან, გააკეთა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს,  
 21 და ელიაბამაც, აქისამაქის ძემ, დანის ტომიდან, რომელმაც ხელოვნებით გააკეთა ქსოვილები და ნაქარგები და ჭრელები ძოწეულით და ბისონით ნაქსოვი.

**თავი 38**

**ღ**ა გააკეთა ბესელიელმა კიდობანი  
 2 და მოაოქროვა იგი სუფთა ოქროთი შივნიდან და გარედან და გაუკეთა მას ოქროს ტალღა ირგვლივ.  
 3 და ჩამოასხა მისთვის ოქროს ოთხი რგოლი, ორი – ერთ მხარეზე და ორი – მეორე მხარეზე,  
 4 სივანეზე განაურელები, რომ აიღონ იგი მათი შემკობით.  
 5 და გააკეთა სალხინებელი კიდობნის შემოთ სუფთა ოქროსგან  
 6 და ორი ქერებიძი ოქროსი:  
 7 ერთი ქერებიძი – სალხინებლის ერთ კიდეზე და ერთი ქერებიძი –

სალხინებლის მეორე კიდეზე,  
 8 და დაფარავენ თავისი ფრთებით სალხინებელს.  
 9 და გააკეთა წინდანადგმელი ტაბლა სუფთა ოქროსგან;  
 10 და ჩამოასხა მისთვის ოქროს ოთხი რგოლი, ორი – ერთ მხარეზე და ორი – მეორე მხარეზე, სივანეზე, რომ აიღონ განაურელებით მათი შემკობით.  
 11 და კიდობნისა და ტაბლის განაურელები გააკეთა და მოაოქროვა ისინი ოქროთი.  
 12 და გააკეთა ტაბლის ჭურჭელი: ფილები და სასაქმეულები და ციცხვები და ტაკუკები, რომელთა შემკობითაც შესწირავს, ოქროსი;  
 13 და გააკეთა სასანთლე, რომელიც ენთება, ოქროსი, მუარი ღეროთი,  
 14 და რტოები – მის ორივე მხარეს;  
 15 მისი რტოებიდან გამოძავალი ელორტები, სამი აქედან და სამი იქიდან – ერთმანეთის თანაბარი;  
 16 და მათი ღამწრები, რომლებიც არის კიდებზე, როგორც კაკლები მათგან, და დანადგმელებიც – მათგან, რათა იყოს მათზე კანდელები; და შემვიდე დანადგმელი ღამწრის კიდეზე, თხემზე შემოდან – მუარი, მთლიანად ოქროსი.  
 17 და შვიდი კანდელი მასზე – ოქროსი და მისი მოსაჭერები – ოქროსი და მათი მარწუხები – ოქროსი.  
 18 ამან მოვერცხლა სვეტები და ჩამოასხა სვეტებისთვის ოქროს რგოლები და მოაოქროვა ურდულები ოქროთი და მოაოქროვა კრეტსაბმელის სვეტები ოქროთი და გაუკეთა ოქროს კილოები.  
 19 ამან გააკეთა კარვის ოქროს კავებიც

და ეზოს კაუებიც და კაუები გადასაფარებლის გადასაჭიდად ზემოდან, სპილენძისა.

20 ამან ჩამოსხა კარვის ვერცხლის თაუები და კარვის კარის სპილენძის თაუები და ეზოს კარბიჭისაც; და ვერცხლის კილოები გააკეთა სვეტებსზე; ამან მოვერცხლა ისინი.

21 ამან გააკეთა კარვის ჰალოებიც და ეზოს ჰალოებიც სპილენძისა.

22 ამან გააკეთა სპილენძის სამსხვერწლო სპილენძის საცეცხლეურებისგან, რომლებიც იყო კორეს კრებულთან ერთად განდგომილი კაცებისთვის.

23 ამან გააკეთა სამსხვერწლოს მთელი ჭურჭელი და მისი საყრდენი და მისი საცეცხლეური და ფიალები და ფუცხვები სპილენძისა.

24 ამან გააკეთა სამსხვერწლოს გარემოსადები, ბადისებრი ნაკეთობა, საცეცხლეურის ქვემოდან, მის ქვეშ, შუამდე; და დიდო მასზე სპილენძის ოთხი რგოლი სამსხვერწლოს გარემოსადების ოთხი მხრიდან, ურდულების სიგანეზე, მათი მეშვეობით სამსხვერწლოს ასაწევად.

25 ამან გააკეთა წმიდა საცხები ზეთი და საკმეფლის ნახავი, მემიროხის სუფთა ნახეღავი.

26 ამან გააკეთა სპილენძის საბანელი და მისი სპილენძის საყრდენი სარკეებისგან მმარხველი დედაკაცებისა, რომლებმაც იმარხულეს მოწმობის კარვის კარებთან იმ დღეს, როცა აღმართა იგი;

27 და გააკეთა საბანელი, რომ დაიბანონ იქიდან მოსემ და აარონმა და მისმა ძეებმა თავისი ხელები და ფეხები

მათი შესვლისას მოწმობის კარავში, ან როცა მივლენ სამსხვერწლოსთან მსახურებისთვის, დაიბანონ იქიდან, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

### თავი 39

**მ**თელი ოქრო, რაც მოხმარდა საქმეს, წმიდათა უველა სამუშაოსთვის, იყო პირველხაუოფის ოქრო – ოცდაცხრა ტალანტი\* და შვიდას ოცდაათი სიკლი, წმიდა სიკლის შესაბამისად;

2 და განკუთვნილი ვერცხლი კრებულის აღრიცხულ კაცთაგან – ასი ტალანტი და ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი სიკლი.

3 ერთი დრამა სულზე – სიკლის ნახევარი, წმიდა სიკლის შესაბამისად; უველა, ვინც გაიარა აღწერა ოცი წლიდან და ზემოთ – ექვსას საძი ათას ხუთას ორმოცდაათი.

4 და იყო ვერცხლის ასი ტალანტი კარვის ასი თავის ჩამოსახსნემლად და კრესანბმელის თავისთვის; ასი თავი – ას ტალანტად, ერთი ტალანტი – ერთი თავისთვის.

5 და ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი სიკლი გააკეთეს სვეტების კილოებად, და მოაქროვა მათი თაუები და შეამკო ისინი.

6 და განკუთვნილი სპილენძი – სამოცდაათი ტალანტი და ორი ათას ოთხასი სიკლი.

7 და გააკეთა მისგან მოწმობის კარვის კარის საყრდენები,

8 და ეზოს საყრდენები – ირგვლივ, და ეზოს კარბიჭის საყრდენები და

\* ტალანტი - 3000 სიკლი.

კარვის ჰალოები და ეზოს ჰალოები – ირგვლივ,  
9 და სამსხვერპლოს სწილენძის გარშემოსაღები და სამსხვერპლოს მთელი ჭურჭელი და მოწმობის კარვის მთელი მოწუობილობა.  
10 და გააკეთეს ისრაელის ძეგბმა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე გააკეთეს.  
11 ხოლო დანარჩენი განკუთვნილი ოქროსგან გააკეთეს ჭურჭელი, რომ იმსახურონ იმით უფლის წინაშე.  
12 და დარჩენილი იაკინთისგან და ზორფირისგან და ძოწუელისგან გააკეთეს მასხურების შესამოსელი აროხისთვის, რათა იმსახუროს იმით წმიდაში.  
13 და მიიტანეს შესამოსლები მოსესთან და კარავი და მისი ჭურჭელი და მისი საურდენები და ურდულები და სვეტები,  
14 და აღთქმის კიდობანი და მისი გასაურელები,  
15 და სამსხვერპლო და მთელი მისი ჭურჭელი და სცნები ზეთი და საკმეგლის ნახავი,  
16 და სუფთა სასანთლე და მისი კანდელები, ასანთები კანდელები და გასანათებელი ზეთი,  
17 და წინდასადგმელი ტაბლა და მთელი მისი ჭურჭელი და წინდაკების ჰურები,  
18 და წმიდის შესამოსლები, რომელიც არის აროხისა, და მისი ძეგბის შესამოსლები მღვდლობისთვის,  
19 და ეზოს ფარდები და მისი სვეტები და საურდენები, და კარვის კარის და ეზოს კარიბჭის კრეტსანბმელი, და კარვის მთელი ჭურჭელი და მთელი მისი მოწუობილობა.  
20 და ვერძის ტყავის საბურავები,

მეწამულად შეღებილი, და ტყავის საფარველები, იაკინთისფერი, და დანარჩენების გადასაფარებლები,  
21 და ჰალოები და მთელი მოწუობილობა მოწმობის კარვის საქმეებისთვის;  
22 როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე გააკეთეს ისრაელის ძეგბმა მთელი აღჭურვილობა.  
23 და ხანა მოსემ ყველა საქმე და იყო გაკეთებული იგი, რა სახითაც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე გააკეთეს იგი; და აკურთხა ისინი მოსემ.

### თავი 40

**ღ** ა ელანარკა უფალი მოსეს და უთხრა:  
2 პირველი თვის ერთ დღეს, ახალ-მთვარეობას აღმართე მოწმობის კარავი;  
3 და დადგი მოწმობის კიდობანი და დაფარე კიდობანი კრეტსანბმელით,  
4 და შეიტანე ტაბლა და დაუდგი თავისი წინდასადგმელი და შეიტანე სასანთლე და დადგი მისი კანდელები,  
5 და დადგი ოქროს სამსხვერპლო საკმეგლისთვის კიდობნის წინ და ჩამოაფარე კრეტსანბმელის საფარველი მოწმობის კარვის კარზე;  
6 და ნაყოფთა სამსხვერპლო დადგი მოწმობის კარვის კართან და შემოაღლე ეზო ირგვლივ.  
7 და აილე სცნები ზეთი და სცნე კარავს და ყველაფერს, რაც მასშია, და განწმიდე იგი და მთელი მისი ჭურჭელი, და იქნება წმიდა.  
8 და სცნე ნაყოფთა სამსხვერპლოს და მთელ მის ჭურჭელს,  
9 და განწმიდე სამსხვერპლო, და იქნება სამსხვერპლო წმიდათა წმიდა.

10 და მოიყვანე აარონი და მისი ძეგები მოწმობის კარვის კარებთან და განბანე ისინი წყლით;

11 და შემოსე აარონი წმიდა შესამოსლით და სცხე მას და განწმიდე იგი და მღვდლობდეს ჩემთვის;

12 და მისი ძეგები მოიყვანე და შემოსე ისინი კვარტებით;

13 და სცხე მათ, რა სახითაც სცხე მათ მამას, და მღვდლობდნენ ჩემთვის; და იქნება, როგორც არის მათთვის, მღვდლობის ცნება უკუნისამდე მათ მოდგმაში.

14 და გააკეთა მოსემ ყველაფერი, როგორც უბრძანა მას უფალმა, ისე გააკეთა.

15 და იყო, ეგვიპტიდან მათი გამოსვლის მეორე წლის ზირველ თვეს, ახალმთვარეობას, აღიმართა კარავი;

16 და დადგა მოსემ კარავი და დადგა თავები და გაუყარა ურდულები და აღმართა სვეტები,

17 და გაჭიდა ჩამოსაფარებლები კარავზე და დაფარა კარვის გადასაფარებელი მას ხემოდან, რა სახითაც უბრძანა უფალმა მოსეს.

18 და აიღო მოწმობები და ჩადო კიდობანში და შეუწყო გასაყრელები კიდობანს ქვეშ;

19 და შეიტანა კიდობანი კარავში და დაფარა კრეტსანბმელის გადასაფარებელი და დაფარა მოწმობის კიდობანი, რა სახითაც უბრძანა უფალმა მოსეს.

20 და დადგა ტაბლა მოწმობის კარავში, მოწმობის კარვის მხარეს, რომელიც არის ჩრდილოეთით, კარვის კრეტსანბმელის ვარეთ;

21 და დააწყო მასზე წინადაცების ზურები უფლის წინაშე, რა სახითაც უბრძანა უფალმა მოსეს.

22 და დადო სასახთლე მოწმობის კარავში, კარვის მხარეს, რომელიც არის სამხრეთით;

23 და დააწყო მისი კანდელები უფლის წინაშე, რა სახითაც უბრძანა უფალმა მოსეს.

24 და დადგა ოქროს სამსხვერპლო მოწმობის კარავში, კრეტსანბმელის ზირდანირ,

25 და აკმა მასზე შეხვეებული საკმეველი, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

26 და ნაყოფთა სამსხვერპლო დადგა მოწმობის კარვის კართან,

27 და დადგა ეხო კარვის და სამსხვერპლოს ირგვლივ. და აღასრულა მოსემ ყველა საქმე.

28 და დაფარა ღრუბელმა მოწმობის კარავი და უფლის დიდებით აივსო კარავი;

29 და ვერ შეძლო მოსემ შესვლა მოწმობის კარავში, რადგან ფარავდა მას ღრუბელი, და უფლის დიდებით აივსო კარავი.

30 და როცა ავიდოდა ღრუბელი კარვიდან, დაიძვრებოდნენ ისრაელის ძეგები თავისი საცხოვრებელითურთ;

31 ხოლო თუ არ ავიდოდა ღრუბელი, არ დაიძვრებოდნენ იმ დღემდე, ვიდრე არ ავიდოდა ღრუბელი,

32 რადგან ღრუბელი იყო კარავზე დღისით და ცეცხლი იყო მასზე ღამით მთელი ისრაელის წინაშე მთელი მათი მსვლელობისას.





მთარგმნელი  
საქართველოს საპატრიარქოსთან  
არსებული ბიბლიის თარგმნის ჯგუფი

**ხელმოწერა**  
ცურტაველი ეპისკოპოსი იონანე  
(გამრეკელი)

**წერები:**

ქ. მათიაშვილი, ლ. ჭელიძე  
მ. ოვაშვილი, ა. არჯვანიძე

კორექტორი  
ნ. ბოკუჩავა

მხატვარი და მხატვრული რედაქტორი  
ს. ბაჩეჩილაძე

კომპიუტერული მომსახურება  
ბ. ხარაბიშვილისა



გამოცა მართლმადიდებელ ქრისტიანთა საქველმოქმედო  
ასოციაცია „ბეთლემის“ დახმარებით  
ტელ.: 98 89 78  
ტირაჟი 1500